ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ნოემბერი პარასკევი 2012 №278 (13 884) ფასი 80 თეთრი

# რომის ცენტრში ომი იყო

## ოლიმპიკოზე მშვიდობა

### ლაციო გავიდა, ტოტენჰემი საფრთხეშია, ჯაბა კანკავა გააძევეს...

ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის ცენტრალური მატჩი „ლაციოსა" და „ტოტენჰემს" შორის 0:0 დასრულდა და უგოლო ფრემ რომაულ კლუბს ჯგუფიდან გასვლა გაუნაღდა. მატჩის დაწყებამდე კი რომის ცენტრში უსიამოვნო ფაქტი მოხდა: ცნობილ „კამპო დი ფიორის" ერთ-ერთ ბარში „ლაციოს" ულტრასები „ტოტენჰემის" ფანებს თავს დაესხნენ და ერთ-ერთ მათგანს გულმკერდის არეში დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. დაჭრილი ქომაგი გადარჩა, თუმცა მისი მდგომარეობა მძიმეა.

მილანის „ინტერმა" ყაზანში მეორე შემადგენლობით ითამაშა და 0:3 დამარცხდა, რითაც „ნერაძურიმ" პირველ ადგილზე გასვლის შანსი დაკარგა. „უდინეზემ" მახაჩკალაში 0:2 წააგო და ჯგუფიდან ველარ გავა, „ანჟი" კი პლეი ოფში ითამაშებს, რაც **სამუელ ეტო'ოს** დამსახურებაცაა, რომელმაც „უდინეზეს" მეორე გოლი გაუტანა. ხარკოვის „მეტალისტმა" „ლევერკუზენს" 2:0 მოუგო და პირველი ადგილი გაინაღდა. **ჯაბა კანკავას** „დნიპრომ" პსვ 2:1 დაამარცხა - საქართველოს ნაკრების კაპიტანი მეორე ტაიმში მოედნიდან გააძევეს...

*ევროპალიგის მეხუთე ტურის შედეგები და სატურნირო მდგომარეობა*

↳7



რომის ცენტრში, ინციდენტის შემდეგ...

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## — გურამ კაშია —

# მეტი გაბედულება და რისკი გვმართებს!

### საყრდენის პოზიციაზე გამოუცდელი ვარ და თამაში მიჭირს...

↳2



*პორტრეტი, მიკელ ალვარო*



# მანქანას 3 სარკე აქვს, მაგრამ თბილისში 6 მჭირდება

↳3



# ქართული ძიუდო სკანდალურ ხლართებში

↳10

### დავით ხახალეიშვილი ზეწოლაზე ალაპარაკდა



# აბრამოვიჩმა დი მატეო ტორესის გამო გააგდო?

### რა ელის ბენიტესს? საკითხავი, ახლა ეს არის...

↳8



ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# რისკი და თვითკრიტიკა

## საყრდენის პოზიციაზე გამოუცდელი ვარ და თამაში მიჭირს

„ვიტესის“ კაპიტანი გურამ კაშია ორ საფეხბურთო განზომილებაში ცხოვრობს: ერთი ძალიან ლამაზი და პერსპექტიულია – არნემის “ვიტესი”, რომლის კაპიტანიც ქართველი ლეგიონერია, ჰოლანდიის ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და ამსტერდამის “აიაქსსა” და როტერდამის “ფეიენოორდს” უსწრებს. საქართველოს ნაკრების მცველმა ბოლო მატჩში „ნაიმეგენის“ ძლევაში (4:1) თავისი წვლილი დაცვაში საიმედო თამაშით და 46-ე წუთზე გატანილი გოლით შეიტანა.

მეორე განზომილება კი მისი და ჩვენი ტკივილია – მართალია, თავის ასპარეზზე საქართველოს ნაკრებიც მესამე ადგილზეა, მაგრამ, კლუბისგან განსხვავებით, იქ ჯერ წარმატებაზე ლაპარაკი უადგილოა.

გარდა ამისა, ეგვიპტესთან განვლილმა თამაშმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა, რომ გურამ კაშია საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე სათანადოდ ვერ თამაშობს, რაც სულაც არ არის გასაკვირი – ამ პოზიციაზე კაშიას პრაქტიკა მხოლოდ ნაკრებში აქვს.

გურამ კაშიასთან ინტერვიუ საქართველოს ნაკრების ბოლო შეხვედრით დავიწყეთ.



**- სანაკრებო სეზონი ეგვიპტესთან შეხვედრით დაიხურა, რომელშიც ჩვენი გუნდი კვლავ უფერულად გამოიყურებოდა.**

- საქართველოს ნაკრებში ბევრმა ახალგაზრდა და გამოუცდელმა ფეხბურთელმა ითამაშა და არც ისე ცუდი დებიუტი ჰქონდათ, რასაც გულწრფელად ვულოცავ. გუნდში ახლა თაობათა ცვლა მიმდინარეობს, გუნდის შეთამაშებას კი დრო სჭირდება.

უშუალოდ შეხვედრა კი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ალბათ, საკუთარი თავის მიმართ უფრო თვითკრიტიკულები და მომთხოვნები უნდა ვიყოთ და მოსაგებად მეტი უნდა გავაკეთოთ. როდესაც საშინაო შეხვედრას ვატარებთ, მნიშვნელობა არ აქვს, მეტოქე ეგვიპტეა თუ ფინეთი, მაყურებელი ჩვენგან უფრო სანახაობრივ თამაშს ელის. მატჩის მოსაგებად კი მეტი გაბედულება და რისკი გვმართებს.

**- შენს საყრდენად დაყენებასაც თვითკრიტიკულად აფასებ? მატჩის შემდეგ თემურ ქეცბაიამ განაცხადა, პრობლემები რომ არ გვქონდეს, კაშიას საყრდენ ნახევარმცველად არ დავაყენებდითო.**

- მე იქ ვითამაშე, სადაც მწვრთნელმა გამამწესა და მისი დავალების მიხედვით ვმოქმედებდი. უფრო დაცვითი ფუნქციის საყრდენი ვიყავი და მეტი ყურადღებაც ჩვენი კარის უსაფრთხოებაზე მქონდა გადატანილი. თუმცა, ჩემი აზრით, მეტი შემიძლია. ალბათ, ამ თამაშებით იმ გამოცდილებას შევიძენ, გარკვეული დროის შემდეგ საყრდენად უფრო თავდაჯერებულად რომ ვითამაშო. მაგრამ ამ პოზიციაზე გამოუცდელი ვარ და თამაში მიჭირს.

**- როგორ, ნაკრებში დაცვაში თამაშის იმედი არც გაქვს?**

- მხოლოდ თამაშის იმედი მაქვს და მწვრთნელი სად დამაყენებს, ეს მისი პრეროგატივაა. ჩემგან ამაზე ლაპარაკი არაკორექტულიც იქნება.

**- შესარჩევი ციკლის ბოლო ორ შეხვედრაში ნაკრებმა მხოლოდ ქულა დააგროვა და იმედები ვერ გაამართლა.**

- აუცილებლად უნდა მოგვეგო ფინეთში. ერთი დასანანი შეცდომით მოგება ხელიდან გავუშვით. არადა, 10-კაციან გუნდთან ანგარიში მიგვყავდა და უპირატესობა უნდა შეგვენარჩუნებინა. ბელარუსთან კი დავმარცხდით და ვერ ვიტყვი, რომ არ უნდა წაგვეგო. თუმცა, მათთან ბევრად უკეთესადაც შეიძლებოდა გვეთამაშა.

**- ეს შეხვედრა აშკარად ჩააგდეთ.**

- სწრაფმა გოლმა ჩვენზე ძალიან ცუდად იმოქმედა, რადგან ახალგაზრდული ნაკრები გვყავს და მატჩის ბედის შემოტრიალება ვერ შევძელით. ასეთ დროს გუნდს მეტი გამოცდილი ხალხი სჭირდებოდა.

**- შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრებს ესპანეთისა და საფრანგეთის გასწრებას ვერავინ მოსთხოვს. უფრო რეალური ამოცანა ჯგუფში მე-3 ადგილის დაკავებაა. დარჩენილი მატჩების გათვალისწინებით, ეს შესაძლებელი გგონია?**

- ფინეთში მოგება მე-3 ადგილზე გასვლის უეჭველი გარანტია იქნებოდა. სამწუხაროდ, ამოცანა გავირთულეთ და ახლა სახლში ფინეთს აუცილებლად უნდა მოვუგოთ. სხვათა შორის, თბილისში საფრანგეთთან ქულის მოპოვებაც არ მგონია არარეალური. ალბათ, იმიტომ, რომ ძლიერ გუნდებთან მეტი მონდომებითა და მობილიზაციით ვთამაშობთ.

**- რა არის ამის მიზეზი?**

- ალბათ, ის, რომ ზეწოლა არ არის, მეორე ნომრად ვთამაშობთ და გულშემატკივარი მაინცდამაინც მოგებას არ გვთხოვს.

> როდესაც საშინაო შეხვედრას ვატარებთ, მნიშვნელობა არ აქვს, მეტოქე ეგვიპტეა თუ ფინეთი, მაყურებელი ჩვენგან უფრო სანახაობრივ თამაშს ელის. მატჩის მოსაგებად კი მეტი გაბედულება და რისკი გვმართებს.

**- ალბათ, პერსპექტივაზე ფიქრიც თავისას შვრება – ესპანეთისა და საფრანგეთის შეხვედრებს უამრავი სელექციონერი ესწრება და თავს თუ გამოიჩენ, შესაძლოა, ევროპის ტოპლიგის კლუბში მიგიწვიონ.**

- რა თქმა უნდა, ეს სტიმული ძალიან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართველი ფეხბურთელისთვის. მე-3 ადგილისთვის ვიბრძოლებთ და ვნახავთ, რა გამოგვივა.

**- გასაგებია... ბევრად უფრო სასიამოვნო თემაზე, “ვიტესზე” ვილაპარაკოთ. გუნდი მესამე ადგილზეა და “აიაქსს” 4 ქულით უსწრებს, მაგრამ სამეულში ადგილის შენარჩუნების რესურსი გაგაჩნიათ?**

- რესურსი უდავოდ გვაქვს. გუნდში 16-მდე ისეთი ფეხბურთელია, ძირითად შემადგენლობაში უპრობლემოდ რომ შეუძლია თამაში. ამასთანავე, ორი სეზონის განმავლობაში, ჰოლანდიური ფეხბურთის ლიდერებთან ბრძოლის საკმაოდ დიდი გამოცდილებაც შევიძინეთ. “'აიაქსს” და “ფეიენოორდს” მოვუგეთ, “ტვენტესთან” მატჩი ფრედ კი დავამთავრეთ, მაგრამ თამაშით ვაჯობეთ. მხოლოდ “ეინდჰოვენთან” არ მოგვიგია და გუნდი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ამის საფუძველზე ვამბობ, რომ საუკეთესო ოთხეულში დამკვიდრება შესაძლებელი მგონია. ვნახოთ, ცოტა იღბალიც გვჭირდება.

**- სამწუხაროდ, ბოლო დროს, “ვიტესის” შემადგენლობაში არც გიორგი ჭანტურია ჩანს და არც ვაკო ყაზაიშვილი.**

- ორივე ძირითად გუნდში ვარჯიშობს. ძალიან დიდი კონკურენციაა, მაგრამ მჯერა, ბევრს იშრომებენ და დაამტკიცებენ, რომ ნამდვილი პროფესიონალები არიან, ძირითადში თამაშს დაიმსახურებენ და მალე თავის სიტყვას იტყვიან. ალბათ, შანსი მიეცემათ და მას გამოიყენებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

U17

# საქართველო ათეულსა და პირველ კალათაში



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე წარმატებულმა ასპარეზობამ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ასაკობრივ რეიტინგში დაწინაურების საშუალება მისცა – დღეისთვის ჩვენი გუნდი ევროპის რეიტინგში მე-10 საფეხურზეა.

აღნიშნულ რეიტინგს მნიშვნელობა ყველაზე მეტად შესარჩევი ტურნირების წილისყრისას აქვს ხოლმე. როგორც იცით, 5 დეკემბერს გაიმართება როგორც ელიტრაუნდის, ასევე ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა.

ჯერ უცნობია, რომელ კალათაში მოხვდება საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ელიტრაუნდის წილისყრაში, ევროპის მომდევნო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში კი პირველ კალათაში ვართ. ელიტრაუნდში ოთხი, აქ კი სულ ორი კალათაა და თითოეულ ჯგუფში კალათებიდან ორ-ორი წარმომადგენელი მოხვდება.

პირველი კალათა: ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ესპანეთი, ჩეხეთი, პორტუგალია, დანია, სერბეთი, საქართველო, უნგრეთი, ბელგია, თურქეთი, საბერძნეთი, შვეიცარია, ირლანდია, იტალია, ხორვატია, რუმინეთი, პოლონეთი, ისლანდია, ნორვეგია, ჩრდილოეთ ირლანდია, შვედეთი, შოტლანდია, რუსეთი, ბელარუსი.

მეორე კალათა: სლოვაკეთი, ავსტრია, უკრაინა, ლუქსემბურგი, ბოსნია, ფინეთი, ისრაელი, ბულგარეთი, უელსი, ლიტვა, ჩერნოგორია, აზერბაიჯანი, სლოვენია, ყაზახეთი, ალბანეთი, ესტონეთი, სომხეთი, მაკედონია, კვიპროსი, ლატვია, ფარერები, ანდორა, მოლდოვა, სან მარინო, ლიხტენშტაინი, გიბრალტარი.

როგორც ხედავთ, სიაშია გიბრალტარიც, რომელიც უეფაში ჯერ არ მიუღიათ, მაგრამ ამ ქვეყნის ნაკრებს უკვე მიენიჭა ოფიციალურ ტურნირებში ასპარეზობის უფლება, გაისად კი, დიდი ალბათობით, გიბრალტარი ოფიციალურად გახდება უეფას წევრი.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ რეიტინგს, 17-წლამდელთა საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:

1. გერმანია
2. ინგლისი
3. საფრანგეთი
4. ჰოლანდია
5. ესპანეთი
6. ჩეხეთი
7. პორტუგალია
8. დანია
9. სერბეთი
10. საქართველო

**ლევან ჯანეზაშვილი**

U19. ქალები

# მეტოქეები გაირკვა

გაიმართა ევროპის 19-წლამდელ ქალთა ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის წილისყრა, რომელმაც საქართველოს ნაკრებს მეტოქეებად მაკედონია, შოტლანდია და რუმინეთი არგუნა.

მატჩების ჩატარების თარილი მოგვიანებით დადგინდა, ის კი უკვე ცნობილია, რომ ჩვენს ჯგუფს მაკედონია უმასპინძლებს. ელიტრაუნდში ყოველი ჯგუფიდან ორი გუნდი გავა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პორტრეტი



ფოტო: fcdinamo.ge

# მიქელ ალვარო: რატომაა სტადიონები ცარიელი?

## მანქანას 3 სარკე აქვს, მაგრამ თბილისში 6 მჭირდება...

**15 მატჩი და 9 გოლი – ასეთია მიკელ ალვაროს სტატისტიკური მონაგარი საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატში. ესპანელი ნახევარმცველი "დინამოს" ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფიგურაა და თავს მოედნის ცენტრში დამაჯერებელი თამაშის გარდა, ბომბარდირული მონაცემებითაც გვამახსოვრებს. დღეს ალვარო "ლელოს" რესპონდენტია და მის ქართულ საფეხბურთო თუ სხვა შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ.**

"დინამოს" 29 წლის ესპანელ, უფრო კონკრეტულად კი ბასკ ნახევარმცველს თავდაპირველად იმის გახსენება ვთხოვეთ, თუ როგორ აღმოჩნდა საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბში.

*"საქართველოზე ბევრი არაფერი ვიცოდი, მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე ბილბაოს "ატლეტიკი" თბილისის "დინამოს" შეხვდა. გადაწყვეტილება უცებ არ მიმიღია, მაგრამ როცა ამიხსნეს, რომ კლუბს ამბიციური პროექტები ჰქონდა, გადავწყვიტე, ეს ნაბიჯი გადამედგა და არც მინანია. ჩემი ჩამოსვლის მომენტში "დინამოში" უკვე თამაშობდნენ ესპანელები, მწვრთნელი ალექს გარსია იყო და ყოველივე ამან უცხო გარემოსთან უცებ ადაპტაციის საშუალება მომცა. ბუნებრივია, აქაურობასთან შეგუებაში ძალიან დამეხმარნენ ქართველი თანაგუნდელები, კლუბის ხელმძღვანელობა და "დინამოს" ერთგული გულშემატკივრები".*

"დინამომ" წინა სეზონი წარუმატებლად ჩაატარა და ევროტურნირებს მიღმა დარჩა, რასაც ალვარო ასე ხსნის: *"ყველას გვქონდა იმის იმედი, რომ საქართველოს ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდით, მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა. მწვრთნელებისა და ძირითადი შემადგენლობის ხშირმა ცვლამ სტაბილურ თამაშამდე ვერ მიგვიყვანა. ფაქტია, რომ ალექს გარსიას ფილოსოფიამ არ გაამართლა. "ბარსელონას" ფეხბურთი ბრწყინვალე რამ არის, მაგრამ ასე რომ ითამაშო, შემადგენლობაში მესი, ჩავი და ინიესტა უნდა გყავდეს. შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ გარსიას მაინც ეჩვენებინა შედეგი, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა და წარსულის გახსენებას აზრი აღარც აქვს, წინ უნდა ვიყუროთ და უკეთესი მომავლისთვის ვიბრძოლოთ".*

გარსიას წასვლის შემდეგ ალვაროს საქმეები არცთუ სახარბიელოდ წავიდა – ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

*"ტრავმა მქონდა, მაგრამ გამოჯანმრთელების შემდეგ თამაში ნაკლებად მიწევდა. არ ვიცი, იმდროინდელ მწვრთნელს ჩემი თამაში არ ჰქონდა ნანახი თუ სხვა მიზეზი იყო, მაგრამ სამწუხარო ფაქტია, რომ იმ პერიოდში "დინამოსთვის" ნაკლებად საჭირო ფეხბურთელი ვიყავი"*, - იხსენებს ალვარო.

იმედოვნებს, რომ "დინამოში" საუკეთესო მატჩები ჯერ კიდევ წინ აქვს, განვლილი შეხვედრებიდან საუკეთესოდ კი, სხვათა შორის, არა ამ სეზონის, არამედ წინა ჩემპიონატში ჩატარებულ თამაშს მიიჩნევს. ეს "დინამო"-"ტორპედოა" – დედაქალაქელებმა ქუთაისელებს გარსიას ხელმძღვანელობით 2:0 სძლიეს, ალვაროსთვის სწორედ ეს არის საუკეთესო მოგონება იმის მიუხედავად, რომ იმ დღეს მოედანი უგოლოდ დატოვა.

წინასგან განსხვავებით, მისთვისაც და "დინამოსთვისაც" მიმდინარე სეზონი შთამბეჭდავად მიმდინარეობს: *"ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მეც და ჩემი გუნდიც ასე წარმატებულად ვთამაშობთ. "დინამო" ეფექტურ და შედეგიან ფეხბურთს აჩვენებს, რაც თითოეული ჩვენგანისა და, რაღა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელის დამსახურებაა. ჩემთვის გოლების რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ ბომბარდირთა შორის ვარ და ჩემს ანგარიშზე უკვე ცხრა გატანილი ბურთია. წინა სეზონში შვიდი გოლი გავიტანე, ამ მაჩვენებელს კი უკვე გადავაჭარბე და ჩემს დინამოელ მეგობრებს დიდი სიამოვნებით გავეჯიბრები საუკეთესო ბომბარდირობაში. თუმცა ეს მაინც მეორე პლანზეა, უმთავრესი კი, ბუნებრივია, საქართველოს ჩემპიონობაა, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული გამოსვლა. ეს ჩემთვისაც და ჩემი თანაგუნდელებისთვისაც უდიდესი გამოწვევაა".*

ალვაროს მომავალზე საუბარი ჯერ არ სურს, თუმცა იმასაც გვიმხელს, რომ უცხოეთიდან საინტერესო შემოთავაზებები აქვს. ამ სეზონს აუცილებლად "დინამოში" ჩაამთავრებს და ევროტურნირებზეც მოსინჯავს ძალებს, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

საქართველოს ჩემპიონატის დონეს დამაკმაყოფილებლად აფასებს, წამყვანი ქართული კლუბების თამაში კი მოსწონს. მოხარულია, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "დინამოს" კონკურენტები არ აკლია. გული კი იმაზე სწყდება, რომ სტადიონებზე ცოტა მაყურებელი დადის და ისიც შეუნიშნავს, რომ პუბლიკის დიდი ნაწილი ფეხბურთელების ოჯახის წევრებისა და მეგობრებისგან შედგება.

ყველაზე დიდი შოკი საქართველოს რამდენიმე ქალაქში უხარისხო მოედნის ნახვისგან მიიღო. ამბობს, რომ მსგავსი საშინელება ცხოვრებაში არასდროს უნახავს.

ხშირად ეკითხებიან აზრს ბასკებისა და ქართველების ნათესაობაზე და ამ აზრს ნახევრად ეთანხმება. ხუმრობით პასუხობს, რომ ქართველები კი არ არიან ბასკების წინაპრები, არამედ პირიქით.

ალვარო ბილბაოშია დაბადებული და "ატლეტიკის" დიდი ქომაგია. ჰყავს მშობლები, ძმა და მეუღლე. "დინამოს" ყველა ესპანელი ლეგიონერი დაოჯახებულია და თავისუფალ დროს ერთმანეთთან სტუმრიანობასა და ქალაქში სეირნობაში ატარებენ.

ალვარო ქართველ თანაგუნდელებთანაც მეგობრობს და მათთან ერთად სიამოვნებით აგემოვნებს ქართულ სამზარეულოს. ღვინის მოყვარული არ არის, კერძებიდან კი ყველაზე მეტად ხაჭაპური და ქაბაბი უყვარს.

თბილისს იოლად შეეგუა, თუმცა მანქანით გადაადგილება თავიდან გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა: *"თბილისის ქუჩებში ისეთი მოძრაობაა, მსგავსი რამ არასდროს მინახავს. ავტომობილს სამი სარკე აქვს, მაგრამ აქ ექვსი სჭირდება. მანქანაზე უარი მაინც არ მითქვამს და აქაურ მოძრაობასაც ნელ-ნელა შევეჩვიე".*

ალვაროს ბოლოს კომენტარი "დილასთან" ხვალინდელ მატჩზე ვთხოვეთ: *"ფაქტია, რომ განსაკუთრებული შეხვედრაა, რომელიც ჩემპიონატის პირველი ეტაპის გამარჯვებულს გამოავლენს. მეტოქე ჩვენს დიდ პატივისცემას იმსახურებს, რადგანაც ზედიზედ თერთმეტი მატჩი მოიგო. "დილამ" ჩვენც დაგვამარცხა, ახლა კი რევანშის დროა. იმის მიუხედავად, რომ ლიდერები ვართ, ფრე არ დაგვაკმაყოფილებს, მიზნად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას ვისახავთ. საბრძოლოდ ვართ დამუხტულები და იმის იმედიც გვაქვს, რომ "დინამო არენაზე" ჩვეულზე ბევრად მეტი მაყურებელი მოვა".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინტერვიუ

**კობა ჟორჟიკაშვილს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც უმუშავია და საქართველოს არაერთ მოწინავე კლუბშიც. ერთი სიტყვით, ის გამოცდილი და საინტერესო სპეციალისტია. მას ახალგაზრდულ ფეხბურთზე ვესაუბრეთ. თემა ზოგადად საინტერესოა და, ჟორჟიკაშვილთან ზოგადის გარდა, კონკრეტ[illegible] საკითხებზეც. ამჯერად არ დავუსვით კითხვები საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე, რადგან არცთუ დიდი ხნის წინ მას ამ თემაზე უკვე ჩამოვართვით ინტერვიუ...**

# [illegible], გვჭირდება გუნდურობა

## კობა ჟორჟიკაშვილი: ერთიანი სისტემის საშუალება არ არსებობს

**- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მაისში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა, ახლახან ევროშესარჩევის ეტაპი დასძლიეს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებმა. ყოველივე ეს რამდენად მიუთ[illegible]თებს იმაზე, რომ ახალგაზრდულ ფეხბურთში წინსვლა გვაქვს?**

- ახალგაზრდულ ასაკში სხვადასხვა მიზეზის გამო ვაღწევთ გარკვეულ წარმატებებს. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებს ადრეც ჰქონდათ მსგავსი მიღწევები, ახლა კი უკეთესი პირობებია, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. დღესდღეობით უკვე არის იმის საშუალება, რომ ასაკობრივმა ნაკრებმა რამდენიმეკვირიანი შეკრება მოაწყოს და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ტურნირებში. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ფეხბურთელის ზრდას. ერთხელ, როცა 19-წლამდელთა ნაკრებში ვმუშაობდი, კახა კალაძემ თანაგუნდელი ვერ იცნო და სახელით ვერ მიმართა მოედანზე... ახლა ასეთი პრობლემის წინაშე ჩვენი ნაკრებები აღარ არიან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ევროპაში 17 წლის ასაკიდან იწყება ფეხბურთელის გადასვლა პროფესიულ რელსებზე – ფიზიკური და



ტაქტიკური მომზადება უკვე დიდი დოზით მიეწოდება მოთამაშეს. ქართველებს ხელს გვიწყობს ნიჭი, დრიბლინგის თანდაყოლილი უნარი. გიორგი დევდარიანის გაწვრთნილმა 17-წლამდელებმაც მეტწილად ამის ხარჯზე მიაღწიეს წარმატებას ახლახან თბილისში გამართულ ევროშესარჩევში. თუ გახსოვთ დევდარიანის გაწვრთნილი უწინდელი 17-წლამდელთა ნაკრები, იქაც გამორჩეული ინდივიდუალისტები იყვნენ - მაგალითად, გიორგი ჭანტურია. ასაკის მატებასთან ერთად კი გუნდური თამაში კიდევ უფრო წინა პლანზე გამოდის, ევროპელები ამ მხრივ ჩვენზე სწრაფად ვითარდებიან და ამიტომაც, ასაკის მატებასთან ერთად ჩვენს ნაკრებებს კარგი შედეგის მიღწევა უძნელდებათ. დააკვირდით, 21-წლამდელთა ნაკრებში ჭანტურია ისე ველარ ბრწყინავს, როგორც ამას 17-წლამდელთა ნაკრებში აკეთებდა.

**- ანუ, იმის თქმა გსურთ, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი თავის კლუბში სათანადოდ ვერ ვითარდება?**

- 17 წლის ფეხბურთელი პროფესიულ კლუბში რომ მიდის, უნდა ჰქონდეს განვითარების ინდივიდუალური პროგრამა, სავარჯიშო პირობები, კარგი მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი. ამ ყველაფრის საშუალება კი უმეტეს ქართულ კლუბებში არ არის. ბევრ ქართულ კლუბს არ ჰყავს ფიზმომზადების კვალიფიციური მწვრთნელი და ხშირად ამ პოზიციას მთავარი მწვრთნელი ითავსებს. უმეტეს ქართულ კლუბებს არ ჰყავთ ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც მართლა საფუძვლიანად გააკეთებს ამ საქმეს.

**- 17-წლამდელთა ნაკრებმა შესარჩევი ეტაპი თბილისში ითამაშა და მატჩებს თქვენც ესწრებოდით. რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით დევდარიანის გაწვრთნილი ნაკრებიდან?**

- ზარანდიას, რომელსაც სხვა ნიჭიერი ქართველი ფეხბურთელების მსგავსად აქვს დრიბლინგის უნარი, ბურთის მიღების შემდეგ მოვლენების განვითარება უკვე მის ხელშია. ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ჯერ უჭირს გუნდური მოქმედებები დაცვით ფაზაში. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ზარანდია არნემის "ვიტესში" მიდის - მას იქ ხელს შეუწყობენ გუნდური თვისებების გამომუშავებაში. 17-წლამდელთა ნაკრებში ნიჭით გამორჩეულია მესხიც, რომელსაც ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესება მართებს. კარგად წარმოაჩინა თავი ხარაიშვილმა, მომეწონა მეკარე გოშაძეც.

**- კახა კაჭარავას გაწვრთნილ 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებზეც ვთქვათ...**

- ინდივიდუალურმა თამაშმა აქაც დიდად განაპირობა წარმატება, გადამწყვეტი გოლები არაბულმა გაიტანა. ჰუფნაგელი უკვე განსწავლული ფეხბურთელია, პოზიციურად კარგად თამაშობს, იცის, თუ რატომ იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მაგრამ ფეთქებადი ძალა ნაკლებად აქვს, ოღონდ, მიუხედავად ამისა, სწორი განვითარების შემთხვევაში კარგ ფეხბურთს ითამაშებს. სამუშია, ფანცულაია, მარკოზაშვილი – საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან. შესანიშნავ ცენტრალურ მცველად უნდა ჩამოყალიბდეს სანდოხაძე, საინტერესო თავდამსხმელია კაჭარავა და უფრო მოძრავი რომ იყოს, კარგი იქნებოდა.

**- ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებები ერთიან სისტემაში – როგორ ფიქრობთ, ამის გაკეთება აუცილებელია?**

- ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ასეა, ზოგან კი – არა. უნდა მოვამზადოთ ისეთი ფეხბურთელები, ყველა სისტემას რომ მოერგებიან. ერთიან სისტემაში მოქცევის საშუალება დღეს ჩვენთან არ არის, რადგან ნაკრებებში გრძელვადიან პროექტებზე არ კეთდება გათვლა, შედეგს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ინდივიდის გაზრდას. ბავშვთა ფეხბურთშიც ასე უნდა იყოს – შედეგზე უფრო ინდივიდის გაზრდაა მნიშვნელოვანი.

**- გიორგი ჭანტურიაზე ცალკე ჩაგეკითხებით – როგორ ატყობთ, მას არ უნდა მიეცეს თავის გამოჩენის შანსი ეროვნულ ნაკრებში?**

- მან ახალგაზრდულ ნაკრებში სტაბილურად კარგი თამაშით უნდა მისცეს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს იმის საშუალება, რომ გამოიძახოს.

**- დაბოლოს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში რა პოზიტიურ ტენდენციებს ხედავთ?**

- დაძაბულობამ მოიმატა, მაგრამ ეს ხარისხს არ ნიშნავს. პოზიტიურია, რომ ბევრი კარგი ქართველი ფეხბურთელი დაბრუნდა საქართველოში, რაც გორის "დილამ" გააკეთა. რაც შეიძლება მეტი ფული უნდა გაჩნდეს ქართულ ფეხბურთში. მეტი გასამრჯელო უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ფეხბურთელს, არამედ ფეხბურთში დასაქმებულ ყველა ადამიანს თქვენი, ჟურნალისტების ჩათვლით, სხვანაირად წინსვლაზე ლაპარაკი უადგილოა. კარგია, რომ რამდენიმე ხარისხიანი საფეხბურთო მინდორი გაჩნდა. რაც შეეხება ნეგატივს: ვერ ვხედავ განვითარების პროგრამებს, ერთეული გამონაკლისის გარდა, ჩვენს კლუბებში არ მიდის გეგმაზომიერი, სწორი მუშაობა ახალგაზრდა ფეხბურთელებთან.

**დავით თავართქილაძე**

## ქართული ფეხბურთი

ლეგიონერები

# გრიგალავამ რუსები გააოცა

### ამისულაშვილმა ძველი დრო გაიხსენა

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერლიგის მე-16 ტურში მოსკოვის "სპარტაკმა" ნიჟნი ნოვგოროდში "ვოლგა" ვერ დაამარცხა (1:1). ეს მიუხედავად იმისა, რომ ნიჟნელები ბოლოს მოედანზე 10 მოთამაშის ამარა დარჩნენ.

ისიც ცნობილია, რომ გამორჩეული შეხვედრა ჩაატარა საქართველოს ნაკრების მცველმა **გია გრიგალავამ.** დაცვაში საიმედო თამაშის გარდა, მან ბოლო წუთებზე შეტევაში მშვენიერი ჩართვითაც გამოიჩინა თავი, მარცხენა ფლანგიდან მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა და უმეთვალყუროდ დარჩენილი თანაგუნდელი მოძებნა, რომელმაც მომენტით ვერ ისარგებლა და "ვოლგა" ვერ დააწინაურა.

ამის შემდეგ გრიგალავას თავს მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: რამდენიმე რუსულმა გამოცემამ საქართველოს ნაკრების 22 წლის მცველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა.

*"რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, "სპარტაკმა" ნიჟნელთა დაცვას ვერაფერი მოუხერხა. გრიგალავამ ემენიკეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა - სპარტაკელი თავდამსხმელი საკუთარ აჩრდილს ჰგავდა. ნიჟნინოვგოროდელები დაცვის ცენტრში ძალიან საიმედოდ გამოიყურებოდნენ. ამას გარდა, ბოლო წუთებზე, როდესაც "ვოლგა" მოედანზე 9 მოთამაშის ამარა დარჩა, გიამ ბურთიანად 50-მეტრი ირბინა და საგოლე მომენტი შექმნა"* – წერს ინტერნეტგამოცემა "ჩემპიონატ.რუ".

*"მოსკოველებთან გრიგალავა თამაშობდა არა მისთვის ჩვეულ პოზიციაზე, მარცხენა ფლანგზე, არამედ, დაცვის ცენტრში და საიმედოდ გამოიყურებოდა. "ვოლგამ" გოლი კი გაუშვა, თუმცა გრიგალავამ რამდენჯერმე პარტნიორები დროულად დაეზღვია და გუნდი გოლისგან გადაარჩინა. მოედანზე გრიგალავა რომ არ ყოფილიყო, სპარტაკელები მხოლოდ ერთ გოლს არ დასჯერდებოდნენ"* – წერს "ევრო-ფუტბოლ.რუ".

*"შესაძლოა, ჩვენი არჩევანი უცნაურად მოგეჩვენოთ, რადგან "ვოლგამ" კარი მშრალად ვერ შეინახა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ნიჟნინოვგოროდელებს სერიოზული მეტოქე ჰყავდათ. მოსკოველები "ბარსელონასთან" შეხვედრამდე ძალებს აშკარად ზოგავდნენ. გრიგალავას დამსახურებას ესეც ვერ დააკნინებს. მან შეხვედრა დამაჯერებლად და ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა"* – ეს უკვე ინტერნეტ-გაზეთ "სპორტდიალოგის" შეფასებაა.

ინტერნეტპორტალი "სპორტბოქსი" კი სიმბოლურ ნაკრებს გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად ადგენს. რუსმა გულშემატკივრებმა გრიგალავა სიმბოლურ ნაკრებში ცენტრალური მცველის პოზიციაზე დაასახელეს, მაგრამ მხოლოდ მესამე ადგილზე.

ამავე გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე, "კრასნოდარის" კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი.**

*"დიდი ხანია, რაც ამ ჩინებული მცველის შესახებ ალტაცებით არ დაგვიწერია. ტრავმებმა და გუნდის არასტაბილურმა თამაშმა გავლენა მასზეც მოახდინა და შთამბეჭდავი რიტმიდან ამოაგდო. მაგრამ გროზნოს "ტერეკთან" შეხვედრამ გვაიძულა გაგვეხსენებინა ამისულაშვილის ოსტატობა და მისი ლიდერული თვისებები. "კრასნოდარის" მცველი თავს ართმევდა არა მხოლოდ დაცვით ფუნქციებს, არამედ, თამაშსაც ჩინებულად კითხულობდა, პარტნიორებს ხელმძღვანელობდა და მათ მოქმედებას მშვენიერ კორდინირებას უწევდა"* – წერს "ფუტბოლ.კულიჩკი". ამ გამოცემამ საქართველოს ნაკრების მცველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.



გია გრიგალავა

აქვე უნდა ვთქვათ: სასიხარულოა, რომ ბოლო დროს, აღიარება არც სხვა ქართველი მცველებისთვის არის უცხო ხილი. ჰოლანდიის ერედივიზიეში ჩინებულად თამაშობს **გურამ კაშია**, რომელიც "ვიტესის" კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერია. ფორმა აღიდგინა და უკრაინული მედიის ყურადღებას იქცევს კრივოი როგის "კრივბასის" უკანახაზელი **უჩა ლობჟანიძე**, რომელიც ბოლო დროს მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში შესწიეს და ამის შემდეგ ტურის სიმბოლურ ნაკრებში ორჯერ მოხვდა.

თითქოს, **თემურ ქეცბაიას** დაცვაში პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ გია გრიგალავა, გურამ კაშია და ალექსანდრე ამისულაშვილი დაცვის ცენტრში უფრო სასარგებლონი აღმოჩნდნენ, ამ პოზიციაზე უკეთ გაიხსნა უჩა ლობჟანიძეც, რომელსაც ქეცბაია მარჯვენა ფლანგზე იყენებს.

კარგა ხანია, საქართველოს ნაკრებს აღარ ჰყოლია მოთამაშე, რომელიც შეტევებში ჩაერთვება და გუნდს მხოლოდ დაცვაში არ დაეხმარება. არადა, შეტევების განვითარებაში დიდი მნიშვნელობა სწორედ ფლანგის მცველებს ენიჭებათ, რაც ჩვენს ნაკრებში პრობლემური პოზიციაა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ნავალოვსკის გუნდის შეცვლა სურს

### გვაზავა მასტერკლასში მონაწილეობს

19 და 20 ნოემბერს რუსეთის ნაციონალურ საფეხბურთო ლიგაში (პირველი ლიგა) საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა.

ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასმა" ბოლო შეხვედრაც უფერულად ჩაატარა, ხაბაროვსკის "სკა-ენერგიასთან" 0:1 დამარცხდა და 21 შეხვედრაში დაგროვილი 18 ქულით 17-გუნდიან ჩემპიონატში ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება.

ეს მატჩი საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **გიორგი ნავალოვსკიმ** გამოტოვა. როგორც ნოვოკუზნეცკური კლუბის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, 26 წლის ქართველმა მცველმა ხაბაროვსკელებთან ოჯახური გარემოებების გამო ვერ ითამაშა.

ჩვენთვის კი ცნობილია, რომ გიორგი კლუბით უკმაყოფილოა და "მეტალურგ-კუზბასიდან" წამოსვლა სურს. ნავალოვსკიმ "ლელოსთან" საუბარში არ დამალა, რომ ნოვოკუზნეცკში გადასვლით დიდი შეცდომა დაუშვა, არც კლუბი მოსწონს, არც მისი ფინანსური მდგომარეობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, სხვაგან გადასვლა სურს.

შეგახსენებთ, რომ ნავალოვსკის უთამაშია თბილისის "დინამოში", რუსთავის "ოლიმპში", მახაჭყალის "ანჟიში", ბაქოს "ინტერში", ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასა" და "ხიმკიში", 2-ჯერ კი საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორმა მოირგო.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია **ლევან გვაზავას** "ხიმკიც". გუნდმა რუსეთის პირველი ლიგის საშემოდგომო ეტაპი 17 ქულითა და ბოლო ადგილზე დაასრულა. თუმცა, ამას მოთამაშეებისთვის ხელი არ შეუშლია, რომ მოსკოვის რეგიონის ბავშვებთან ტრადიციული მასტერ-კლასი ჩაეტარებინათ. ამჯერად, მასწავლებლის როლში, **სერგეი კოტოვთან** ერთად, სწორედ გვაზავა იყო.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა, XIV ტური

## A ჯგუფი

### რაჭა – იმერეთი 0:2

19.11. ონი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

0:1 დ. კუხალაშვილი (58), 0:2 გ. გოდერიძე (73)

რაჭა: ნ. ჯოხაძე, ი. ვეკუა, დ. ბაქრაძე, გ. შარაბიძე (46. ლ. ნეფარიძე), მ. კორსანტია, ვ. ჭაბუკიანი, ლ. ჯანგიძე, ლ. მეტონიძე, ი. ჭანკვეტაძე, გ. მარგიანი (77. გ. ბაგალიშვილი), გ. მაისაშვილი (46. ლ. მიქაბერიძე)

სათადარიგოები: თ. კოხრეიძე, ლ. ქურციკიძე, ი. ხვედელიძე, ა. გურაბანიძე

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

იმერეთი: ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე (11. დ. გოდერიძე), ლ. გაჩეჩილაძე, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, დ. კუხალაშვილი (89. ზ. სადილიანი), გ. გენძეხაძე, ნ. ჩიხლაძე (80. დ. სულაბერიძე), მ. აშვეთია, გ. მანაგაძე

სათადარიგოები: შ. ფაილოძე, დ. სვანაძე, დ. ხაბურძანია, გ. ნიქაბაძე

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

გაფრთხილება: გ. მარგიანი, გ. მაისაშვილი, ი. ვეკუა; ვ. ბრეგაძე

არბიტრი: თ. ხუჭუა

### სულორი – გურია 1:6

19.11. ვანი. „გ. ნიკოლეიშვილი". 200 მაყურებელი

0:1 გ. თოდუა (21), 1:1 ნოდარ გიორგაძე (45), 1:2 გ. თოდუა (56), 1:3 გ. მაჩაიძე (65), 1:4 ზ. კვარაცხელია (66), 1:5 ა. შენგელია (70), 1:6 ლ. იაშვილი (87).

სულორი: შ. ლვინიანიძე, ზ. ენდელაძე, ლ. გაბუნია, გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე (79. კ. კვიმსაძე), ა. როხვაძე, ნოდარ გიორგაძე, თ. ძაგნიძე (64. ბ. სულაბერიძე), თ. მაღლაკელიძე, შ. ბაბუნაშვილი (64. გ. ნიკოლეიშვილი), ბ. ბელქანია

სათადარიგოები: დ. ოდიშარია, გ. გიგაშვილი, მ. დვალიშვილი, ნიკა გიორგაძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ (78. ლ. იაშვილი), ზ. კვარაცხელია, დ. მაისაშვილი, გ. მაჩაიძე, ა. გოგობერიშვილი, ლ. ვართაგავა, ტ. კუკულაძე (46. ბ. წერეთელი), ა. შენგელია, გ. თოდუა, გ. კვერენჩხილაძე (73. ა. ლალაძე)

სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ჯ. გოგიბერიძე, გ. შენირული, დ. რაფავა

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: ა. როხვაძე; ა. გოგობერიშვილი

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

### გაგრა – სასკო 0:2

19.11. თბილისი. მერანი. 100 მაყურებელი

0:1, 0:2 გ. ქვილითაია (58, 80)

გაგრა: ა. ადამია, ი. ხუციძე, გ. ალავიძე, გ. ფალავანდიშვილი, გ. ჯგერენაია, ზ. ნადირაძე (63. უ. მაგაჯი), ლ. სეთურიძე (46. დ. ვოლკოვი), თ. ჟიშკარიანი (46. ნ. ხოჯაშვილი), გ. ერისთავი, ა. ივანიშვილი, ჯ. ჯერემია

სათადარიგოები: გ. გადრანი, გ. სანიკიძე რ. რადინა, ს. მალანია

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

სასკო: ა. ნონოსი, გ. პაპუნაშვილი, თ. მოგელაძე, თ. ქორჩილავა (78. შ. ფირუზაშვილი), ო. ჩაფიძე, გ. არახამია (89. ე. ეგიაზარიანი), ბ. ქარდავა, ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე, გ. ქვილითაია (89. კ. ახალაია)

სათადარიგოები: თ. გაფრინდაშვილი, პ. მოსემლვდლიშვილი, გ. ჯინიკაშვილი, დ. აბესაძე

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: გ. ფალავანდიშვილი, ლ. სეთურიძე, ზ. ნადირაძე, გ. ჯგერენაია

არბიტრი: ო. ხეცაძე

### მეშახტე – სქური 0:0

19.11. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 100 მაყურებელი

მეშახტე: ი. ორბელაძე, ი. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე, მ. კოპალიანი, გ. ჩხეტიანი, მ. მაკარაშვილი, ბ. კოლუაშვილი, ჯ. ავალიშვილი (67. თ. ჭელიძე) ბ. ჯიშიაშვილი

სათადარიგოები: თ. გოგიჩაძე, ლ. მაჩალაძე, ლ. ხოხონიშვილი, გ. ბერძენაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ზ. ლარიბაშვილი, რ. ცობეხია (72. გ. კვირკვია), თ. ფურთუხია, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, რ. ჩიტაია

სათადარიგოები: ი. ქარდავა, ლ. მორგოშია, ნ. არახამია, ნ. ლვინჯილია, ტ. ხარჩილავა, ვ. შეროზია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

გაფრთხილება: მ. კოპალიანი, გ. გვენეტაძე; ჯ. ყურუა, თ. ფურთუხია

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

### სტუ – ბეთლემი 3:1

19.11. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

1:0 ი. ფიფია (48), 2:0 ა. ბაგაშვილი (57), 3:0 კ. კახაბრიშვილი (59), 3:1 ვ. დარჩიძე (75, პენ.)

სტუ: გ. ელბაქიძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჯიშკარიანი, ლ. ციკოლია, ო. გაგნიძე, გ. არახამია (46. ა. ბაგაშვილი), კ. კახაბრიშვილი (80. გ. ბიბილეიშვილი), გ. გოგატიშვილი, ი. ფიფია (89. გ. თვალავაძე)

სათადარიგოები: დ. ყაველაშვილი, დ. კოხრეიძე, დ. მეფარიძე, ჯ. კოლუა

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

ბეთლემი: ლ. ბექათაშევი, ლ. კალანდაძე, ნ. გოგუაძე, გ. ხაჩიძე, გ. კაკაბაძე, თ. თედორაძე, ვ. დარჩიძე, დ. ჯალალანია (63. ი. ჩხაიძე), გ. კახიანი, ი. ბარამიძე (63. მ. დავითაძე), ზ. კეკელიძე (63. გ. ქობალია)

სათადარიგოები: ზ. სეიდიდი, ვ. კუნჭულია, კ. ქაცარავა

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

გაფრთხილება: დ. ქიმერიძე, ი. ფიფია; გ. ხაჩიძე, ვ. დარჩიძე, თ. თედორაძე

არბიტრი: ა. ბასლეხლო

### ჭიათურა – დინამო-2 0:2

20.11. ჭიათურა. „თ. მაღრაძე". 100 მაყურებელი

0:1 ბ. ზივზივაძე (10), 0:2 ვ. ფოცხვერია (30)

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, თ. ხარებავა, გ. მეცხოვრიშვილი, დ. შეყილაძე (72. დ. ბინაძე), ნ. გაფრინდაშვილი, ზ. ნოზაძე, ი. კილაძე, ლ. კუჭაშვილი (80. ა. ბაბლიძე), თ. ჯაჯანიძე (38. იაკობ დეისაძე), იაგო დეისაძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: ზ. ჯაფარიძე, ი. ცერცვაძე, გ. ბრეგვაძე, დ. მოდებაძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

დინამო-2: ტ. ხაინდრავა, დ. ხოჭოლავა, თ. კაკულია, გ. გაგნიძე, ა. ტვილდიანი (80. ჭ. ჭეჭელაშვილი), ი. ლექვთაძე (14. ბ. რუხაძე), ლ. პარუნაშვილი, ჯ. ჯილაური, ბ. ზივზივაძე (82. კ. ბაგაშვილი), ვ. ფოცხვერია

სათადარიგოები: ბ. მუმლაძე, ა. მანაგაძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: ზ. ნოზაძე, დ. სევასტოპულო, თ. ხარებავა; ვ. ფოცხვერია, კ. გაბაშვილი

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 14 | 11 | 2 | 1 | 39-11 | 35 |
| 2. სასკო | 14 | 11 | 0 | 3 | 45-16 | 33 |
| 3. დინამო-2 | 14 | 9 | 3 | 2 | 53-20 | 30 |
| 4. გაგრა | 14 | 9 | 1 | 4 | 26-11 | 28 |
| 5. სტუ | 14 | 7 | 0 | 7 | 32-37 | 21 |
| 6. იმერეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16-18 | 20 |
| 7. ძედა | 14 | 6 | 1 | 7 | 19-29 | 19 |
| 8. სქური | 14 | 4 | 5 | 5 | 14-20 | 17 |
| 9. ჭიათურა | 14 | 4 | 2 | 8 | 14-25 | 14 |
| 10. მეშახტე | 14 | 3 | 3 | 8 | 13-40 | 12 |
| 11. სულორი | 14 | 2 | 1 | 11 | 11-37 | 7 |
| 12. რაჭა | 14 | 1 | 2 | 11 | 14-32 | 5 |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| გიორგი ქვილითაია (სასკო) | 18 |
| გიგა კვერენჩხილაძე (გურია) | 14 |
| ავთანდილ ბაგაშვილი (სტუ) | 11 |

**მომდევნო ტური**

**24 ნოემბერი**

სტუ – ჭიათურა
ბეთლემი – მეშახტე
სქური – გაგრა
გურია – იმერეთი

**25 ნოემბერი**

სასკო – სულორი

**27 ნოემბერი**

რაჭა – დინამო-2

## B ჯგუფი

### სამტრედია – ადელი 4:0

20.11. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 200 მაყურებელი

1:0, 2:0 მ. როსტიაშვილი (20, პენალტით, 32), 3:0 ბ. გედენიძე (34), 4:0 მ. როსტიაშვილი (83, პენალტით).

სამტრედია: დ. კეკელიძე, დ. ჩხიკვაძე, ს. გოგია, დ. სამსეიშვილი, ა. დვალიშვილი, ბ. გედენიძე (46. ზ. ქურდობაძე), მ. ჟვანია, თ. კიკაბიძე, შ. კერძევაძე (57. ზ. ხაჭიპერაძე), ლ. ხაჭაპურიძე (58. მ. რუხაძე), მ. როსტიაშვილი

სათადარიგოები: ნ. ბანძავა, ბ. ახობაძე, ა. თელია

მწვრთნელი: ლ. მეგენეიშვილი

ადელი: გ. შერვაშიძე, ი. ჰაადი (84. კ. ბაგალიშვილი), გ. ფალავანდიშვილი, ვ. სიორდია, თ. ნადირაძე, მ. მამულაძე (81. თ. გიორგაძე), ა. ფარტენაძე, ნ დავითაძე, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი (71. ი. ლოლობერიძე), ლ. კოშაძე

სათადარიგო: გ. რომანაძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

გაფრთხილება: გ. შერვაშიძე, ი. ჰაადი.

არბიტრი: ხ. გაგნიძე

### კოლხეთი – ზოოვეტი 2:0

20.11. ხობი. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 ლ. გოგენია (63), 2:0 დ. ციცხვაია (78)

კოლხეთი: მ. ძიძიგური, გ. ქირია, გ. გოგენია, დ. ჭითანავა, ლ. გოგენია, გ. ფარფალია, ვ. ფირცხელავა (80. კ. გოგენია), ლ. მეფიშვილი ლ. ჯიქიძე (87. გ. ლომაია), მ. ჭკადუა (67. კ. ალანია), დ. ციცხვაია

სათადარიგოები: ზ. გელაშვილი, პ. გაბრავა, ლ. ქაშიბაძე, ბ. ბუკია

მწვრთნელი: ბ შეროზია

ზოოვეტი: ზ. გოგრიჭიანი, მ. მერეჩკო, ლ. ლონლაძე, ი. ალასანია (80. ა. კაპანაძე), გ. ჭოველიძე, ლ. დათუნაშვილი (74. ლ. ჯოხაძე), გ. ტუხაშვილი (87. გ. ტვილდიანი), ი. ჯოჯიშვილი, ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ს. ჭიკაიძე

სათადარიგოები: უ. მამულაშვილი, ბ. ყიფიანი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: მ. ჭკადუა, დ. ციცხვაია; ლ. ლონლაძე, ი. სვანიძე, ი. ჯოჯიშვილი

არბიტრი: გ. დოგრაშვილი

### მერცხალი – სამგურალი 0:0

20.11. ოზურგეთი. ცენტრალური. 200 მაყურებელი

მერცხალი: გია გოგუა, თ. ჩხატარაშვილი, გ. ხამაშურიძე, ს. გ. ჩიგოგიძე, ზ. ტულუში, ზ. ხურციძე (53. ი. ხეცურიანი), გ. კაშია, გ. მექვაბიშვილი, ნ. ვ. ჩიგოგიძე, ლ. ათუაშვილი (46. ლ. კოტრიკაძე), ვ. ჯაყელი (59. ი. კალაჯიშვილი)

სათადარიგოები: გ. გოგუა გ. პაპკოვი, ი. მურუსიძე

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ზ. ჩიხლაძე, ზ. სალრმაძე, ო. კაპანაძე, ს. უგრეხელიძე, ა. მეტონიძე, ა. სვადაგიანი (77. ო. გორაძე), ლ. ყიფიანი (57. გ. თევდორაძე), ზ. კუხალაშვილი (86. ლ. ნავერიანი)

სათადარიგოები: დ. მემარნიშვილი, ჯ. ჯანელიძე, ნ. ბაბუნიძე, ა. ფანცხავა

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: ვ. ჯაყელი; ბ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: დ. სანოძე

### ლოკომოტივი – ლიახვი 3:2

20.11. საბურთალოს სპორტკომპლექსი. 100 მაყურებელი

0:1 ზ. ქანთარია (20), 1:1 ჯ. ყანჩაშვილი (45), 2:1 დ. ჯიქია (45), 2:2 ზ. ქანთარია (57), 3:2 ა. მზევაშვილი (84)

ლოკომოტივი: ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი, მ. გოროზია, ლ. რეხვიაშვილი, დ. მიქავა, ა. გუგუშვილი (73. დ. გუჯაბიძე), მ. ცინცაძე, ლ. კიკაბიძე (60. გ. გურეშიძე), ჯ. ყანჩაშვილი (82. გ. ბაქრაძე), დ. ჯიქია, ა. მზევაშვილი

სათადარიგოები: დ. დარციმელია, ლ. კვარაცხელია, ლ. ზარანდია, ბ. ტყემალაძე.

მწვრთნელი: გ. სანაია

ლიახვი: ლ. ეზიეშვილი, გ. მინდორაშვილი ლ. ქანთარია (59. ა. ტეტუნაშვილი), მ. ჯიქია, თ. შუბითიძე (80. ლ. კომლაძე), ა. ქელიხაშვილი, გ. კუხალაშვილი. გ. ლობჟანიძე. გ. თოლორდავა, ზ. ქანთარია, თ. აზიკური (77. ზ. ჭადაშვილი)

სათადარიგოები: ა. ბარნაბიშვილი, ზ. ხუბიაშვილი, ნ. ლიპარიშვილი, ს. ძებისაშვილი

მწვრთნელი: უ. ქანთარია

გაფრთხილება: თ. აზიკური

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

### შუქურა – სპარტაკი 0:1

20.11. ქობულეთი. „ჩელე-არენა". 600 მაყურებელი

0:1 დ. გაბელია (66, საკუთარ კარში)

შუქურა: თ. კაკალაძე, მ. ფუტკარაძე, ა. ბრაჭული, ლ. მახარაძე, დ. გაბელია, ა. ლორია (54. მ. კოპალიანი), გ. ჩელებაძე, გ. ჩხიკვიშვილი, მ. კაკალაძე, ლ. ჩაფიძე, ი. ტაკიძე

სათადარიგოები: გ. ზოიძე, მ. ბალაძე, მ. ქათამაძე, ვ. ცენტერაძე, გ. დევაძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე, ლ. ჭაფოძე, უ. ბურძენაძე (90. კ. კაკაშვილი), ლ. თვალავაძე, თ. თუხარელი, თ. შონია, ვ. კილასონია (90. თ. მაქაცარია), გ. ლემონჯავა, დ. გელაშვილი (83. გ. ნარიმანიძე), ზ. მეტრეველი

სათადარიგოები: ა. ხალიევი, გ. ხარაზიშვილი, გ. ვაშაკიძე

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

გაფრთხილება: ა. ბრაჭული, გ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩელებაძე; ლ. თვალავაძე, ხ. მეტრეველი

გაძევება: ა. ბრაჭული

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 13 | 11 | 1 | 1 | 34-5 | 34 |
| 2. კოლხეთი (ხბ) | 12 | 9 | 1 | 2 | 20-11 | 28 |
| 3. ლოკომოტივი | 13 | 7 | 3 | 3 | 33-14 | 24 |
| 4. შუქურა | 13 | 7 | 2 | 4 | 20-11 | 23 |
| 5. სამტრედია | 13 | 7 | 2 | 4 | 18-11 | 23 |
| 6. სამგურალი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-22 | 17 |
| 7. ზოოვეტი | 13 | 4 | 3 | 6 | 14-19 | 15 |
| 8. მერცხალი | 12 | 3 | 4 | 5 | 16-14 | 13 |
| 9. ლიახვი | 13 | 2 | 3 | 8 | 10-29 | 9 |
| 10. ადელი | 13 | 2 | 0 | 11 | 15-38 | 6 |
| 11. ჩხერიმელა | 12 | 2 | 0 | 10 | 11-37 | 6 |

**ბომბარდირები:**

| | |
|---|---|
| თორნიკე კაპანაძე (სამგურალი) | 13 |
| დავით ჯიქია (ლოკომოტივი | 9 |
| დავით გელაშვილი (სპარტაკი) | 9 |

**მომდევნო ტური**

**25 ნოემბერი**

შუქურა – სამტრედია
სპარტაკი – ლოკომოტივი
სამგურალი – კოლხეთი
ზოვეტი – ჩხერიმელა

**26 ნოემბერი**

ლიახვი – მერცხალი

**მეორე ლიგა, აღმოსავლეთი.**

**გადადებული მატჩები**

| | |
|---|---|
| იბერია – ლიახვი-2 | 2:5 |
| ალგეთი XXI – სასკო-2 | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი-2011 | 12 | 11 | 1 | 0 | 43-4 | 34 |
| 2. ივერია | 12 | 9 | 0 | 3 | 41-25 | 27 |
| 3. იუსი ბესტი | 12 | 8 | 2 | 2 | 47-15 | 26 |
| 4. სპარტაკი-2 | 12 | 8 | 1 | 3 | 37-19 | 25 |
| 5. დუშეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 32-17 | 22 |
| 6. საქ. უნივერს. | 11 | 7 | 1 | 3 | 29-15 | 22 |
| 7. გაგრა-2 | 12 | 5 | 1 | 6 | 31-30 | 16 |
| 8. ლიახვი-2 | 10 | 4 | 1 | 5 | 14-16 | 13 |
| 9. ლაგოდეხი | 12 | 4 | 1 | 7 | 20-36 | 13 |
| 10. აბული | 12 | 2 | 5 | 5 | 15-25 | 11 |
| 118 ალგეთი-XXI | 12 | 3 | 0 | 9 | 15-29 | 9 |
| 12. იბერია | 12 | 2 | 1 | 9 | 22-45 | 7 |
| 13. ფარავანი | 12 | 2 | 1 | 9 | 12-36 | 7 |
| 14. სასკო-2 | 12 | 2 | 0 | 10 | 15-61 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუპერკლასიკო დე ლას ამერიკასი. საპასუხო მატჩი

# ბრაზილიამ ბომბონერაზე პენალტებით მოიგო

**არგენტინა-ბრაზილია 2:1 პენ. 3:4**

(პირველი მატჩი 1:2)

**არგენტინა** (3-4-2-1): ორიონი – სება დომინგესი, დესაბატო, ლისანდრო ლოპესი – პერუცი, სერო (ო. აჰუმადა 88), გინიასუ, ვანხიონი – მონტილიო, ხ. მარტინესი – ბარკოსი (სკოკო 69).

**ბრაზილია** (4-3-1-2): დიეგო კავალიერი – ლუკას მარკესი (ბერნარდი 74), რევერი, დურვალი, ფაბიო სანტოსი (კარლინიოსი 63) – არუკა (ჟეანი 69), პაულინიო, რალფი – ტიაგო ნევეში – ნეიმარი, ფრედი.

**გოლები:** 1:0 სკოკო (82-პენ), 1:1 ფრედი (84), 2:1 სკოკო (90).

**გაფრთხილება:** გინიასუ – რევერი, ფრედი.

**პენალტები:** 0:0 ხ. მარტინესი (მეკარე), 0:1 პაულინიო, 0:1 მონტილიო (ააცილა), 0:2 ტიაგო ნევეში, 1:2 სება დომინგესი, 1:2 კარლინიოსი (მეკარე), 2:2 სკოკო, 2:3 ფრედი, 3:3 ორიონი, 3:4 ნეიმარი.



**"ლა ბომბონერაზე" "სუპერკლასიკო დე ლას ამერიკასის" საპასუხო მატჩი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ეს არის ყოველწლიური ტურნირი, რომელშიც ერთმანეთს არგენტინის და ბრაზილიის ეროვნული ნაკრებები უპირისპირდებიან და გამარჯვებულს ორმატჩიან დუელში არკვევენ. ტურნირს საფუძველი შარშან ჩაუყარეს და ის ბრაზილიის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, როდესაც არგენტინაში ნათამაშები უგოლო ფრის შემდეგ, საკუთარ მოედანზე "ალბისელესტეს" 2:0 მოუგო.**

წლევანდელი თასის პირველი მატჩი ბრაზილიაში 20 სექტემბერს გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა. საპასუხო შეხვედრა ჯერ კიდევ ოქტომბერში, ქალაქ რესისტენსიაში უნდა გამართულიყო, მაგრამ არგენტინელებმა საორგანიზაციო საკითხებს (სტადიონზე განათების სისტემა არ იყო მწყობრში) თავი ვერ მოაბეს და მატჩი ერთი თვით გადაიდო. ამჯერად, ყველანაირი ექსცესისგან თავის დასაზღვევად, მასპინძლებმა "ბომბონერაზე" თამაში გადაწყვიტეს.

შეხვედრა საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა და გუნდებმა მხოლოდ ბოლო 10 წუთში გამოიღვიძეს. პირველ ტაიმში ერთადერთი რეალური მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ **ნეიმარმა აგუსტინ ორიონს** ვერ აჯობა.

"ალბისელესტეს" რიგებში ყველაზე პასიური **ერნან ბარკოსი** იყო, რომელმაც 69 წუთი პრაქტიკულად უბურთოდ ირბინა და **ალეხანდრო საბელიამ** მოედანზე მის მაგივრად, არგენტინის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი **იგნასიო სკოკო** გამოიყვანა, რომელსაც ეროვნულ გუნდში დებიუტი ჰქონდა.

ამ მატჩში გოლები საკუთარი ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირებმა გაიტანეს. ანგარიში 82-ე წუთზე გაიხსნა – მასპინძელთა რიგებში ყველაზე მონდომებულმა, "კორინთიანსის" ფორვარდმა, **ხუან მანუელ მარტინესმა** საკუთარ გუნდს პენალტი მოუპოვა. არგენტინელი **ჟეანმა** წააქცია, მაგრამ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ წესების დარღვევას ადგილი საჯარიმოს გარეთ ჰქონდა და 11-მეტრიანი არ უნდა დანიშნულიყო. პენალტი ზუსტად **სკოკომ** შეასრულა და სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა.

მასპინძლებს ზეიმი დასრულებული არ ჰქონდათ, როდესაც ტაბლოზე უკვე 1:1 ენთო. ჟეანმა საკუთარი შეცდომა გამოასწორა და **ფრედს** საგოლე პასი გაუკეთა. შეხვედრის დასრულებამდე სულ რალაც 6 წუთი რჩებოდა და მასპინძლები გოლის გამტან გუნდს ნამდვილად არ ჰგავდნენ. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, უპირატესობას ბრაზილია ფლობდა, მაგრამ ერთ-ერთი შეტევის დროს სტუმრებმა ბურთი დაკარგეს, რასაც არგენტინელთა მომენტალური კონტრშეტევა მოჰყვა. შესანიშნავი კომბინაცია **ვალტერ მონტილიოს** საოცარი გადაცემით და სკოკოს მეორე გოლით დასრულდა.

საბოლოოდ მატჩი ასეც დასრულდა და იმის გამო, რომ რეგლამენტით დამატებითი დრო გათვალისწინებული არ იყო, გუნდებმა პირდაპირ 11-მეტრიანები შეასრულეს, სადაც უფრო კარგად სტუმრები გაისარჯნენ. არგენტინელთა მხრიდან პენალტი, 90 წუთის განმავლობაში ყველაზე გამორჩეულებმა, ხუან მარტინესმა და ვალტერ მონტილიომ ვერ გაიტანეს. გადამწყვეტი გოლი კი, მთელი შეხვედრის განმავლობაში ჩრდილში მყოფმა ნეიმარმა გამოიყენა და "სელესაოს" ტიტული შეუნარჩუნა.

მიუხედავად მარცხისა, ალეხანდრო საბელია მაინც კმაყოფილი იყო: *"ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს და მხოლოდ ქებას იმსახურებენ. ტიტულის მოგებასთან ახლოს ვიყავით და მხოლოდ პენალტებში დავმარცხდით, თამაშით კი მეტოქეს ვაჯობეთ და ამის გამო ძალიან კმაყოფილი ვარ".*

*"ჩვენ ძალიან ჭკვიანურად ვითამაშეთ და ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. ძალიან სამწუხაროა, რომ საბოლოოდ დავმარცხდით, მაგრამ რას ვიზამთ, უბრალოდ არ გაგვიმართლა"* – განაცხადა იგნასიო სკოკომ.

ამბები

## ფლუმინენსე კონკას დაბრუნებას ეძდება

"ფლუმინენსეს" ვიცე-პრეზიდენტმა, **სანდრო ლიმამ** განაცხადა, რომ კლუბის მთავარი სატრანსფერო სამიზნე, ყოფილი ფეხბურთელი **დარიო კონკა** არის. ბრაზილიის ჩემპიონმა, არგენტინელი ფეხბურთელი 2011 წელს 10 მილიონი დოლარის საფასურად ჩინურ "ევერგრანდში" გაყიდა. იმის გამო, რომ კონკას კონტრაქტით კიდევ ერთი წელი აქვს დარჩენილი, ბრაზილიელები იმედოვნებენ, რომ ყოფილ ფეხბურთელს ნაკლებ თანხად, მომავალი წლის იანვარში დაიბრუნებენ და ის მათ ლიბერტადორესის თასზე დაეხმარება.

*"რა თქმა უნდა, მისი შეძენა ჩვენთვის პრიორიტეტულია, განსაკუთრებით კონკას წარსული მიღწევების გამო. ჯერ მასთან არ მისაუბრია, მაგრამ ამას უახლოეს დღეებში აუცილებლად გავაკეთებ"* – განუცხადა ლიმამ "ფოქს სპორტს".

კონკამ "ფლუმინენსეს" 2010 წლის ჩემპიონობაში უდიდესი წვლილი შეიტანა და საბოლოოდ ბრაზილიის წლის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ჩინეთში გადასვლის შემდეგ, 29 წლის არგენტინელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელი გახდა, ხოლო მისმა "ევერგრანდმა" ჩინეთის ჩემპიონატი ზედიზედ ორჯერ მოიგო და ცოტა ხნის წინ, ჩინური ფეხბურთის ისტორიაში მხოლოდ მესამე გუნდი გახდა, რომელმაც დუბლის შესრულება შეძლო.

## ლუკას მოურა პარი სენ ჟერმენისთვის ემზადება

"სან პაულოს" ფორვარდი ლუკას მოურა, რომელიც იანვრიდან "პარი სენ ჟერმენს" შეუერთდება, დარწმუნებულია, რომ მისი ახალი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონი გახდება და მალე ევროპული ფეხბურთის გრანდად ჩამოყალიბდება.

20 წლის ფეხბურთელის შეძენა ბევრ ევროპულ გრანდს სურდა, მაგრამ ყველას პარიზულმა გუნდმა აჯობა და ბრაზილიელში დაახლოებით 45 მილიონი ევრო გადაიხადა.

**კარლო ანჩელოტის** გუნდი ლიგა 1-ში მესამე პოზიციაზეა და ლიდერ "ლიონს" ორი ქულით ჩამორჩება, თუმცა მოურა დარწმუნებულია, რომ სეზონის ბოლოს, ჩემპიონის ტიტულს მისი ახალი გუნდი დაეუფლება: *"საჩემპიონო გუნდს ერთ დღე-ღამეში ვერ ააშენებ, ამას გარკვეული დრო სჭირდება. პსჟ-ს ძალიან ბევრი მსოფლიო დონის მოთამაშე ჰყავს და მეც ვეცდები, რომ გუნდს დახმარება გავუწიო".*

ლუკასმა ასევე ისაუბრა იმ მიზეზებზე, რის გამოც პარიზში გადასვლას დათანხმდა: *"პსჟ-ს წინადადებაზე თანხმობა განვაცხადე, რადგან გრანდში თამაში მსურდა, გარდა ამისა, ამ გუნდში ბევრი ბრაზილიელი თამაშობს და ჩემს არჩევანზე ამ ფაქტორმაც იმოქმედა. ასევე მათ წლის ბოლომდე "სან პაულოში" დარჩენის საშუალება მომცეს, მე კი ამ გუნდიდან ტიტულის და ლიბერტადორესის თასის საგზურის გარეშე წასვლა არ მინდოდა".*

"სან პაულო" ბრაზილიის ჩემპიონატში, რომლის დამთავრებამდეც ორი ტური დარჩა, მეოთხე ადგილზეა და ლიბერტადორესის თასის საგზური გარანტირებული აქვს გარდა ამისა, მოურას გუნდი კოპა სუდამერიკანას 1/2 ფინალშია, სადაც დღეს დილით, პირველ შეხვედრაში "უნივერსიდად კათოლიკას" დაუპირისპირდა.

## ელ პაისმა კანდიდატები დაასახელა

1986 წლიდან მოყოლებული, ურუგვაული გაზეთი "ელ პაისი" სამხრეთ ამერიკის წლის საუკეთესო ფეხბურთელს აჯილდოებს. შარშან გამარჯვება **ნეიმარმა** მოიპოვა, მეორე და მესამე ადგილი კი **ედუარდო ვარგასმა** და **განსომ** დაიკავეს. გარდა ამისა, გულშემატკივართა გამოკითხვით წლის სიმბოლური ნაკრები და წლის საუკეთესო მწვრთნელიც ირკვევა.

გუშინ "ელ პაისმა" კანდიდატების სია გამოაქვეყნა. საინტერესოა, რომ ნომინირებულია **ხუან რონამ რიკელმე,** რომელიც აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ფეხბურთს აღარ თამაშობს.

გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად ovaciondigital.com.uy-ზე უნდა შეხვიდეთ. სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრაზე პრეტენზიას შემდეგი ფეხბურთელები აცხადებენ:

**მეკარეები:** ალექსანდრ დომინგესი (ლდუ), რაფაელ კაბრალი (სანტოსი), აგუსტინ ორიონი (ბოკა ხუნიორსი), კასიო (კორინთიანსი), მარტინ სილვა (ოლიმპია).

**მარჯვენა მცველი:** ჯინო პერუცი (ველეს სარსფილდი), კარლოს ბონეტი (ლიბერტადი), ნეისერ რეასკო (ლდუ), ლუის ადვინკულა (სპორტინ კრისტალი), მატიას როდრიგესი (უნივერსიდად დე ჩილე).

**მარჯვენა ცენტრალური მცველი:** როლანდო სკიავი (ბოკა ხუნიორსი), ოსვალდო გონსალესი (უნივერსიდად დე ჩილე), სანტიაგო აკასიეტე (სიენსიანო), დურვალი (სანტოსი), ოსვალდო ვისკარონდო (ლანუსი).

**მარცხენა ცენტრალური მცველი:** გაბრიელ ჰაინცე (ნიუელს ოლდ ბოისი), აკივალდო მოსკერა (ამერიკა), ფრიკსონ ერასო (ბარსელონა), სებასტიან დომინგესი (ველეს სარსფილდი), გილერმო ბურდისო (ბოკა ხუნიორსი).

**მარცხენა მცველი:** კლემენტე როდრიგესი (ბოკა ხუნიორსი), ვალტერ აიოვი (მონტერეი), ხუან ვალენსია (ატლეტიკო ნასიონალი), იოშიმარ იოტუნი (სპორტინგ კრისტალი), ეუხენიო მენა (უნივერსიდად დე ჩილე).

**მარჯვენა ნახევარმცველი:** კარლოს სანჩესი (რივერ პლეიტი), მაურისიო პერეირა (ლანუსი), ჩარლს არანგისი (უნივერსიდად დე ჩილე), დიეგო ვილიარი (რასინგი), ჟუნინიო (ვასკო და გამა).

**საყრდენი ნახევარმცველი:** პაბლო გინიასუ (ინტერნასიონალი), ვიქტორ კასერესი (ფლამენგო), ლეონარდო პონსიო (რივერ პლეიტი), როდრიგო ბრანია (ესტუდიანტესი), ფრანსისკო სილვა (უნივერსიდად კათოლიკა).

**მარცხენა ნახევარმცველი:** ლუის რამირესი (კორინთიანსი), ხორხე როდრიგესი (ხაგუარესი), ჯეფერსონ მონტერო (მორელია), ვალტერ მონტილიო (კრუზეირო), ანდრეს დალესანდრო (ინტერნასოინალი).

**შემტევი ნახევარმცველი:** რონალდინიო (ატლეტიკო მინეირო), ალვარო რეკობა (ნასიონალი), Lუკას მოურა (სან პაულო), მაკნელი ტორესი (ატლეტიკო ნასიონალი), ხუან რომან რიკელმე (ბოკა ხუნიორსი).

**მეორე ფორვარდი:** პაოლო გერერო (კორინთიანსი), კარლოს ნუნიესი (ლივერპული), ემერსონ შეიკი (კორინთიანსი), კრისტიან ბენიტესი (ამერიკა), ტეოფილო გუტიერესი (ხუნიორი).

**ცენტრფორვარდი:** ნეიმარი (სანტოსი), ერნან ბარკოსი (პალმეირასი), სანტიაგო სილვა (ბოკა ხუნიორსი), ხუან მანუელ ოლივეირა (პენიაროლი), მარსელო სალაიეტა (პენიაროლი).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**




რიკელმე სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრის კანდიდატია

ჩემპიონთა ლიგა. V ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტრიგა მოკვდა

## 4 დეკემბერს მთქნარება გარდაუვალია



ფილიპ მექსეს ბრწყინვალე მაკრატელა

**A, B, C და D ჯგუფებიდან** ყველა მერვედფინალისტი ცნობილია. ამ ოთხ ჯგუფში ორადორი ინტრიგა შემორჩა და ორივე მესამე ადგილის დაკავებას ეხება, რაც ჩემპიონთა ლიგის კუთხით უკვე უინტერესოა. ამრიგად, რაც უნდა სამწუხარო იყოს, 4 დეკემბერს ინტრიგის მხრივ მოსაწყენი საღამოს გველის. ოთხშაბათს ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგას ინგლისის ჩემპიონი გამოეთხოვა, დორტმუნდის „ბორუსიამ" კი „სიკვდილის ჯგუფში" პირველი ადგილი გაინაღდა. ყველაზე თვალსასეირო მოვლენა კი ფილიპ მექსეს გოლი გახლდათ.

### A ჯგუფი

**დინამო (კ)-პსჟ 0:2**

**გოლები:** 0:1 ლავეცი (45), 0:2 ლავეცი (52)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ესეკილ ლავეცი (პსჟ)

პსჟ-მ კიევში ძალების ზედმეტი დახარჯვის გარეშე, უპრობლემოდ მოიგო. ვერ ვიტყვით, რომ უკრაინელებს ხელი ჰქონდათ ჩაქნეული - უნიათო თამაშისა და მორიგი მარცხის მიზეზი უფრო ისაა, რომ დღესდღეობით კიევის „დინამო" არ არის ძლიერი გუნდი და შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც არაფერი ესაქმება. თამაში დიდად თვალსასეირო არ ყოფილა, სამაგიეროდ, **ესეკილ ლავეცის** გოლები გამოვიდა ლამაზი. ჯერ იყო და, არგენტინელმა **იბრაჰიმოვიჩისგან** კარგი პასი მიიღო, რის შემდეგაც **კოვალს** ბურთი თავზე გადაატარა, მეორე ტაიმში კი „დინამოს" მცველების შეცდომით ისარგებლა. დარჩენილ დროში კიეველები უტევდნენ და მომენტებიც შექმნეს, მიზანს კი ვერაფრით მიაღწიეს - **სირიგუმ დუდუს** ორჯერ ბრწყინვალე რეაქციით აუღო.

ბოლო ტურში „დინამო" ზაგრებში ჩადის და ეს მატჩი სპორტული თვალსაზრისით აბსოლუტურად უმოტივაციო იქნება, რადგან კიეველებს მესამე ადგილი აქვთ განაღდებული, ხორვატებს - მეოთხე. პსჟ-ს კი „პორტუსთან" პირველი ადგილისთვის დუელი ელის.

**ოლეგ ბლოხინი („დინამოს" მწვრთნელი):** *„მართალია, ბიჭებმა იბრძოლეს, მაგრამ პარალელურად სასტიკი, უპატიებელი შეცდომები დაუშვეს, ასეთ რალაცებს კი ჩემს გუნდში ვერ ავიტან. კიევის „დინამოში" ბევრი რამ შეიცვლება..."*

**კარლო ანჩელოტი (პსჟ-ს მწვრთნელი):** *„მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ, მაგრამ არ დაგიმალავთ, უკვე მომდევნო შეხვედრაზე ვფიქრობ. მინდა, რომ ჩემმა შეგირდებმა საფრანგეთის ჩემპიონატშიც ასეთი შემართებით იასპარეზონ."*

**პორტუ-დინამო (ზ) 3:0**

**გოლები:** 1:0 ლუჩო გონსალესი (20), 2:0 ჟოაო მოუტინიო (67), 3:0 ვარელა (85)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჟოაო მოუტინიო (პორტუ)

სადაც კიევის „დინამოზე" ვთქვით, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში არაფერი ესაქმებაო, იქ ზაგრების „დინამო" საერთოდ ჩემპიონთა ლიგაში თამაშს არ იმსახურებს. „პორტუ" მაგარი გუნდია, მაგრამ ხორვატიის ჩემპიონი პორტუგალიისას მცირეოდენ წინააღმდეგობას ხომ მაინც უნდა უწევდეს? არაფერიც: „პორტუმ" ძალიან იოლად მოიგო. მასპინძლები **ლუჩო გონსალესის** მოხდენილი გოლით დაწინაურდნენ, მეორე გოლი ბრწყინვალე **ჟოაო მოუტინიომ** საჯარიმო დარტყმით შეაგდო, ბოლოს კი **ვარელამ** ისევ და ისევ მოუტინიოს საოცნებო პასით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბოლო ტურში, 4 დეკემბერს „პორტუ" პარიზში ჩადის და ფრეც ეყოფა იმისათვის, რომ ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდეს. რაც შეეხება ზაგრების „დინამოს": ხორვატების მიზანი კიევის „დინამოსთან" ბოლო ტურის დუელში პრესტიჟის გოლის გატანა იქნება - ამ გრაფაში ზაგრებელებს ხომ ჯერ კიდევ ნული უწერიათ...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. პსჟ | 5 | 4 | 0 | 1 | 12-2 | 12 |
| 3. დინამო (კ) | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 4. დინამო (ზ) | 5 | 0 | 0 | 5 | 0-13 | 0 |

### B ჯგუფი

**შალკე-ოლიმპიაკოსი 1:0**

**გოლი:** 1:0 ფუხსი (77)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კირიაკოს პაპადოპულოსი (შალკე)

„შალკემ" ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში თამაში ჯგუფური ეტაპის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა და ეს გელზენკირხენული კლუბისთვის საკმაოდ კარგი მიღწევაა. კიდევ უფრო დასაფასებელია ის ფაქტები, რომ **ჰუუბ სტევენსის** გუნდი პირველ ადგილზეა და პირველი ტურიდან დღემდე ეჭვი არავის შეჰპარვია იმაში, რომ „შალკე" ამ ჯგუფიდან გავიდოდა. მართალია, გელზენკირხენელებმა ბერძნული „ოლიმპიაკოსი" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს, მაგრამ სერიოზული საფრთხის წინაშე მთელი 90 წუთის განმავლობაში არ დამდგარან.

„შალკეს" ერთადერთი პრობლემა მეკარე **ლარს უნერშტალი** გახლდათ, რომელიც გელზენკირხენულ პუბლიკას ისედაც არ ეხატ[illegible]ულზე და გუშინწინაც, მისი შეცდ[illegible]კელებს კინალამ ძვირად დაუჯდათ, მაგრამ უნერშტალს გაუმართლა - ბურთი კარს მცირე მანძილით ასცდა. სამაგიეროდ, არ გაუმართლა „ოლიმპიაკოსის" კიპერ **როი კეროლს**, რომელმაც **კრისტიან ფუხსის** ასაღები დარტყმა ვერ აიღო.

**არსენალი-მონპელიე 2:0**

**გოლები:** 1:0 უილშირი (49), 2:0 პოდოლსკი (63)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლუკას პოდოლსკი (არსენალი)

ლონდონელები პირველ ტაიმში თვლემდნენ და მხოლოდ მეორე ტაიმში ითამაშეს კარგი, კომბინაციური ფეხბურთი, რასაც შესაბამისი შედეგი მოჰყვა: **არსენ ვენგერის** გუნდმა „მონპელიე" მოლოდინისამებრ დაამარცხა და ჯგუფიდან გასვლა ოფიციალურად გაიფორმა. ბოლო ტურში კი „მეთოფეები" სწორედ „მონპელიეს" იმედად იქნებიან, რადგან საფრანგეთის ჩემპიონი „შალკეს" ხვდება, „არსენალს" კი პირველი ადგილის დაკავება უნდა.

პირველი ტაიმიდან მხოლოდ ორი რამ იყო აღსანიშნავი: არაზუსტი პასების უჩვეულოდ მაღალი მაჩვენებელი და **კოშელნის** თავური დარტყმა, რომლის შემდეგაც ბურთი **ჟურდრენის** კარის ძელს მოხვდა. მეორე ნახევარში ხეირიანი ფეხბურთი გაჩაღდა, ყურადღების ცენტრში კი **ლუკას პოდოლსკი** მოექცა, რომელიც პირველი გოლის მთავარი ინიციატორი გახლდათ, მეორე კი თავად შეაგდო მოხდენილი დარტყმით. „მონპელიემ" კვლავ უხეირო ფეხბურთი აჩვენა...

**ლუკას პოდოლსკი (არსენალი):** *„მონპელიე" არც ისე ცუდი გუნდია, როგორც ეს ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილიდან ჩანს, მაგრამ გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდა. „ოლიმპიაკოსთან" სამი ქულის აღება რთული იქნება, მაგრამ ბოლო მატჩიც უნდა მოვიგოთ."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 5 | 3 | 2 | 0 | 9-5 | 11 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-8 | 6 |
| 4. მონპელიე | 5 | 0 | 1 | 4 | 5-11 | 1 |

### C ჯგუფი

**ზენიტი-მალაგა 2:2**

**გოლები:** 0:1 ბუონანოტე (8), 0:2 ფერნანდესი (9), 1:2 დანი (49), 2:2 ფაიზულინი (86)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ვილი კაბალიერო (მალაგა)

**ალექსანდრ კერჟაკოვი** კინალამ მატჩის ანტიგმირი გახდა და ასე რომ არ მოხდა, **ფაიზულინს** უნდა უმადლოდეს, რომელმაც მატჩის მიწურულს ანგარიში გაათანაბრა - წინააღმდეგ შემთხვევაში, პეტერბურგელები წააგებდნენ და ყველაფერი კერჟაკოვს დაბრალდებოდა. მაინც რა ქნა ასეთი „ზენიტის" გოლეადორმა? 1:2-ზე „მალაგას" მცველები მოხდენილად დაიფრინა, მერე გვერდი ესპანელთა მეკარე **ვილი კაბალიეროსაც** აუარა და ცარიელ კარში გატანაღა მართებდა, მაგრამ ბურთი ბადეს გარედან მოარტყა. თუმცა „ზენიტს" ერთი ქულა არაფერში ეყო: **ლუჩანო სპალეტის** გუნდი ბოლო ტურის წინ მხოლოდ მესამე ადგილზე გასვლის იმედადაა. რაც შეეხება „მალაგას": ესპანელებმა პირველი ადგილი გაინაღდეს.

**ლუჩანო სპალეტი („ზენიტის" მწვრთნელი):** *„სამწუხაროა, რომ მატჩის შემოტრიალება ვერ შევძელით. დასაწყისში დაშვებული შეცდომები ძვირად დაგვიჯდა. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ფანები ჩვენი თამაშით უკმაყოფილო არ დარჩნენ."*

**მანუელ პელეგრინი („მალაგას" მწვრთნელი):** *„აგვისტოში ამის წარმოდგენა ძნელი იყო, მაგრამ ჩვენ ბოლომდე გვჯეროდა ჯერ იმის, რომ ჯგუფურ ეტაპზე გავიდოდით, მერე კი იმის, რომ მერვედფინალშიც გავაღწევდით. ორმაგად სასიხარულოა ის, რომ პირველი ადგილი დავიკავეთ."*

**ანდერლეხტი-მილანი 1:3**

**გოლები:** 0:1 ელ შაარავი (47), 0:2 მექსე (71), 1:2 დე სუტერი (78), 1:3 პატო (90)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ფილიპ მექსე (მილანი)

საინტერესოა, რა დაემართა **ფილიპ მექსეს** - როგორ მოახერხა საკმაოდ მოუქნელმა ცენტრალურმა მცველმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დარი ზღაპრული გოლის გატანა? ბურთი „ანდერლეხტის" საჯარიმოს მისადგომებთან მკერდზე მიიღო, შემოტრიალდა და ისეთი მაკრატელა გაუშვა, თვითი იბრაც ტაშს დაუკრავდა. ამ გოლმა მთელი მატჩი დაჩრდილა - მატჩი, რომელიც „მილანმა" დამაჯერებლად მოიგო და მერვედფინალში თამაში გაინაღდა. პირველ ადგილს კი „როსონერი" ვეღარ შესწვდება, რადგან „მალაგას" ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა აქვს. შესაბამისად, ამ ჯგუფს ერთადერთი ინტრიგა შერჩა: ვინ დაიკავებს მესამე ადგილს - „ზენიტი" თუ „ანდერლეხტი"?

**მასიმილიანო ალეგრი („მილანის" მწვრთნელი):** *„კმაყოფილი ვარ: ბიჭებმა ისე ითამაშეს, როგორც საჭირო იყო და სეზონის პირველი მიზანი მიღწეულია. ახლა სერია A-ს უნდა მივხედოთ. „იუვენტუსთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის."*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 10-3 | 11 |
| 2. მილანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. ზენიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 4. ანდერლეხტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-7 | 4 |

### D ჯგუფი

**მანჩესტერ სიტი-რეალი 1:1**

**გოლები:** 0:1 ბენზემა (10), 1:1 აგუერო (73-პენ)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)

მორჩა: ინგლისის ჩემპიონი ჯგუფში ჩარჩა, ესპანეთის ჩემპიონს კი ქულაც ეყო იმისათვის, რომ მერვედფინალის საგზური გაენაღდებინა. **რობერტო მანჩინის** შეგირდებმა კარგად დაიწყეს და უტევდნენ, „რეალი" კი კონტრშეტევებზე მწარედ იკბინებოდა. ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს **ბენზემამ მაიკონის** უყურადღებობით ისარგებლა და **დი მარიას** ჩაწოდება გოლად აქცია.

მეორე ტაიმში მანჩინიმ „სიტი" 4-4-2-ზე გადააწყო, რითაც იმას მიაღწია, რომ მანჩესტერელები დაცვაში დასტაბილურდნენ და პოზიციური შეტევები წამოიწყეს. **აგუეროს** ახლო მანძილიდან **კასილიასმა** აუღო, მერე კი „სიტიმ" პენალტი მოიპოვა - **არბელოამ** აგუეროს მაისურზე ოდნავ დაქაჩა და არგენტინელმაც „მადლობა გადაუხადა". არბელოას ამისათვის მეორე ყვითელი და შესაბამისად, წითელი აუფრიალეს, აგუერომ კი პენალტი გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. დარჩენილ დროში „სიტი" მეტ-ნაკლებად ბევრს ეცადა, მაგრამ კაცნაკლულმა მადრიდელებმა მანჩესტერელებს აღარაფერი გააბედვინეს.

ბოლო ტურის წინ „სიტის" მესამე ადგილზე გასვლის შანსი შერჩა, „რეალი" კი მეორე ადგილით უნდა დაკმაყოფილდეს - სიკვდილის ჯგუფიდან ლიდერის რანგში დორტმუნდის „ბორუსია" გავიდა...

**აიაქსი-ბორუსია (დ) 1:4**

**გოლები:** 0:1 როისი (8), 0:2 გიოტცე (36), 0:3 ლევანდოვსკი (41), 0:4 ლევანდოვსკი (67), 1:4 ჰოსენი (86)
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარიო გიოტცე (ბორუსია /დ/)

...და სავსებით დამსახურებულადაც, რადგან „რეალთან" 4 ქულის აღების შემდეგ, დორტმუნდელებმა ამსტერდამშიც შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშეს და „აიაქსი" საკუთარი პუბლიკის წინაშე 4:1 გაანადგურეს. ამ ფოიერვერკის შედეგად **იურგენ კლოპის** გუნდმა პირველი სიკვდილის ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა! კვლავ ბრწყინვალე იყო **მარიო გიოტცე**, რომელიც „დორტმუნდის" ოთხივე გოლში უშუალოდ მონაწილეობდა, თავად კი მხოლოდ ერთი გაიტანა.

**იურგენ კლოპი („ბორუსიას" მწვრთნელი):** *„მართალია, დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ დღეს „აიაქსმა" კარგად ითამაშა. ვამაყობ ჩემი გუნდით - შარშან ჩემპიონთა ლიგაში დიდი სირცხვილი ვჭამეთ, წელს კი უდიდესი პროგრესი სახეზეა."*



დორტმუნდელებმა აიაქსი გაანადგურეს და „სიკვდილის ჯგუფში" პირველი ადგილი გაინაღდეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 5 | 3 | 2 | 0 | 10-5 | 11 |
| 2. რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 11-8 | 8 |
| 3. აიაქსი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-12 | 4 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 5 | 0 | 3 | 2 | 7-10 | 3 |

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა



ცივ მოსკოვში, ეს ფოტოც კარგად მეტყველებს ბარსას კაპიტნის მებრძოლ ხასიათზე

# მესი რონალდოს გაუთანაბრდა

მოკლედ გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მიმდინარე სტატისტიკას. ბომბარდირთა დავაში კრიშტიანო რონალდოს ერთბაშად სამი მეტოქე დაეწია, მათ შორის კი ლიონელ მესია.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

**გოლები**

| გ. | ფეხბ. | კლუბი | წთ |
|---|---|---|---|
| 5 | ალანი | ბრაგა | 402 |
| 5 | ილმაზი | გალათასარაი | 411 |
| 5 | რონალდო | რეალი | 450 |
| 5 | მესი | ბარსელონა | 450 |
| 4 | ვილიანი | შახტარი | 435 |
| 4 | სოლდადო | ვალენსია | 418 |
| 4 | ოსკარი | ჩელსი | 424 |
| 4 | ჰუნტელაარი | შალკე | 448 |
| 4 | ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 450 |

**საგოლე პასები**

| პ. | ფეხბ. | კლუბი | წთ |
|---|---|---|---|
| 5 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ | 433 |
| 4 | სუგუ | კლუჟი | 234 |
| 4 | ჟირუ | არსენალი | 275 |
| 4 | ერიქსენი | აიაქსი | 450 |

**გოლი+პასი**

| ქ. | ფეხბ. | კლუბი | წთ |
|---|---|---|---|
| 8 | მესი | ბარსელონა | 450 |
| 7 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ | 433 |
| 6 | ლ. ადრიანო | შახტარი | 427 |
| 6 | ვილიანი | შახტარი | 435 |

**თამაშგარე**

| თ. | ფეხბ. | კლუბი | წთ |
|---|---|---|---|
| 11 | არი | სპარტაკი | 440 |
| 9 | ჯეკო | სიტი | 321 |
| 8 | ბენზემა | რეალი | 255 |
| 8 | ჯოვინკო | იუვენტუსი | 265 |
| 8 | ჯ. მარტინესი | პორტუ | 438 |

**გარბენი**

| კმ. | ფეხბ. | კლუბი | წთ |
|---|---|---|---|
| 65,5 | ერიქსენი | აიაქსი | 450 |
| 61,8 | მარკიზიო | იუვენტუსი | 450 |
| 61,7 | მხითარიანი | შახტარი | 450 |
| 60,9 | ს. დე იონგი | აიაქსი | 450 |
| 60,4 | პირლო | იუვენტუსი | 450 |
| 60,3 | ტ. კოსტა | ვალენსია | 450 |

**დარტყმა (ზუსტი)**

| დ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 22 | რონალდო | რეალი |
| 18 | მესი | ბარსელონა |
| 13 | ჯ. როდრიგესი | პორტუ |
| 13 | იბრაჰიმოვიჩი | პსჟ |
| 13 | მხითარიანი | შახტარი |
| 12 | გიოტცე | დორტმუნ. |
| 11 | აგირე | სიტი |
| 11 | ილმაზი | გალათას. |
| 10 | ბელჰანდა | მონპელიე |
| 10 | ვილიანი | შახტარი |
| 10 | რ. მიკაელი | ბრაგა |

**დარტყმა (უზუსტო)**

| დ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 11 | დი მარია | რეალი |
| 10 | სალვიო | ბენფიკა |
| 10 | ლევანდოვსკი | დორტმუნ. |
| 9 | რონალდო | რეალი |
| 9 | მესი | ბარსელონა |
| 9 | იბრაჰიმოვიჩი | რეალი |
| 9 | მხითარიანი | შახტარი |
| 9 | ილმაზი | გალათას. |
| 9 | ჰუნტელაარი | შალკე |
| 9 | ვუჩინიჩი | იუვენტუსი |

**პასები (სულ)**

| პ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 719 | ჩავი | ბარსელონა |
| 410 | მოისანდერი | აიაქსი |
| 408 | მოუტინიო | პორტუ |
| 392 | ბილია | ანდერლეხ. |
| 382 | ჩ. ალონსო | რეალი |
| 381 | ინანი | გალათას. |

**პასები (ზუსტი)**

| პ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 663 | ჩავი | ბარსელონა |
| 344 | მოისანდერი | აიაქსი |
| 316 | ალბა | ბარსელონა |
| 315 | მოუტინიო | პორტუ |
| 309 | დ. ალვეში | ბარსელონა |
| 309 | მასკერანო | ბარსელონა |

**პასები (სიზუსტე)**

| % | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 92 | ჩავი | ბარსელონა |
| 92 | ბუსკეტსი | ბარსელონა |
| 91 | ევანსი | იუნაიტედი |
| 90 | სონგი | ბარსელონა |
| 89 | ადრიანო | ბარსელონა |
| 88 | მასკერანო | ბარსელონა |
| 88 | კომპანი | სიტი |

*შენიშვნა: 100 და მეტი პასი*

**ჩაწოდება (სულ)**

| ჩ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 30 | სრნა | შახტარი |
| 28 | პირლო | იუვენტუსი |
| 26 | ჰალკი | ზენიტი |
| 19 | დი მარია | რეალი |
| 18 | მაშადო | ოლიმპიაკ. |
| 16 | მატა | ჩელსი |
| 16 | ფარფანი | შალკე |

**ჩაწოდება (ზუსტი)**

| ჩ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 16 | პირლო | იუვენტუსი |
| 12 | სრნა | შახტარი |
| 10 | ჰალკი | ზენიტი |
| 9 | დი მარია | რეალი |
| 7 | ჩავი | ბარსელონა |
| 6 | ფარფანი | შალკე |

**გაძევება**

| გ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 2 | ბისტროვი | ზენიტი |

**გაფრთხილება**

| გ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 3 | სიდიბე | ლილი |
| 3 | დებიუში | ლილი |
| 3 | მელო | გალათას. |
| 3 | მარკიზიო | იუვენტუსი |
| 3 | ვანიამა | სელტიკი |
| 3 | ოლებასი | ოლიმპიაკ. |
| 3 | იტურა | მალაგა |
| 3 | მატიჩი | ბენფიკა |
| 3 | დემიკელისი | მალაგა |
| 3 | პედრეტი | ლილი |
| 3 | სოლდადო | ვალენსია |
| 3 | ს. კამარა | მონპელიე |
| 3 | მექსე | მილანი |
| 3 | ი. ტურე | სიტი |
| 3 | პავლოვი | ბატე |
| 3 | ვასილიევსკი | ანდერლეხ. |

**დაჯარიმდნენ**

| ჯ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 20 | როდიონოვი | ბატე |
| 15 | ბრაუნი | სელტიკი |
| 14 | ბონუჩი | იუვენტუსი |
| 13 | ჩ. ალონსო | რეალი |
| 12 | მელო | გალათას. |
| 12 | კიელინი | იუვენტუსი |
| 12 | ედერი | ბრაგა |
| 12 | არი | სპარტაკი |
| 12 | ჰალკი | ზენიტი |
| 12 | ვარელა | პორტუ |
| 12 | სუგუ | კლუჟი |

**მათზე დაჯარიმდნენ**

| | | |
|---|---|---|
| 18 | ბალმონი | ლილი |
| 17 | პერესი | ბენფიკა |
| 16 | მბოკანი | ანდერლეხ. |
| 15 | ბასტოსი | კლუჟი |
| 15 | ჩოლაკი | გალათასა. |
| 14 | ჯ. როდრიგესი | პორტუ |
| 14 | კროოსი | ბაიერნი |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ამბები

### დელ ბოსკეს არჩევანი: გვარდიოლა, პრანდელი, დი მატეო

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა **ვისენტე დელ ბოსკემ** საჯაროდ გამოაცხადა, თუ ვის მისცემს ხმას წლის საუკეთესო მწვრთნელის გამოკითხვაში. აი, მისი არჩევანი, რომელიც „ფურია როხას“ თავკაცმა და ამ ტიტულის მოპოვების მთავარმა კანდიდატმა ესპანურ მედიას გაუმხილა: **ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა), **ჩეზარე პრანდელი** (იტალიის ნაკრები) და **რობერტო დი მატეო** (ჩელსი). აღსანიშნავია, რომ ამ სამეულიდან ორი უკვე აღარ არის თავის ადგილზე.

### ბარსელონას ლაზარეთი თხელდება

„ბარსელონას“ ლაზარეთი ნელნელა იცლება. ბოლოს **კარლეს პუიოლი** გამოჯანმრთელდა და მან უკვე ითამაშა, როგორც ჩემპიონატში, ასევე ჩემპიონთა ლიგაზე. ახლა ჯგუფთან ერთად ვარჯიში განაახლეს **ტიაგო ალკანტარამ** და **ადრიანო კორეიამ**. ადრიანოს კუნთი ჰქონდა განყვეტილი, ხოლო ალკანტარას მუხლის ტრავმა ჰქონდა.

### ტალანტი, რომელიც რეკლამით მეტს შოულობს, ვიდრე ფეხბურთით

ჩემპიონთა ლიგის მორიგ მატჩში „ბარსას“ შემადგენლობაში 19 წლის ფორვარდმა **ჟერარდ დეულოფეუმ** ითამაშა. მას ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა აქ სხვა თემაზე გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ: ჟერარდი რეკლამით უფრო მეტს შოულობს, ვიდრე სპორტით. მას პირველ გუნდში დებიუტი 17 წლის ასაკში ჰქონდა. ახლა ჟერარდის ხელფასი 60 ათასი ევროა სეზონში. „ნაიკის“ სკაუტებმა დეულოფეუ 12 წლის ასაკში შეამჩნიეს და მას, როცა 14 წლის გახდა, კონტრაქტი დაუდეს, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელი წელიწადში 150 ათას ევროს სარეკლამო საქმიანობით გამოიმუშავებს.

### ნეგრედო სამი კვირით დაისვენებს

„სევილიამ“ საუკეთესო თავდამსხმელი **ალვარო ნეგრედო** სამი კვირით დაკარგა. სევილიურ დერბიში, რომელიც **მიჩელის** გუნდის სრული ტრიუმფით დასრულდა „ბეტისზე“ (5:1), ნეგრედოს წელის ტრავმა მიუღია. დღეისათვის ნეგრედოს ლა ლიგაში 7 გოლი აქვს გატანილი და ამ მაჩვენებლით ის ჩემპიონატში საზიარო მე-5 ადგილზეა. ბუნებრივია, 28 წლის ფორვარდი კვირას „ატლეტიკოსთან“ სტუმრად ვერ ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური




ნაპოლიმ კავანის პენალტით გაიმარჯვა

### A ჯგუფი

**ანჟი–უდინეზე 2:0**

გოლები: 1:0 სამბა (72), 2:0 ეტო'ო (75)
გაძევება: ვილიანსი (80. უდინეზე)

**ლივერპული–იანგ ბოიზი 2:2**

გოლები: 1:0 შელვი (33), 1:1 ბობადილია (52), 2:1 კოული (72), 2:2 სარატე (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანჟი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 2. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| 3. იანგ ბოიზი | 5 | 2 | 1 | 2 | 11-12 | 7 |
| 4. უდინეზე | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |

### B ჯგუფი

**ატლეტიკო–ჰაპოელი (თ) 1:0**

გოლი: 1:0 მ. სუარესი (7)

**აკადემიკა–პლზენი 1:1**

გოლები: 0:1 ჰორვატი (57-პენ), 1:1 ედინიო (88-პენ)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 5 | 4 | 0 | 1 | 7-3 | 12 |
| 2. პლზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-4 | 10 |
| 3. აკადემიკა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 4. ჰაპოელი (თ) | 5 | 0 | 1 | 4 | 2-11 | 1 |

### C ჯგუფი

**ბორუსია (მ)–აელ 2:0**

გოლები: 1:0 დე კამარგო (79), 2:0 დე კამარგო (90)
გაძევება: ბებე (76. აელ)

**მარსელი–ფენერბაჰჩე 0:1**

გოლი: 0:1 ირტეგუნი (40)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 5 | 4 | 1 | 0 | 10-4 | 13 |
| 2. ბორუსია (მ) | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| 3. მარსელი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-8 | 5 |
| 4. აელ | 5 | 0 | 1 | 4 | 1-10 | 1 |

### D ჯგუფი

**ნიუკასლი–მარიტიმუ 1:1**

გოლები: 1:0 მარვუ (23), 1:1 ფიდელისი (79)

**ბრიუგე–ბორდო 1:2**

გოლები: 0:1 იუსიე (3), 0:2 იუსიე (40), 1:2 ლესტიენი (86)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 2. ნიუკასლი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-3 | 9 |
| 3. ბრიუგე | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 4. მარიტიმუ | 5 | 0 | 3 | 2 | 2-5 | 3 |

### E ჯგუფი

**სტიაუა–შტუტგარტი 1:5**

გოლები: 0:1 ტასკი (5), 0:2 ჰარნიკი (18), 0:3 გ. საკაი (23), 0:4 ოკაზაკი (31), 0:5 ოკაზაკი (55), 1:5 კოსტეა (83)

**მიოლდე–კოპენჰაგენი 1:2**

გოლები: 0:1 სანტინი (21-პენ), 1:1 ჩიმა (62), 1:2 გირლასონი (76)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტიაუა | 5 | 3 | 1 | 1 | 8-8 | 10 |
| 2. შტუტგარტი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| 3. კოპენჰაგენი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-5 | 7 |
| 4. მიოლდე | 5 | 1 | 0 | 4 | 5-8 | 3 |

### F ჯგუფი

**პსვ–დნიპრო 1:2**

გოლები: 1:0 ვინალდუმი (18), 1:1 სელეზნიოვი (24), 1:2 კონოპლიანკა (74)
გაძევება: **კანკავა** (84. დნიპრო)

**აიკ–ნაპოლი 1:2**

გოლები: 0:1 ძემაილი (20), 1:1 დანიელსონი (35), 1:2 კავანი (90-პენ)
გაძევება: არონიკა (85. ნაპოლი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დნიპრო | 5 | 4 | 0 | 1 | 12-8 | 12 |
| 2. ნაპოლი | 5 | 3 | 0 | 2 | 11-9 | 9 |
| 3. აიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-10 | 4 |
| 4. პსვ | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |

### G ჯგუფი

**ვიდეოტონი–გენკი 0:1**

გოლი: 0:1 ფოსენი (19)

**ბაზელი–სპორტინგი 3:0**

გოლები: 1:0 შერი (23), 2:0 შტოკერი (66), 3:0 დ. დეგენი (71)
გაძევება: კაბრალი (66. ბაზელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| 2. ბაზელი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| 3. ვიდეოტონი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-6 | 6 |
| 4. სპორტინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-9 | 2 |

### H ჯგუფი

**ნეფთჩი–პარტიზანი 1:1**

გოლები: 1:0 ფლავინიო (10), 1:1 მიტროვიჩი (67)
გაძევება: მიტროვიჩი (77. პარტიზანი)

**რუბინი–ინტერი 3:0**

გოლები: 1:0 კარადენიზი (2), 2:0 რონდონი (86), 3:0 რონდონი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 3. პარტიზანი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |
| 4. ნეფთჩი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-6 | 2 |

### I ჯგუფი

**სპარტა–ლიონი 1:1**

გოლები: 0:1 ბენზია (46), 1:1 ჰუსბაუერი (53)

**შმონა-ბილბაო გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 5 | 4 | 1 | 0 | 12-8 | 13 |
| 2. სპარტა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-6 | 8 |
| 3. შმონა | 4 | 0 | 2 | 2 | 6-9 | 2 |
| 4. ბილბაო | 4 | 0 | 1 | 3 | 5-9 | 1 |

### J ჯგუფი

**პანათინაიკოსი–მარიბორი 1:0**

გოლი: 1:0 ანინო (67-პენ)
გაძევება: მაჟერი (45. მარიბორი)

**ლაციო–ტოტენჰემი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 5 | 2 | 3 | 0 | 5-1 | 9 |
| 2. ტოტენჰემი | 5 | 1 | 4 | 0 | 5-3 | 7 |
| 3. პანათინაიკოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-8 | 5 |
| 4. მარიბორი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-6 | 4 |

### K ჯგუფი

**მეტალისტი–ლევერკუზენი 2:0**

გოლები: 1:0 კრისტალდო (46), 2:0 ქსავიერი (85)

**როსენბორგი–რაპიდი 3:2**

გოლები: 1:0 ჩიბუიკე (28), 1:1 შრამელი (53), 1:2 ბოიდი (66), 2:2 ელიუნოსი (76), 3:2 პრიკა (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალისტი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| 2. ლევერკუზენი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-2 | 10 |
| 3. როსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7-9 | 6 |
| 4. რაპიდი | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

### L ჯგუფი

**ჰელსინგბორგი–ლევანტე 1:3**

გოლები: 0:1 ანხელი (8), 0:2 დიოპი (37), 0:3 იბორა (81), 1:3 სორუმი (89)

**ჰანოვერი–ტვენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰანოვერი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-6 | 11 |
| 2. ლევანტე | 5 | 3 | 1 | 1 | 8-3 | 10 |
| 3. ტვენტე | 5 | 0 | 4 | 1 | 4-7 | 4 |
| 4. ჰელსინგბორგი | 5 | 0 | 1 | 4 | 6-11 | 1 |

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# შოკი საფეხბურთო საზოგადოებისთვის

## ბოსისთვის ჩელსი ქვირად ღირებული სათამაშოა. ბიზნესმენმა მწვრთნელი ტორესის სკამზე დატოვების გამო გაათავისუფლა

"ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **ალან პარდიუ** გულწრფელად აღიარებს, რომ "ჩელსიში" მიღწეული ისტორიული წარმატებიდან 6 თვის თავზე გუნდიდან **რობერტო დი მატეოს** დათხოვნა მისთვის აბსოლუტური შოკი იყო. "კაჭკაჭების" მთავარმა მწვრთნელმა ეს ამბავი ევროპის ლიგაზე "მარიტიმუსთან" მატჩის წინა პრესკონფერენციამდე ცოტა ხნით ადრე შეიტყო. იტალიელმა სპეციალისტმა ხომ "ჩელსის" თავკაცის პოსტზე მარტში შეცვალა **ანდრე ვილაშ ბოაში** და პირველივე მცდელობიდან მოახერხა ჯერ ასოციაციის თასის, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის მოგება. ოფიციალური ვერსიით მას "იუვენტუსთან" 0:3 არ აპატიეს. მასალა "დეილი მეილზე" დაყრდობით მომზადდა.

*"ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად მყიფეა პრემიერლიგაში მწვრთნელების მდგომარეობა. არ შეიძლება, რომ მას ისევე მივუდგეთ, როგორც რაღაც გარდაუვალს. ის გაოცება, რაც გულშემატკივრებმა და პრესამ გამოხატეს, რაღაცას აუცილებლად უნდა ნიშნავდეს კლუბის ბოსისთვის, რადგან მერვე, თუ ვინ იცის, მერამდენე მწვრთნელი ასეთ მოკლე პერიოდში უკვე ძალიან დიდი უსამართლობაა. რამდენად შემიძლია დასკვნის გაკეთება, დი მატეოს შეცდომა არ დაუშვია. მას ჰქონდა საკუთარი სათამაშო ფილოსოფია, რომელიც გუნდს უნდა აეთვისებინა, მაგრამ ეს არ ხდება ასე სწრაფად. მან მოახერხა და წელიწადზე ნაკლებ დროში ორი ტიტული მოიგო. ასე რომ, მისი გათავისუფლება უფრო დაუჯერებელი ხდება,"* – აცხადებს პარდიუ.

აბრამოვიჩის გადაწყვეტილება არაერთმა ცნობილმა საფეხბურთო პერსონამ გააკრიტიკა. მაგალითად **რუუდ გულიტმა**, მწვრთნელმა, ვინც დი მატეო 1996 წელს წაიყვანა "ჩელსიში", ტვიტერში დაწერა: *"ღმერთო ჩემო, მხოლოდ ახლა გავიგე, რომ დი მატეო დაითხოვეს. ძალიან ვწუხვარ. ეჭვი, რომ იტალიელის ალტერნატივას ეძებდნენ, წინა სეზონის დასრულების მომენტშიც მქონდა. მგონი, ისინი არ ფიქრობდნენ, რომ რობი ლიგის მოგებას შეძლებდა და ალბათ სწორედ ამიტომ იყო, რომ მასთან ხელშეკრულების გაფორმება ასე გაიწელა".*



მავანთა მტკიცებით, სპორტული წარუმატებლობები არაფერ შუაშია. აბრამოვიჩმა დი მატეო დაუმორჩილებლობისთვის დაითხოვა

ინგლისური ფეხბურთის ლეგენდამ, 52 წლის **გარი ლინეკერმა** ასევე სოციალურ ქსელში გაახმოვანა თავისი პოზიცია: *"დი მატეო "ჩელსიდან" დაითხოვეს. იმპერატორის თითი ამჯერადაც ძირს აღმოჩნდა დაშვებული".*

კლუბის მეპატრონის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ინგლისის კრიკეტის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ალექს სტიუარტი**, ვინც "ჩელსის" დიდი გულშემატკივარია: *"სასაცილოა დი მატეოს დათხოვნა. მან ჩემპიონთა ლიგა და ინგლისის თასი მოიგო. ამჟამად კი გუნდი ჩემპიონატში მესამე ადგილზეა. უკმაყოფილო ვარ".*

თავისი მოსაზრებები გაგვიზიარა "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა **რიო ფერდინანდმაც**: *"ჩელსიმ" მთავარი მწვრთნელი გაათავისუფლა. გვიან გავიგე და მგონია, რომ სრული სისულელე ქნეს".*

ტელეწამყვანმა და "მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივარმა **იმონ ჰოლმმა** კი დაწერა: *"ჩელსის" პრობლემა მწვრთნელებში არ იმალება. პრობლემა აშკარად კლუბის მესაკუთრეშია".*

"დეილი მეილის" გარდა ამ თემაზე ცხადია სხვა წამყვანი გამოცემებიც მუშაობდნენ. მათ **ანდრე ვილაშ ბოაშთან** და **ჟოზე მოურინიოსთან** დაკავშირება მოახერხეს. "ჩელსის" ყოფილი თავკაცები სხვებივით გაოგნებულები არიან. *"არასოდეს მახარებს მწვრთნელების გუნდიდან დათხოვნა, რადგან რაკი ეს სხვების თავს ხდება, ესე იგი შეიძლება ერთ დღეს მეც იმავე დღეში ჩავვარდე. მე დი მატეოზეც ვნერვიულობ და მის ოჯახზეც. ყველამ იცის, რომ ჩემი ყოფილი გუნდები ძალიან მიყვარს - "ჩელსიც", "ინტერიც", "პორტუც". მინდა, რომ ისინი იმარჯვებდნენ, მინდა, რომ მათ კარგი მწვრთნელები ჰყავდეთ. სწორედ ამიტომ, რაფა ბენიტესს წარმატებებს ვუსურვებ,"* – აცხადებს ჟოზე მოურინიო.

ვილაშ ბოაში კი ამბობს: *"როგორც ვხედავ, "ჩელსიში" მწვრთნელის გათავისუფლება ჩვეულებრივი საქმეა. რობერტომ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია დროის უმცირეს მონაკვეთში და შესაბამისად მას დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რეპუტაცია აქვს. მას მძიმე დღეების გადატანა მოუხდა. მინდა, სამომავლოდ წარმატებები ვუსურვო. "ჩელსის" რაც შეეხება, გავიგე, კლუბში მიაჩნიათ, რომ წინსვლის შანსს იტოვებენ. რაკი ასეა, სხვა არაფერი მეთქმის".*

გამოქვეყნდა რობერტო დი მატეოს პატარა წერილი, რომელიც ინგლისის მწვრთნელთა ასოციაციის საშუალებით გავრცელდა: *"ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იყო, გავძღოლოდი გუნდს, სადაც ოდესღაც დიდი სიამაყით ვთამაშობდი და რომელიც ასე ახლოს იყო ჩემს გულთან. ვამაყობ იმ წარმატებებით, რასაც მივაღწიეთ და იმ ტიტულებით, რომლებიც ერთად მოვიგეთ. მიუნხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვება კლუბის ისტორიაში იყო უმაღლესი მიღწევა და, რა თქმა უნდა, ჩემი კარიერის პიკიც. ამ დღის მოგონებები ცხოვრების ბოლომდე გამყვება.*

*საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" ერთგული ბოლომდე დავრჩები. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვის გვერდითაც მომიხდა მუშაობა. განსაკუთრებით ფეხბურთელებს და გულშემატკივრებს, ვის თანადგომასაც "სტემფორდ ბრიჯზე" მუშაობის პერიოდში მუდამ ვგრძნობდი. მინდა, წარმატება ვუსურვო მათ როგორც მიმდინარე სეზონში, ისე სამომავლოდაც".*

"ჩელსის" ფანებმა სოციალურ ქსელებში გუშინვე დაიწყეს განხილვა დი მატეოს გათავისუფლების სენსაციურ მიზეზზე. გულშემატკივართა მტკიცებით, ეს დაკავშირებულია არა იმდენად სპორტულ წარუმატებლობებთან, რამდენადაც **ფერნანდო ტორესის** ძირითადს მიღმა დატოვებასთან, რამაც კლუბის მესაკუთრის გაბრაზება გამოიწვია. ამ ვერსიას იზიარებს ვებგვერდი eatsleepsport.com-იც და აღნიშნავს, რომ იტალიელმა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სწორედ ამიტომ გაუსვა ხაზი, ძირითადი შემადგენლობის შერჩევაში შეცდომა არ დამიშვიაო. თუკი ამ ვერსიას ვერწმუნებით, **რომან აბრამოვიჩმა** დი მატეოსგან "ელ ნინიოს" სასტარტოში დაყენება მოითხოვა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო... შედეგი ყველასთვის ცნობილია.

# მოსალოდნელი სცენარი: ბენიტესი



რაფა ბენიტესი ჩელსის სეზონის ბოლომდე გაუძღვება

პირველად ინფორმაცია, რომ **რაფა ბენიტესი** "სტემფორდ ბრიჯზე" ინიშნებოდა BBC-მ ოთხშაბათს გაავრცელა. ორიოდე საათის შემდეგ ის "ჩელსის" ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა. 52 წლის ესპანელი სპეციალისტი მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებლად სეზონის ბოლომდე იმუშავებს. მესაკუთრე და კლუბის დირექტორატი მიიჩნევენ, რომ ბენიტესი უმაღლეს დონეზე მუშაობის დიდ გამოცდილებას ფლობს და მას შეუძლია გუნდს დასახული მიზნების მიღწევაში დაეხმაროს. რაფა ფეხბურთელებს პირველად მხოლოდ დღეს, დილის ვარჯიშის შემდეგ შეხვდება.

ახლა მოკლედ შეგახსენებთ ბენიტესის მიერ განვლილ სამწვრთნელო ეტაპებს: "რეალი" 1994/95, "ვალიადოლიდი" 1995/96, "ოსასუნა" 1996/97, "ესტრემადურა" 1997/99, "ტენერიფე" 2000/01, "ვალენსია" 2001/04, "ლივერპული" 2004/10, "ინტერი" 2010. მას როგორც მწვრთნელს მოგებული აქვს: ესპანეთის ჩემპიონატი, (2002, 2004), უეფას თასი (2004) "ვალენსიაში"; ჩემპიონთა ლიგა (2005), ევროპის სუპერთასი (2005), ინგლისის თასი (2006), ინგლისის სუპერთასი (2006) "ლივერპული"; იტალიის სუპერთასი (2010), ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (2010) "ინტერს".

ჰოლანდიურმა გამოცემა Voetbal International-მა გაარკვია, თუ ვინ იქნება ბენიტესის თანაშემწე "ჩელსიში". ლაპარაკია ჰოლანდიელ ვეტერანზე, 36 წლის **ბუდევეინ ზენდენზე**, ვინც "ჩელსის" ღირსებას 2001/03 წლებში იცავდა, "ლივერპულში" კი 2005/07 წლებში სწორედ რაფას ხელმძღვანელობით თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ ზენდენი ორიოდე კვირის წინ "ჩელსის" საკლუბო არხს სტუმრობდა, სადაც "ჩელსისა" და "ლივერპულს" წარმატებულ სეზონებს უქადდა. ამასთან, გაირკვა, რომ დი მატეოს ყოფილი ასისტენტები **ედი ნიუტონი** და **სტივ ჰოლანდი** "სტემფორდ ბრიჯზე" რჩებიან. დაგეგმილია, რომ სწორედ ეს დუეტი გაუძღვება დღევანდელ წვრთნას და რაც მთავარია, ბენიტესს ფეხბურთელებს სწორედ ისინი გააცნობენ.

ამბები



### სიტის კაპიტანი გამოაკლდა

მომავალ უქმეებზე, "მანჩესტერ სიტის" "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსისთან" ურთულესი თამაში ელის. "ქალაქელებს" შესაძლოა გუნდის კაპიტანი, 26 წლის **ვენსან კომპანი** ტრავმის გამო დააკლდეთ, ვინც მუხლი "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის დაპირისპირებაში დაიზიანა. მართალია, ბელგიელმა შეხვედრის ჩამთავრება შეძლო, მაგრამ სტადიონიდან გამოსული ავტომობილამდე ის ყავარჯნებს ეყრდნობოდა.

### თინეიჯერი ხორვატი სიტიში

Goal.com-ის ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტი" და ზაგრების "დინამო" 16 წლის ხორვატი ცენტრალური ნახევარმცველის **ალენ ჰალილოვიჩის** ტრანსფერზე შეთანხმდნენ. იუნიფორ ფეხბურთელში ინგლისის მოქმედი ჩემპიონი 11.5 მილიონ ევროს გადაიხდის. აღსანიშნავია, რომ ჰალილოვიჩის გადაბირებით მადრიდის "რეალი" და "მანჩესტერ იუნაიტედიც" იყვნენ დაინტერესებულები.

### პარკერი ვარჯიშს შეუდგა

"ტოტენჰემის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, "დეზების" კაპიტანი, 32 წლის **სკოტ პარკერი** უკვე შეუდგა მსუბუქ ვარჯიშს. შეგახსენებთ, რომ ვეტერანმა საყრდენმა ნახევარმცველმა ქუსლის ტრავმა ჯერ კიდევ მაისში ინგლისის ნაკრების ევრო 2012-ისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე მიიღო. უკრაინა-პოლონეთში მისი გამგზავრება ეჭვქვეშაც კი იყო, მაგრამ **როი ჰოჯსონმა** პარკერი ბოლოს მაინც იახლა. ფეხბურთელმა მთელი ტურნირი გამაყუჩებლებით ითამაშა. ჩემპიონატის შემდეგ მას ოპერაცია ჩაუტარდა. იწერებოდა, რომ პარკერი მოედანს სექტემბრის შუა რიცხვებისთვის უნდა დაბრუნებოდა, მაგრამ როგორც ჩანს, ექიმებმა ძალიან ცუდად გათვალეს. *"პარკერი გუნდთან ერთად მალე ივარჯიშებს, თუმცა იქამდე საჭიროა, რომ სათანადო ფიზიკურ კონდიციებს დაუბრუნდეს. მხოლოდ ამის მერე გადავწყვეტთ, თუ სად გამოვიყენოთ ის მოედანზე,"* – აცხადებს **ანდრე ვილაშ ბოაში**.

### ფელაინი დარჩება, თუკი...

"ევერტონის" 25 წლის ბელგიელმა ვარსკვლავმა **მარუან ფელაინიმ** კატეგორიულად გამორიცხა იანვარში "გუდისონ პარკიდან" წასვლის შანსი. მას მერსისაიდელებთან კონტრაქტი 2016 წლის ივლისამდე აკავშირებს. ასე რომ, თავის მხრივ არც კლუბს ეჩქარება მასთან გამოთხოვება. "ლურჯებმა" უკვე განაცხადეს ფელაინის მყიდველთა გასაგონად, რომ მისი შეძენა ძალიან ძვირი დაჯდება. ფეხბურთელის თქმით, ის "ევერტონში" მომდევნო სეზონში ერთადერთი პირობით დარჩება, თუკი გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებს. *"როგორც ფეხბურთელს ძალიან მინდა პროგრესი. კარგია, რომ კლუბმა ბელგიის ჩემპიონატიდან მიყიდა და პრემიერლიგაში თამაშის შანსი მომცა, მაგრამ მგონი დროა, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ წინ. ამისთვის იანვარში 1-2 კარგი ფეხბურთელის ყიდვა ნამდვილი მისწრება იქნებოდა,"* – განაცხადა ფელაინიმ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი



ადრიანო გალიანი

# ვარსკვლავებს აღარ გავყიდით

## გალიანის გულახდილი მონოლოგი

"მილანის" მესვეურებმა რომ გასულ ზაფხულს ბევრი "საგმირო საქმე" ჩაიდინეს, ყველამ კარგად ვიცით. ეს თემა იტალიურ სპორტულ პრესაში დღემდე აქტიური განხილვის საგანია, მაგრამ მთავარი კითხვები აქამდე პასუხგაუცემელი იყო - რატომ გაასხვისეს ლომბარდიელებმა წამყვანი ფეხბურთელები, რატომ გაუშვეს თითქმის ნახევარი გუნდი და რატომ არ გადაიბირეს მათი ღირსეული შემცვლელები? - რა მოხდა ასეთი გასულ ზაფხულს? - ამ ყველაფერზე ადრიანო გალიანიმ "რაი სპორტთან" გულახდილად ისაუბრა...

### ფინანსური კრიზისი

ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ იტალიურ საკლუბო ფეხბურთში ფინანსურმა კრიზისმა დაისადგურა, რომელიც დღემდე გრძელდება. ამის გამო, არაერთი გუნდი გაკოტრდა და გახსოვთ, ქვედა ლიგაშიც კი დაქვეითდა. მაგალითად, "ლაციო", "ფიორენტინა" და "პარმა" მნიშვნელოვნად დასუსტდნენ და სრულფასოვანი გრანდებიდან საშუალო სიძლიერის გუნდებად იქცნენ. ჩვენც ვიყავით ამ საფრთხის წინაშე, მაგრამ უდიდესი ძალისხმევა გავიღეთ იმისთვის, რომ ამას ავცდენოდით. თუმცა, საამისოდ დიდი მსხვერპლის გაღება გვიწევდა და მათ შორის, სატრანსფერო კუთხით.

ყოველ ზაფხულს, თითო ვარსკვლავის გასხვისება იყო საჭირო, რომ ფინანსური პრობლემები თავიდან აგვეცილებინა. ასე გავუშვით ანდრეი შევჩენკო, რიკარდო კაკა და ა.შ. ეს ტრანსფერები ფინანსური კრიზისის თავიდან აცილებაში გვეხმარებოდა, მაგრამ ყოველთვის ასე ვერ გაგრძელდებოდა. გადავწყვიტეთ, რომ ერთ ზაფხულს მთლიანად ჩაგვეგდო სატრანსფერო კამპანია, სოლიდური თანხები დაგვეზოგა და ვითარება ერთხელ და სამუდამოდ დაგვესტაბილურებინა. დღეს უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი რიგზეა და კლუბს ფინანსური პრობლემები აღარ ემუქრება.

### მომავალი

დასამალი არ არის, რომ გასულ ზაფხულს დიდი ფული დავზოგეთ, რამაც ფინანსური პრობლემები საბოლოოდ მოგვიხსნა. ამიერიდან, ჩვენ აღარ მოგვიწევს ვარსკვლავების გაყიდვა იმის გამო, რომ კლუბი გადავარჩინოთ. ამ ნაბიჯმა საბოლოოდ ამოგვასუნთქა და მშვიდად ყოფნის საშუალება მოგვცა. ჯობდა, ერთხელ მომხდარიყო ასე, ვიდრე ყოველ ზაფხულს ვარსკვლავის გაყიდვაზე გვეფიქრა. დღეს უკვე ყველაფერი რიგზეა - მაგალითად, რამდენი მილიონიც უნდა შემოგვთავაზონ სტეფან ელ შაარავიში - მისი გასხვისების ალბათობა ნულია.

ამიერიდან, ზამთრის და ზაფხულის სატრანსფერო კამპანიებს მხოლოდ გაძლიერებისთვის გამოვიყენებთ, მაგრამ რა თქმა უნდა, ისე, რომ ფინანსური ფეარ პლეის პრინციპები არ დავარღვიოთ. "მილანი" აუცილებლად დაიბრუნებს ძველ პოზიციებს და რაც შეიძლება მალე, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

● იუვენტუსი

# მილანთან კიელინის გარეშე

## კვალიარელა: როტაციის შესახებ სეზონის დაწყებამდე ვიცოდით

"იუვენტუსმა" "ჩელსისთან" პაექრობის ბოლო რამდენიმე წუთი კაცნაკლულმა ითამაშა, რადგან **ჯორჯო კიელინიმ** ტრავმის გამო მოედანი ნაადრევად დატოვა. ექიმთა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ჯორჯოს ტრავმა მსუბუქია, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეტად მნიშვნელოვანი მატჩი გამოტოვოს. კვირას, ტურინული გრანდი "მილანს" ესტუმრება და ეს უაღრესად პრინციპული პაექრობა სავარაუდოდ კიელინის გარეშე ჩაივლის. ჯორჯომ კუნთი გაიჭიმა და მკურნალობის პროცესი რამდენიმე დღეს წაიღებს.

იტალიელი ჟურნალისტები უმალ იმით დაინტერესდნენ, შეცვლის თუ არა **ანტონიო კონტე** ტაქტიკას კიელინის ტრავმის გამო და ხომ არ გადააწყობს გუნდს 4-4-2-ზე, სადაც დაცვის ცენტრში **ანდრეა ბარცალისა** და **ლეონარდო ბონუჩის** ტანდემი იმოქმედებს. საქმე იმაშია, რომ **ლუსიოსაც** კუნთი აწუხებს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "მილანს" ვერც ის დაუპირისპირდება. ამ თემაზე კომენტარი კონტეს ასისტენტმა, **ანჯელო ალესიომ** გააკეთა:

*"ამ თემაზე ზუსტი პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთ მნიშვნელოვან პაექრობაში ექსპერიმენტებს მივმართოთ. ჩვენ გვყავს მცველები, რომლებსაც ჯორჯო კიელინის შეცვლა შეუძლიათ... თუნდაც მარტინ კასერესი, ან ლუკა მარონე, რომელსაც დაცვაშიც ისევე წარმატებით შეუძლია ასპარეზობა, როგორც ნახევარდაცვაში. ამ საკითხს მატჩის წინადღეს გადავწყვეტთ".*

სიტყვამ მოიტანა და ლუკა მარონეზე დიდი ამბებია ატეხილი. 22 წლის ნახევარმცველს იშვიათად უწევს თამაში, არადა, ძალიან ნიჭიერია და მისი გადაბირება სერია A-ს არაერთ გუნდს სურს. განსაკუთრებით "ჯენოას" მესვეურები აქტიურობენ, რომლებსაც ზამთარში გუნდის გვარიანად გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ალესიოს თქმით, მარონე "იუვენტუსში" დარჩება:

*"ლუკას იშვიათად უწევს თამაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სეზონის ბოლომდე ასე იქნება. კონტეს ველაპარაკე მის შესახებ და მითხრა, რომ ზამთარში არსად არ გაუშვებს. მარონე "იუვესთვის" საჭირო ფეხბურთელია და ეს არაერთხელ დაამტკიცა. ვიცი, რომ მისი გადაბირება "ჯენოას" სურს, მაგრამ უმჯობესია, რომ ამ მიმართულებით დრო არ დაკარგონ".*

ამასობაში, პრესის ფურცლებზე **ფაბიო კვალიარელა** გამოჩნდა, რომელმაც ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თავდასხმის ხაზში როტაციის შესახებ ისინი ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გააფრთხილეს: *"ის, რომ თავდასხმის ხაზში მუდმივი როტაცია იქნებოდა, ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე ვიცოდით. კონტემ პირდაპირ გვითხრა, რომ ყველასი თანაბრად ეიმედებოდა და რომ ხშირ შემთხვევაში, მორიგეობით მოგვიწევდა თამაში. ჩემი აზრით, არჩევანი იმის მიხედვით კეთდება თუ რა სტილით მოთამაშე გუნდს ვეთამაშებით და როგორ მცველებთან მოგვიწევს პაექრობა. ვერაფრით დავეთანხმები იმ აზრს, რომ "იუვეს" სუსტი რგოლი თავდასხმაა - როდესაც მეტოქემ ისიც კი არ იცის, რომელ ფორვარდებთან მოუწევს დაპირისპირება, ეს ჩვენი დამატებითი პლუსია. როდესაც მწვრთნელს არჩევანი აქვს, ეს მხოლოდ სიძლიერეზე მეტყველებს. ვერ გეტყვით, რა პოლიტიკას აირჩევენ "იუვეს" მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე, მაგრამ მე თუ მკითხავთ, დღეს, გუნდი ყველა რგოლში თანაბრად ძლიერია".*



ჯორჯო კიელინი "ჩელსისთან" შეხვედრაში დაშავდა

● ლაციო

# კანდრევა წასვლას გამორიცხავს

**ანტონიო კანდრევა** მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ასპარეზობს, რისი წყალობითაც "ლაციოს" ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელ ფეხბურთელად იქცა. ეგ კი არა, 25 წლის ნახევარმცველმა ეროვნულ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი და "სკუადრა აძურაში" რეგულარულად ასპარეზობს.

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კანდრევას გადაბირება "მილანის" მესვეურებს სურთ და თუ ზამთარში არა, მიზნის მიღწევას ზაფხულში მაინც შეეცდებიან. ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*"მიმდინარე სეზონი უდავოდ საუკეთესოა ჩემს კარიერაში, რაც ძალიან მახარებს. ვიცი, რომ რამდენიმე კლუბი დაინტერესდა ჩემი გადაბირებით, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. "ლაციოსთან" კონტრაქტი 2014 წლამდე მაკავშირებს და მის ამოწურვამდე არსად წასვლას არ ვაპირებ. მით უმეტეს, ეროვნულ ნაკრებში დავიმკვიდრე ადგილი და ამაში სწორედ "ბიანკოჩელესტე" დამეხმარა. ჩემი მიზანი მუნდიალზე ასპარეზობაა და რომიდან აზარგებით ამ პერსპექტივას საფრთხის წინაშე დავაყენებ. ამიტომ, კონტრაქტის ამოწურვამდე "ლაციოს" დატოვება გამორიცხულია".*



ანტონიო კანდრევა

● პალერმო-კატანია

# სიცილიური ვნებები დერბის წინ

სიცილიური დერბი მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ცხელი საფეხბურთო დაპირისპირებაა, რომელიც ტრადიციულად ნერვულ ვითარებაში მიმდინარეობს და ეს ემოციური ფონი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე იგრძნობა. ასეა ამჯერადაც - შაბათს, "პალერმო" "კატანიას" უმასპინძლებს და მხარეები უკვე აქტიურ პოლემიკაში არიან ჩაბმულნი. "პალერმოს" სპორტული დირექტორი **პიეტრო ლო მონაკო** თავის დროზე სწორედ "კატანიაში" მუშაობდა და იქიდან სკანდალით წამოვიდა - ამიტომ, მისთვის, ამ დერბის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. "კატანიას" ალმასვლა და ქვედა ლიგებიდან ელიტაში აღზევება სწორედ ლო მონაკოს უკავშირდება, თუმცა შემდეგ მას კლუბის პრეზიდენტთან მოუწია დაპირისპირებამ, რასაც მისი "პალერმოში" გადაბარგება მოჰყვა. ლო მონაკო სიცილიური დერბის წინ ჟურნალისტებს გაესაუბრა და ისედაც დაძაბული ფონი კიდევ უფრო გაამძაფრა:

*"აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან "პალერმო" "კატანიაზე" ძლიერი გუნდია. ჩვენთან "ბარსელონა" არ ჩამოდის, ამიტომ, მხოლოდ სამ ქულაზე უნდა ვიფიქროთ. ვარ თუ არა რევანშისტულად განწყობილი? - არა, რადგან "კატანიადან" წამოსვლით მე არაფერი დამკლებია. როდესაც იქ ვმუშაობდი, გუნდი პროგრესირებდა, წამოვედი თუ არა, სტაგნაციის პერიოდი დაიწყო. ეს ჩემი პრობლემა აღარაა, მე „პალერმოში" ვარ, გუნდში, რომელიც "კატანიას" აუცილებლად დაამარცხებს".*

ლო მონაკოს განცხადებას "კატანიას" პრეზიდენტი **ანტონიო პულვირენტი** გამოეხმაურა: *"ლო მონაკოს სატურნირო ცხრილში არ ჩაუხედავს თორემ ნამდვილად არ იტყოდა, რომ "პალერმო" "კატანიაზე" ძლიერი გუნდია. მან რვა წელი იმუშავა ჩვენთან და ამისთვის მადლობა ეკუთვნის, მაგრამ თუ ასეთი განცხადებების კეთებას გააგრძელებს, მის მიმართ ჩვენი პატივისცემა გაქრება. ვიცი, რომ "კატანიას" ტიფოზები ლო მონაკოს მიმართ აგრესიულად არიან განწყობილნი და კარგი იქნება, თუ ცეცხლზე ნავთს არ დავასხავთ. ყველას კარგად გვახსოვს 2007 წელი, როდესაც დაძაბულ ფონს ტიფოზებისა და კარაბინიერების დაპირისპირება მოჰყვა. ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



2007 წელს, სიცილიური დერბის შემდეგ მომხდარ შეტაკებებს ერთი კარაბინიერი შეეწირა

## ქართული სპორტი

### სამბო



მწვრთნელები მამა-შვილი ვასილ (მარჯვნივ) და დავით ლაზრიშვილები შუაში გიორგი ბაინდუროვი

**საქართველოს სამბოს ეროვნულმა ფედერაციამ 2012 წლის საუკეთესო სამბისტად დაასახელა მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ბაინდუროვი (90 კგ).**

# მუხრანელი ჩემპიონი

**სამეფო სოფელმა მუხრანმა (მცხეთა) სპორტშიც უნდა იამაყოს. მათ ახლახან სამბოში მსოფლიოს ჩემპიონი გაუხდათ - 29 წლის გიორგი ბაინდუროვი, რომელიც საქართველოს სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულია.**

შარშან 11 ნოემბერს ქართველი სამბისტებიდან **ავთანდილ ცინცაძე** (57 კგ) გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, წლეულს, 9 ნოემბერს კი, თავი ისახელა გიორგი ბაინდუროვმა (90 კგ). გიორგი მეცხრამეტე ქართველი მსოფლიოს ჩემპიონია სამბოში. სულ კი 25 „ოქროს" მფლობელია 1973 წლიდან დღემდე.

ახალ მსოფლიოს ჩემპიონს ვაკეში სამბოს დარბაზში ვესაუბრეთ.

**- ჭიდაობის ქომაგები გიცნობდნენ, როგორც ბაინდურაშვილს მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურ საიტზე კი ბაინდუროვის გვარი დაფიქსირდა?**

- ჩვენ წარმოშობით ფშაველები ვართ, ჩემი წინაპრები სამი საუკუნის წინათ ჩამოსახლებულან მუხრანში. ბაინდურაშვილებს მუხრანში დიდი მიწები ჰქონიათ. მეფის რუსეთის დროს კი მათთვის მიწის დიდი გადასახადები დაუწესებიათ, ამიტომ იძულებული გამხდარან რუსული შესატყვისი გვარი ბაინდუროვი აერჩიათ. საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ჩემმა ბიძაშვილებმა ისევ ბაინდუროვის გვარი დაიბრუნეს და მეც ასე მოვიქეცი.

**- ჭიდაობას, სად და როგორ ეზიარე?**

- მუხრანის პირველი სკოლიდან ჩემი მეგობრები და მეზობლები დადიოდნენ სექციაში და მეც მათ ავყევი. თუმცა ჩემი ახლობლებიდან მოჭიდავე არავინ ყოფილა.

ჭიდაობა მასწავლეს და დღემდე ჩემი მწვრთნელები არიან მუხრანელი მამა-შვილი - ვასილ და დავით ლაზრიშვილები. მათი დამსახურებაა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი.

**- ბედი დიდხანს არ გწყალობდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი წლეულს პირველად იჭიდავე და ჩემპიონიც გახდი...**

- სამჯერ 2005-2009-2012 წლებში ევროპის ჩემპიონატში ვმონაწილეობდი, მაგრამ საპრიზო ადგილს ვერც ერთხელ ვერ მივაღწიე. მხოლოდ ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში მქონდა შედეგები. 2003 წელს ჭაბუკთა შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. 2003 წელს სტუდენტთა შორის მსოფლიოს ჩემპიონიც ვიყავი. შემდეგ კი ძიუდოში ვცდიდი ბედს. ჩეხეთსა და რუსეთში მოვიგე მსოფლიოს თასი. მანამდე 2004 წელს კი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოვიპოვე.

**- სამბოში ევროპაზე დამარცხდი, მსოფლიოზე კი ტრიუმფით იასპარეზე. მაინც რა მოხდა მინსკში და მინსკამდე?**

- ევროპის ჩემპიონატზე სულ ძიუდოს ჩავლებებს ვაკეთებდი. ამიტომაც არაფერი გამომივიდა. სამბოში ცალმხრივი ჩავლებები, დაბლიდან და მაჯებიდანაა მეტი ჭიდაობა საჭირო. ყველაფერი ეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გავითვალისწინე და შედეგიც მოვიდა.

ზოგიერთს მიაჩნია, რომ სამბო ადვილი საქმეა, მაგრამ ასე არ არის. სამბოს სტილზე უნდა მოერგო. მართალია, ძიუდო უფრო პოპულარულია, მაგრამ სამბოც უფრო და უფრო ვითარდება. მინსკში 60 ქვეყნის მოჭიდავეები გამოდიოდნენ...

**- ყველაზე ძლიერი მეტოქე ვინ იყო?**

- მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი სამბოში, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში მინსკელი ანდრე კაზისიონოკი, მაგრამ მას რუსმა ედუარდ კურგანიანმა აჯობა და ჩემსავით ისიც ფინალში გავიდა. ფინალში 10:3 გავიმარჯვე კურგანიანთან...

**- ჩემპიონი ახალ წონაში გახდი.**

- დიახ, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წონა ცოტა მოვიმატე, აღარ დავიკელი და თავი უკეთესად ვიგრძენი. საწვრთნელ შეკრებებზეც ნორმალურად მოვემზადე. 90 კგ-ში ადაპტაცია უმტკივნეულოდ გავიარე ნაკრების მწვრთნელების ავთანდილ ცინცაძის, ემინ რაშის და ივანე არაბულის აზრიც დაემთხვა ჩემსას - რომ უმჯობესი იყო 82-დან 90-ში მეჭიდავა.

**- გუნდის სხვა წევრებზე რას იტყვი.**

- აშკარად დაჩაგრეს მსაჯებმა ნიკო კუცია (82 კგ), აგრეთვე ლევან ნახუცრიშვილი (68 კგ). ნუკრი ბერაია (52 კგ) და ბესარიონ ბერულავა (74 კგ) კი პირველად ჭიდაობდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე და მათი ბრინჯაოს მედალი წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

**- საქართველოს ფალავნობის პრიზიორი ხარ ქართულ ჭიდაობაში და ბევრი რამ გექნება გასახსენებელი.**

- ქართული ჭიდაობა ყველა ჭიდაობას მირჩევნია. ნახერხმოყრილი საჭიდაო წრიდან დავიწყე, რომელ სოფელში არ მიჭიდავია ზურნისა და დოლის ხმაზე. - მშობლიურ მუხრანში, ქსოვრისში, ძალისში, წილკანში, გალავანში, ხიზაბავრაში, ფხვენისში, სკრაში...

თუ კარგად იცი ქართული ჭიდაობა - მოგვერდი, სარმა, ბრუნი, გადავლება... შენი შემწეა სამბოშიც და ძიუდოშიც.

ეს ჩვენი კულტურაა. მეტი ყურადღება და დახმარება სჭირდება ქართულ ჭიდაობას, რადგან ამით გამოვირჩევით სხვებისგან. ზემოდან ჩვენებური გადავლება და, მეტოქეთა პანიკაც იწყება...

ესაუბრა
**გაბრიელ ბარჯაძე**
*ავტორის ფოტო*

### ძიუდო. ხახალეიშვილის პრესკონფერენცია

# ძიუდო სკანდალურ ხლართებში

## ხახალეიშვილი ზეწოლაზე ალაპარაკდა

ბიბლიოთეკა

**გუშინ ძიუდოს აკადემიაში პრესკონფერენცია გამართა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა დავით ხახალეიშვილმა და სკანდალური განცხადებებიც გააკეთა, როცა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლევან ყიფიანის მხრიდან პოლიტიკურ ზეწოლაზე ისაუბრა. მანვე მის წინააღმდეგ მიმართული ანტისახელისუფლებო პროცესების მონაწილედ შსს-ს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც დაასახელა და ძიუდოდან შოთა ხაბარელის ჩამოშორება მოითხოვა. მართალია, გუშინვე მის ამ განცხადებას საპირისპირო ხასიათის გამოხმაურება მოჰყვა სამინისტროდანაც და პრეზიდენტობის მეორე კანდიდატ მამუკა ხაბარელის მხრიდანაც, მაგრამ ჯერ გუშინდელ პრესკონფერენციაზე ვთქვათ, რომელსაც ხახალეიშვილთან ერთად ქუთაისელთა მეორე ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე და ცნობილი მწვრთნელი გურამ მოდებაძეც ესწრებოდნენ.**

**დავით ხახალეიშვილი:** *„დაახლოებით 5 დღის წინ ღამის 11-ის ნახევრისთვის დამიბარა სპორტის მინისტრმა ლევან ყიფიანმა. ცხადია, მივედი. მის კაბინეტში დამხვდნენ სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ღერი ხაბელოვი და მამუკა ხაბარელი. მათ იქ ყოფნას არ ველოდი და ამის შესახებ მინისტრსაც ვუთხარი. მომთხოვეს კანდიდატურის მოხსნა, სანაცვლოდ კი ვიცე-პრეზიდენტობას მთავაზობდნენ, რაზეც არ დავეთანხმე. ისინი მეუბნებოდნენ, რომ ეს საკითხი ბიძინა ივანიშვილთან იყო შეთანხმებული და საქმეში ირაკლი ღარიბაშვილიც იყო ჩართული. არ მგონია, ეს მართალი იყოს. ამიტომაც მინდა, ეს საკითხი მივიდეს ბატონი ბიძინას და საზოგადოების ყურამდე. აქვე მინდა, ბოდიში მოვუხადო ხალხს, საზოგადოებას, ძიუდოში ბოლო პერიოდში მიმდინარე ამბების შესახებ, მაგრამ გაძლევთ პირობას, ეს უმსგავსობა დამთავრდება. ძიუდოდან მხოლოდ რაინდობის და წარმატების ამბები უნდა გადიოდეს. არ მინდა, ჩემმა შვილმაც ისეთ სიბინძურეში იჭიდაოს, როგორშიც მე მამყოფეს. ამიტომ ეს ვითარება უნდა შევცვალოთ. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მარტივია. უპირველესად, სიბინძურეების გამავრცელებლებს უნდა შევუკრათ ხელები, ხელისუფლებამდე უნდა მივიდეს, რომ მათი სახელით მანიპულირებენ და უნდა ჩატარდეს სუფთა არჩევნები. ხაბარელი ქართულ ძიუდოს უნდა ჩამოშორდეს, ხოლო ვინ არის, უკეთესი, ეს ძიუდოს სამყარომ გადაწყვიტოს. ისინი გრძნობენ, რომ წააგებენ და ახლა არჩევნების ჩაშლას ცდილობენ. რეგიონებში უკვე მიდის გარკვეული დოზის ზეწოლა ჩვენს მომხრეებზე, რაშიც პოლიციელებიც მონაწილეობენ".*

***ირაკლი ცირეკიძე:*** „ნაკრები უკვე უნდა ემზადებოდეს - იაპონიაში კანოს ტურნირი ტარდება, ბაკურიანში შეკრების გავლა გვინდოდა, მაგრამ გვეუბნებიან ფული არააო. 8-9 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატი ტარდება, იმისთვის თუ გამოინახება თანხა, სადღეისოდ არ არის? ეს დაპირისპირება უნდა დამთავრდეს, რადგან ყველა დაიღალა - ხალხიც და ჩვენც. ამ სიბინძურეში ახალი თაობა არ უნდა გავრიოთ. ახლა ცდილობენ, არჩევნები ჩაშალონ და ცდილობენ ზემოქმედებას ჩვენზე, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ჩემპიონებისთვის შიში უცხოა და უკან არ დავიხევთ. ვინც ჩვენგან მოპარული ფულებითაა გაზრდილი, მას უფლება არ აქვს, დღეს ხელმძღვანელად მოვიდეს. შოთა ხაბარელის წინააღმდეგ უამრავი ფაქტი არსებობს, ამას ძიუდოს მთელი ოჯახი დაგვიდასტურებს - პრემიები იქნება თუ მოჭიდავეთა უცხოეთში გაყიდვა. მაგალითად, პირადად შევესწარი რუსლან გედენიძესთან მის ლაპარაკს, როცა საბერძნეთში წასვლა შესთავაზა. მაშინ ბაქოდან მოვდიოდით, მე და გედენიძე კი ერთ კუპეში ვიყავით, როგორც ქუთაისელები. შემოვიდა ხაბარელი და ეუბნება, ამ წონაში ნესტორ ხერგიანი მყავს და ნაკრებში შენ ვერ დაგაყენებ, სამაგიეროდ, საბერძნეთში გაგიშვებო. ჯერ ერთი, ნეტავ ყველა წონაში მყავდეს რამდენიმე ხერგიანი, კედელაშვილი, შავდათუაშვილი და სხვა, მაგრამ გედენიძის, ჯარჯის და სხვათა მედლები ხომ ჩვენ ჩაგვეთვლებოდა? ეს რომ დასაბუთებული არ იყოს და არგუმენტი არ მქონდეს, ისე ხომ არ ვილაპარაკებდი"?



დავით ხახალეიშვილი

ძიუდოისტების უცხოეთში გაყიდვის თემას მოდებაძეც შეეხო, რადგან მისი პირადი მოსწავლე **ჯარჯი ზვიადაური**, ვინც **ილიას ილიადისის** სახელით აწ უკვე მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონია, საბერძნეთში „გასხვისებული" ერთ-ერთი პირველი სპორტსმენია. მოდებაძის თქმით, მან ყველაზე ბოლოს გაიგო, ჯარჯის საბერძნეთში რომ უშვებდნენ - როცა თურმე 2001 წელს ესპანურ მურსიაში ევროპის ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე გამარჯვების შემდეგ სტიპენდია არ დაუნიშნეს და მიზეზი იკითხა, მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ მისი საბერძნეთში წასვლა გადაწყვეტილი ყოფილა. ოღონდ შენ დაგვთანხმდი და მოდებაძესთან ჩვენ ვართ პასუხისმგებელიო, მოდებაძის სიტყვებით, თურმე ასე დაიყოლიეს ჯარჯი. მწვრთნელმა ის დროც გაიხსენა, როცა ათენის ოლიმპიადის ბუმის შემდეგ ფედერაციამ ტატამები შემოიტანა, მაგრამ მის დარბაზს ერთიც არ შეახვედრეს...

**P.S.** [illegible]

**ირაკლი თავაძე**

**კომენტარი**

22 ნოემბერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე, მინისტრის მოადგილე - თამაზ თევზაძე ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის მიერ დღევანდელ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა და კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სამინისტრო ფედერაციების საქმიანობაში არ ერევა.

**თამაზ თევზაძე:** „არც მინისტრისგან, არც ჩემგან არ იქნებოდა არანაირი მითითება. ფედერაციებს ჩვენ მოვუწოდებდით და მოვუწოდებთ, რომ სპორტის სახეობების სამყარომ თავად აირჩიოს ნებისმიერი პრეზიდენტი და აღმასკომის წევრი. არასდროს არავისთან თქმულა „მოხსენი", „ვინმეა საქმის კურსში" და ა.შ. ჩვენ ვატარებთ სპორტის დეპოლიტიზაციისა და დეცენტრალიზაციის პოლიტიკას. მინისტრი პოლიტიკური ფიგურაა და მკაცრად იცავს ამ პრინციპს. ის, აქედან გამომდინარე, არავითარ სხვა მითითებას არ იძლევა. მინისტრის სახელით გეუბნებით, რომ უახლოეს დღეებში, საჭიროების შემთხვევაში, ბატონი ლევანი თავად გააკეთებს კომენტარს".

### ხელბურთი

# ზურაბ კაკაბაძე პრეზიდენტია, იმედო ფხაკაძე - სპორტის რაინდი



ლევან ყიფიანი (მარცხნივ) და იმედო ფხაკაძე
*თამუნა კულუმბეგაშვილის ფოტო*

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ხელბურთის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა **გიორგი გოდაბრელიძე**. დელეგატების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი** და მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე**, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე**. ლევან ყიფიანმა ვეტერანი ხელბურთელი **იმედო ფხაკაძე**, რომელსაც დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, „სპორტის რაინდის" წოდებით დააჯილდოვა.

ქართული ხელბურთის ავ-კარგზე საუბრის შემდეგ გაიმართა არჩევნები. პრეზიდენტობისთვის სამ კანდიდატს უნდა ეყარა კენჭი, მაგრამ ყრილობის წინა დღეს **ვახტანგ მეიფარიანმა** და **ზაზა კალანდაძემ** თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. ამდენად, გუშინ 20-დან 19-მა დელეგატმა **ზურაბ კაკაბაძის** ერთადერთ კანდიდატურას დაუჭირა მხარი. საპატიო პრეზიდენტად ჯემალ ცერცვაძე, ვიცე-პრეზიდენტებად იმედო ფხაკაძე, ვახტანგ მეიფარიანი და ელიზბარ არსენიშვილი, გენერალურ მდივნად **ქეთევან კობერიძე** აირჩიეს.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# გურამიშვილი მეხიკოს უტევს

მექსიკის დედაქალაქში გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი UNAM 2012, რომლის უმნიშვნელოვანესი პაექრობა ოთხთა რაპიდი (სწრაფი ჭადრაკი) იქნება. ნახევარფინალში დღეს მოჭადრაკე ვაჟთა ლიდერი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) და ბატისტა ლაზარო ბრუსონი (კუბა) შეხვდებიან, ხვალ კი იუდით პოლგარი (უნგრეთი) და მანუელ ლეონ იიოსი (მექსიკა) დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. კვირას ფინალური ორთაბრძოლა გაიმართება.

ფესტივალის პროგრამით ქალთა ტურნირში 3 ჯგუფის 18 მონაწილეს (9 დიდოსტატი) შორის გახლავთ თბილისელი **სოფიკო გურამიშვილი,** რომელმაც B ჯგუფში ივა ვიდენოვას (ბულგარეთი), ნაფისა მუმინოვას (უზბეკეთი) და ავრორა დე ლეონს (მექსიკა) აჯობა, ნარგიზ უმუდოვას (აზერბაიჯანი), ელენა პატრაცს (მოლდოვა) დაუზავდა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. A ჯგუფში თანაბარი ქულებით პირველი-მეორე ადგილები ოლგა ალექსანდროვამ (ესპანეთი) და სულენის პინაია ვეგამ (კუბა) გაინაწილეს. C ჯგუფში საუკეთესო იყო ვეგას თანამემამულე ლისანდრა ტერეზა ორდას ვალდესი (საფრანგეთში გათხოვილ **ნინო მაისურაძეს** ჯგუფში მე-3 ადგილი ხვდა და მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა). ნახევარფინალში სწორედ ეს ოთხი დიდოსტატი (გურამიშვილი, ალექსანდროვა, პინაი ვეგა და ორდას ვალდესი) ითამაშებს.


სოფიკო გურამიშვილი

ვაჟა დანელია

## ნახევარფინალები დღეს დაიწყება

ხანტი-მანსიისკში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი ქართველი დიდოსტატიც ჩაება, მაგრამ ისინი მე-3 ეტაპს ვერ გასცდნენ. რაც შეეხება დანარჩენ მონაწილეებს, მეოთხედფინალში უკრაინელმა ანა უშენინამ რუსი ნადეჟდა კოსინცევა დაამარცხა - 1,5:0,5. სამ შეხვედრაში კი ნახევარფინალისტები გუშინ ტაიბრეიკებმა გამოავლინა: ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი)-მარი სებაგი (საფრანგეთი) 3:1, ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი)-ჰუან ძიანი (ჩინეთი) 3,5:2,5, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი)-ჟაო სიუ (ჩინეთი) 2,5:1,5.

ნახევარფინალში ითამაშებენ: სტეფანოვა-დრონავალი, უშენინა-ვენძიუნი. დღეს პირველი ორთაბრძოლები გაიმართება.

ვაჟა დანელია

წყალბურთი




# ლიგამუსი-თბილისი ლიდერს უმასპინძლებს

გრძელდება წყალბურთელ ვაჟთა ევროლიგის გათამაშება. ფინალურ ოთხეულში მოსახვედრად 21 კლუბი იბრძვის. მოასპარეზეთა შორისაა საქართველოს სამგზის ჩემპიონი „ლიგამუსი-თბილისი". ქართველმა წყალბურთელებმა **A ჯგუფში** მე-4 ტურის შეხვედრა (სასტარტო პაექრობა უნგრეთის „ეგერთან" 2013 წლისთვის გადაიდო) გერმანიაში ჰანოვერის „ვასპო-98"-თან 5:7 (1:2, 0:2, 1:0, 3:3) დათმო და ექვსგუნდიანი ჯგუფის ბოლო ადგილზე დამკვიდრდა. **რევაზ ჩომახიძის** შეგირდებს (**ბექა კაპანაძე, ბექა ქენქაძე** (1), **ლევან ჩიქვინიძე** (1), **ალექსანდრე რუსიშვილი** (1), **გალაქტიონ ლაითაძე, ალექსანდრე ურუშაძე, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია** (1), **ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი** (1), **ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე, ზურაბ ჭუმბურიძე**) ურიგოდ არ უთამაშიათ, განსაკუთრებით შესვენების შემდეგ, მაგრამ მასპინძლებმა პირველ ტაიმში მიღწეული უპირატესობის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა შეძლეს და წლევანდელ ევროლიგაზე პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ვულიაგმენი" (საბერძნეთი) - „ეგერი" (უნგრეთი) 11:8, „შუურმანი" (ჰოლანდია) - „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) 5:14.

ოთხი ტურის შემდეგ A ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ვულიაგმენი" - 12 ქულა (ბურთები - 52:22), „სპარტაკი" - 9 (45:31), „შუურმანი" - 6 (28:41), „ეგერი" - 3 (31:26), „ვასპო-98" - 3 (21:45), „ლიგამუსი" - 0 (23:35).

**28 ნოემბერს** ითამაშებენ: „ლიგამუსი" - „ვულიაგმენი", „ეგერი" - „შუურმანი", „სპარტაკი" - „ვასპო-98".

**B ჯგუფში** ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს ლიდერებმა: პირეოსის (საბერძნეთი) „ოლიმპიაკოსმა" შინ დაძაბულ პაექრობაში სძლია ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" - 9:8, ხოლო ხორვატიის „დუბროვნიკმა" სტუმრად საფრანგეთის „მონპელიე" დაამარცხა - 14:2.

„დუბროვნიკი" - 9 (53:15), „ოლიმპიაკოსი" - 9 (35:20), „ცრვენა ზვეზდა" - 6 (50:34), „მონპელიე" - 0 (17:35), „კრეუზლინგენი" - 0 (19:70).

**28 ნოემბერი.** „დუბროვნიკი" - „ოლიმპიაკოსი", „მონპელიე" - „კრეუზლინგენი".

**C ჯგუფი.** „ბრეშა" (იტალია) - „ბარსელონიტა" (ესპანეთი) 5:7, „მარსელი" (საფრანგეთი) - „სინთეზი" (ყაზანი) 8:13.

„ბარსელონიტა" - 12 (41:20), „ბრეშა" - 3 (25:25), „სინთეზი" - 3 (29:28), „ვოივოდინა" - 3 (23:31), „მარსელი" - 3 (21:35).

**28 ნოემბერი.** „სინთეზი" - „ბრეშა", „მარსელი" - „ვოივოდინა" (ნოვი სადი).

**D ჯგუფი.** „ბეტონი" (უნგრეთი) - „პარტიზანი" (ბელგრადი) 8:7, „ორადეა" (რუმინეთი) - „გალათასარაი" (თურქეთი) 11:8.

„ბეტონი" - 9 (30:21), „პარტიზანი" - 7 (33:30), „გალათასარაი" - 4 (23:23), „ორადეა" - 3 (27:30), „შპანდაუ-04" - 0 (22:31).

**28 ნოემბერი.** „გალათასარაი" - „ბეტონი", „შპანდაუ-04" (ბერლინი) - „ორადეა".

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# დღე მარცხიანი

ტიუმენში (რუსეთი) ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 35.000 დოლარი) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** მე-2 წრეში ილია მარჩენკოს (უკრაინა) დაუპირისპირდა. პირველ სეტში 20 წლის ქართველი სპორტსმენი 5:2 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ 4 გეიმი დათმო და ტრავმის გამო შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო.

ანტალიაში ვაჟთა შეჯიბრების (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) გუშინდელი დღეც წარუმატებელი აღმოჩნდა ჩვენებურებისთვის. **გიორგი ჯავახიშვილისა** და **გიორგი ცივაძის** დუეტი წყვილთა პაექრობის სტარტზევე ხორვატებთან (დუიე კეკეზი - ლუკა ზანინოვიჩი) დამარცხდა - 6:4, 6:7, 3:10 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ვაჟა დანელია

# ხმიადაშვილი ლიდერებშია

ორი ქართველი დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც საბერძნეთი მასპინძლობს. გუშინ შესანიშნავად ითამაშა **თამარ ხმიადაშვილმა,** რომელიც შავი ფიგურებით ნატალია ტიტორენკოს ხვდებოდა. მე-13 ლg4 სვლის შემდეგ თეთრებმა საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ჩვენებურმა შეძლო ორთაბრძოლის ბედის შემოტრიალება და 83-ე სვლაზე მეტოქეს საათი გააჩერებინა. 37-ე სვლებზე დაზავდნენ **ნონა გაფრინდაშვილი** და მირა კიერზეკი (მაკედონია), **ნინო მელაშვილი** და ელენა ფატალიბეკოვა (რუსეთი), ასევე, ქულა გაიყვეს გალინა სტრუტინსკაიამ (რუსეთი) და ელენა ანკუდინოვამ (ყაზახეთი).

ცხრა ტურის შემდეგ 6-6 ქულით ანკუდინოვა, სტრუტინსკაია და ხმიადაშვილი მეწინავეობენ. 5 მოჭადრაკეს, მათ შორის - გაფრინდაშვილსა და მელაშვილს, 5,5:5,5 ქულა აქვს. დღეს მე-10 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ანკუდინოვა-მელაშვილი, ხმიადაშვილი-ბელიაევა, საუნინა-სტრუტინსკაია, გაფრინდაშვილი-ფატალიბეკოვა, ბელცი-ტიტორენკო.

ვაჟა დანელია


თამარ ხმიადაშვილი (მარჯვნივ)

სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 ნოემბერი

# 400-კილოგრამიანი რქენა

25 წლის **თეიმურაზ ჯუღელი,** იგივე **გაგამარუ,** კარგად ასპარეზობს წლის უკანასკნელ ბაშოზე და კარგი შანსი აქვს სუპერტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულოს და წელინადი მე-7 მაეგაშირობაზე მაღალი რანგით დაამთავროს. საამისოდ, მან დარჩენილი სამი ორთაბრძოლიდან ერთი მაინც უნდა მოიგოს. გაგამარუს ბოლოდროინდელ ფორმას თუ გავითვალისწინებთ, ეს ძალზე სავარაუდოა. გუშინ მან ვეტერან **მიაბიამას** იორიკირის ილეთით აჯობა ელიტის მძიმეწონოსანთა პაექრობაში (გაგამარუ 212 კილოგრამს იწონის, მიაბიამა კი - 183-ს). ჩვენებურს 7-5 ბალანსი გაუხდა და დღეს დოჰიოზე მე-11 მაეგაშირა **ასაჰიშოს** ელის. 2012 გაგამარუსთვის ძალზე წარმატებული გამოდგა, იანვრის ბაშოზე დიდებული გამოსვლის შემდეგ ის კომუსუბი გახდა (კარიერაში პირველად). სხვათა შორის, მორიგი გამარჯვება ქართველის კარიერაში მე-100 იქნება უმაღლეს დივიზიონში.



გუშინვე, მე-3 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** კომუსუბი **ჰომაშოსთან** წააგო და ბალანსი 3-9 გაუხდა. ბაშოს კი 11 მოგებით დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ლიდერობს, უახლოეს მდევრებს მონღოლი სუმოისტი უკვე 2-2 მოგებით უსწრებს.

### XII დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (შიტატენაგე),მიოგირიუ-ჰარუმაფუჯი (სუკუინაგე), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (იორიკირი),ამინიშიკი-კაკურიუ (იორიკირი), კისენოსატო-მასუნოიამა (იორიტაოში), შოჰოზანი-გოეიდო (სუკუინაგე),ჰომაშო-**ტოჩინოშინი** (უვატედაშინაგე), კაისეი-ტაკეკაძე (იორიკირი), **გაგამარუ**-მიაბიამა (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**11-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**9-3:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), ტოჩიოძანი (მაეგაშირა 1), კიოკუტენჰო (მ 6), ჩიოტაირიუ (მ 15)... **7-5: გაგამარუ** (მ 7)... **3-9: ტოჩინოშინი** (მ 3).

### XIII დღე

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, მიოგირიუ-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-გოეიდო, **ტოჩინოშინი**-ამინიშიკი, ჰომაშო-ტაკეკაძე, ტოჩიოზანი-კიოკუტენჰო, შოჰოზანი-ჩიოტაირიუ, **გაგამარუ**-ასაჰიშო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლეგიონი




# კორვერის გადამწყვეტი

NBA-ში „ვაშინგტონ უიზარდსი" ერთადერთი გუნდია, რომელსაც გამარჯვების გემო არ გაუსინჯავს. იგი „ატლანტა ჰოქსთან" მატჩში ძალიან ახლოს იყო ნავსის გატეხასთან, ძირითადი დრო 90:90 დასრულდა, ხოლო ოვერტაიმის ბოლომდე 0.2 წამით ადრე 100:98-ს იგებდა, თუმცა სწორედ ამ დროს ჯორჯიელმა **კაილ კორვერმა** სამქულიანით ვაშინგტონელთა იმედი ქარს გაატანა - 101:100.

**ზაზა ფაჩულიამ** მატჩი სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო და 19 წუთი ითამაშა. მისი მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 7 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა. კორვერმა 16 ქულა ჩააგდო, **სმიტმა** - 25, ხოლო **ჰორფორდს** სამმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა: 15 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა.

აღმოსავლეთში მოგზაურობს **თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსი". დასავლელებმა „გოლდენ სტეიტთან" 93:102 დათმეს. მწვრთნელმა ქართველი თავდამსხმელი 53 წამი ათამაშა. დროის ამ მწირ მონაკვეთში შენგელიამ ვერაფერი მოასწრო.

ვაჟა სიმონიშვილი

ევროთასი

# ცინცაძე და პულენი ისრაელში შეეჯნენ

ევროთასის გათამაშების მორიგ ტურში ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკი" და **ჯეიკობ პულენის** „ჰაპოელი". მატჩი იერუსალიმში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა - 81:67.

გიორგიმ 22 წუთში 5 ქულა, 4 პასი და თითო ჩაჭრა-მოხსნა მოაგროვა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა პულენმა 26 წუთში 10 ქულას, 4 მოხსნას, 2 პასსა და 1 ჩაჭრას მოუყარა თავი.

**ბექა ბურჯანაძის** „კახასოლმა" ევროთასზე პირველი გამარჯვება მოიპოვა - სტუმრად, საფრანგეთში „ორლეანსს" აჯობა, 70:56.

ბექას 2 წუთი ერგო და მატჩი 1 პასით დაასრულა.

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი

ნოემბრის ტესტები

# ორივე გუნდში ოთხ-ოთხი ცვლილებაა

**ხვალ საქართველოს ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ნოემბრის ტესტების ბოლო მატჩში ფიჯის ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. „ბორჯღალოსნები“ ამ ურთულესი შეხვედრისთვის „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ორჯერად წვრთნებს გადიან.**



ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** ფიჯისთან საბრძოლო რაზმი დაასახელა. გუნდში იაპონიასთან დაპირისპირებისგან განსხვავებით რამდენიმე ცვლილებაა. შერკინების პირველ ხაზში **დავით ზირაქაშვილის** (კლერმონი) ნაცვლად, **დავით ქუბრიაშვილი** (ტულონი) ითამაშებს. ზირაქაშვილმა იაპონიასთან მატჩში ფეხი დაიშავა და წვრთნაში მონაწილეობა არ მიუღია. თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ჰეიგმა ის თადარიგში შეიყვანა.

სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა შერკინების კვაჭმა **შალვა მამუკაშვილმაც** (არმია), მას **ირაკლი ნატრიაშვილი** (ბრივი) შეცვლის. მეორე ხაზში **ლევან დათუნაშვილს** (ორიაკი) ამჯერად **კონსტანტინე მიქაუტაძე** (ტულონი) შეუწყვილდება. თადარიგში **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი) იქნება. გიორგი ნემსაძე (ტარბი) კი, რომელმაც იაპონელებთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშა, განაცხადში არ არის.

უცვლელია მესამე ხაზი. ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ **შალვა სუთიაშვილი** (მასი), **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი) და **მამუკა გორგოძე** (მონპელიე). თადარიგში იაპონიასთან შეხვედრაში გიორგი თხილაიშვილი (არმია) იყო, ამჯერად მის ადგილს **ბექა ბინაძე** (არმია) დაიკავებს.

აბსოლუტურად უცველია უკანა ხაზი. ძირითად და სათადარიგო შემადგენლობებში აქ იგივე მორაგბეები არიან, რაც მათ მიმართ ჰეიგის ნდობით უნდა აიხსნას. მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი** (სენ ჟუნიენი) იაპონიასთან მატჩში საუკეთესო იყო, მან ერთი ლელო, ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა, ანუ გუნდის მიერ დაგროვებული ყველა ქულა მის ანგარიშზეა. ფიჯისთან შეხვედრის ბედი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად სტაბილურად შეძლებს გარჯას „მეკო“.

ფრთებზე ისევ **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი) და **სანდრო თოდუა** (ალბი) ითამაშებენ. შუამარბების პოზიციას კი შესანიშნავი დუეტი **დავით კაჭარავა** (როდეზი) და **მერაბ შარიქაძე** (ჰართპური) დაიკავებენ. ფულბეკი ისევ **ირაკლი ყიასაშვილი** იქნება, ცხრა ნომერი და გუნდის კაპიტანი კი **ირაკლი აბუსერიძეა**, რომელსაც ამ პოზიციაზე ჯერჯერობით რეალური კონკურენტი არ ჰყავს.

ძნელი სათქმელია, რა ტაქტიკას აირჩევს ფიჯისთან სათამაშოდ მილტონ ჰეიგი. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეტოქე იაპონელებზე ნაკლებად ორგანიზებულნი, მაგრამ გაცილებით უკეთ ხელდახელ მობურთალნი არიან, აქცენტი ისევ ჩვენს მძლავრ მორკინალებზე უნდა ავილოთ, თუმცა არც უკანახაზელების დავიწყება შეიძლება, რომლებიც ურიგოდ არ გამოიყურებიან. უბრალოდ, მათ მეტი თამაშის საშუალება უნდა მიეცეს. ვარჯიშებზე „ბორჯღალოსნები“ სწორედ ასეთი ტაქტიკის განხორციელებას ცდილობდნენ და იმედია, თამაშში მის ხორცშესხმას შეძლებენ.

საბრძოლო რაზმი დაასახელა ფიჯის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ინოკი მალემ**. გასულ უქმეებზე ფიჯელებმა ირლანდიის A ნაკრებთან ითამაშეს და მშრალი ანგარიშით 0:53 დამარცხდნენ. იმ შემადგენლობიდან მალემ ოთხი მორაგბე შეცვალა. გარემარბ **სიმელი კნიფერედის** ნაცვლად **აისეა ნატონგა** ითამაშებს. შუამარბ **ჯოშ მატავესის** კი **საულა რანდინდი** შეცვლის.

ორი ცვლილებაა შერკინებაშიც. მესამეხაზელი **ნემანი ნაგუსას** პოზიციაზე (№8) **ილიესა რატუვა** ითამაშებს, რომელიც ირლანდიელებთან დაპირისპირებაში ფლანკერი იყო. მის ადგილს კი **აპისალომე რატუნირავა** დაიკავებს. საქართველოს ნაკრებთან ვერ ითამაშებს შერკინების ბურჯი **დიკონ მანუ**, მის ნაცვლად ჩვენს პირველხაზელებს **სეტეფანო სომოსა** დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შაბათს, 15 საათზე დაიწყება. დღეს კი ორივე ნაკრები ბოლო, კაპიტნის ვარჯიშს გამართავს. ფიჯელების წვრთნა დილით 10 საათზე დაიწყება, „ბორჯღალოსნები“ კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მოედანს 15 საათიდან დაიკავებენ.

ამასობაში იაპონიის ნაკრებმა საფრანგეთში ბასკეთის ნაკრებთან ითამაშა, რომელიც მთლიანად საფრანგეთში მცხოვრები ბასკებით იყო დაკომპლექტებული და 3:19 დამარცხდა. ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ბასკეთის ნაკრებში ითამაშა ქართული წარმოშობის ფრანგმა ცხრა ნომერმა **დიმიტრი იაშვილმა**, რომელმაც ერთი გარდასახვა გაიტანა.

### საქართველო-ფიჯი

**საქართველო: 15. ირაკლი ყიასაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. სანდრო თოდუა, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ირაკლი აბუსერიძე. 1. დავით ხინჩაგიშვილი, 2. ირაკლი ნატრიაშვილი, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე, 6. შალვა სუთიაშვილი, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. მამუკა გორგოძე.**

**16. შალვა მამუკაშვილი, 17. მიხეილ ნარიაშვილი, 18. დავით ზირაქაშვილი, 19. ვახტანგ მაისურაძე, 20. გიორგი ბეგაძე, 21. ბექა ბინაძე, 22. ლაშა ხმალაძე, 23. თედო ზიბზიბაძე.**

**ფიჯი: 15. მეტუსეილა ტალემბულა, 14. აისეა ნატონგა, 13. საულა რანდინდი, 12. ვერენიკი ნგონევა, 11. ვატისონი ვოტუ, 10. ჯონეტანი რალულუ, 9. ნიკოლა მატავალუ. 1. ჯერი იანუტავა, 2. ვილიამე ვეიკოსო, 3. სეტეფანო სომოსა, 4. ლეონე ნაკარავა, 5. აპისალომე რატუნირავა, 6. აპი ნაიკატინი, 7. მალაკაი რავულო, 8. ილიესა რატუვა.**

**16. ტუაპატი ტალემაი-ტონგა, 17. მანასა საულო, 18. ჯერი ნაურეურე, 19. ჯოვილი ნდომი-ლაილაი, 20. ნემანი ნანგუსა, 21. კლემენდი მბოლა, 22. სამუელა ვარა, 23. მალაკაი ვოლაუ.**

მსაჯი: პასკალ გოზერი (საფრანგეთი)

### 24 ნოემბერი

**ირლანდია-არგენტინა**
**იტალია-ავსტრალია**
**ინგლისი-სამხრეთ აფრიკა**
**შოტლანდია-ტონგა**
**საფრანგეთი-სამოა**
**უელსი-ახალი ზელანდია**



მეტოქე



დიმბი ფიჯელების შესრულებით

# მფრინავი ფიჯელები

**საქართველოს ნაკრები ნოემბრის ტესტებზე ფიჯის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. აქამდე „ბორჯღალოსნებს“ ფიჯელებთან არასდროს უთამაშიათ. ეს პატარა ქვეყანა-კუნძული წყნარ ოკეანეში მდებარეობს, ისევე როგორც სამოა და ტონგა, რომლებსაც თითქმის ერთნაირი სათამაშო ხელწერა გააჩნიათ.**

ჩვენს ეროვნულ გუნდს ტონგასთან და სამოასთან თამაშის გამოცდილება უკვე აქვს. ტონგელებს 1999 წელს ორჯერ დავუპირისპირდით მსოფლიოს თასისთვის ბრძოლაში. მაშინ რეპეშაჟში „ბორჯღალოსნებმა“ სტუმრად წააგეს, შინ კი გაიმარჯვეს, თუმცა ორი მატჩის ჯამში მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმის საგზური მეტოქეს ერგო. სამოას ნაკრებთან კი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2003 წელს, ავსტრალიაში გამართული მსოფლიოს თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა. გამარჯვება სამოას დარჩა.

მას შემდეგ კუნძულელებს არსად გადავყრივართ. ფიჯის ნაკრებს თიკუნად „მფრინავ ფიჯელებს“ ეძახიან. ამ ქვეყნის მოსახლეობა 950 ათასს არ აღემატება და 80 ათასი დარეგისტრირებული მორაგბე ჰყავს. რაგბი ყველაზე პოპულარული და ლამის ერთადერთი სახეობაა, რომელსაც ფიჯელები მისდევენ.

ვინაიდან ქვეყანა ღარიბია, ყველაზე ძლიერი ფიჯელი მორაგბეები ქვეყანას ტოვებენ და უკეთესი მერმისის საძებნელად მთელ მსოფლიოში არიან მიმოფანტულნი. მეტიც, ისინი თავიანთი შემოსავლებით ფიჯის ეკონომიკაში ფინანსურ ინიექციასაც ახორციელებენ.

ქვეყანაში ახლა სამხედრო დიქტატურაა. რამდენიმე ათეული წლის წინათ ამ კუნძულზე ინდოელები გადმოსახლდნენ, რომლებიც ძალიან სწრაფად გამრავლდნენ და ამჟამად უმრავლესობაში არიან. ამიტომ, ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებს მუდამ ინდოელი იგებს. თუმცა, ვინაიდან სამხედრო მაღალჩინოსნები ძირითადად ფიჯელები არიან, გადატრიალებას აწყობენ და ქვეყანას ფიჯელი გენერლები მართავენ.

ამ მოვლენებმა ფიჯელთა რაგბი დიდად აზარალა. მაგალითად, 2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ფიჯის ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით წარდგა, რადგან ახალმა ზელანდიამ გუნდის მორაგბეთა თითქმის ნახევარი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. მიზეზი ის იყო, რომ ისინი ან სამხედროები იყვნენ, ანაც დიქტატურულ ხელისუფლებასთან თანამშრომლობდნენ. შედეგად, ფიჯიმ ახალ ზელანდიაში უსახურად იასპარეზა.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, ბევრმა ფიჯელმა ვარსკვლავმა ეროვნება შეიცვალა და სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშით დატოვა წარუშლელი კვალი მსოფლიოს რაგბის ისტორიაში. ასე მაგალითად, ახალი ზელანდიის ნაკრებში შესანიშნავად ასპარეზობდნენ ბიძაშვილები **ჯო როკოთოკო** და **სიტივენი სივივატუ**, ავსტრალიური რაგბის ლეგენდა გახდა **ლოტე ტუკირი.**

ისევე როგორც ყველა კუნძულელებს და „ოლ ბლექსს“, ფიჯის ნაკრებსაც აქვს საბრძოლო ცეკვა, რომელსაც „დიმბი“ ჰქვია. პირველად ფიჯელებმა ის 1939 წელს შეასრულეს და მას შემდეგ ყველა ტესტი მათი მონაწილეობით ამ საბრძოლო რიტუალით იწყება. თუმცა, ცხადია, ტრადიციას უფრო ძველი ფესვები აქვს.

ცოტა რამ ისტორიიდან: ფიჯიზე რაგბის ბურთი პირველად 1884 წელს გაგორდა, როცა ერთმანეთს ევროპელი და ფიჯელი ჯარისკაცები დაუპირისპირდნენ. რაგბის კავშირი კი 1913 წელს ევროპელმა ემიგრანტებმა შექმნეს. იმავე წლის დეკემბერში ახალი ზელანდიის ნაკრები კალიფორნიიდან წარმატებული ტურნეს შემდეგ შინ ბრუნდებოდა და გზად ფიჯიზე შეიარა. ფიჯის რაგბის კავშირმა ახალზელანდიელები დაითანხმა და ალბერ პარკზე პირველი საერთაშორისო მატჩის გამართვა მოახერხა. „ოლ ბლექსმა“ მეტოქე, რომელიც მთლიანად ევროპელებით იყო დაკომპლექტებული, დიდი ანგარიშით დაამარცხა 67:3.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ფიჯური რაგბი ნელ-ნელა ვითარდებოდა და განსაკუთრებულ წარმატებებს ამ ქვეყნის შვიდკაცა რაგბის გუნდი აღწევდა, რომელიც დღემდე ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ფიჯის ეროვნული გუნდი მსოფლიოს თაისის ყველა გათამაშების მონაწილეა. პირველ შეჯიბრებაში 1987 წელს ფიჯელებმა მეოთხედფინალში გააღწიეს.

ყველაზე ცნობილი მატჩი, რომელიც მსოფლიოს რაგბის ოქროს ფონდში შევა ფიჯის ნაკრების მონაწილეობით, 2007 წელს საფრანგეთში გამართულ მსოფლიოს თასზე შედგა. „მფრინავმა ფიჯელებმა“ ჯგუფურ ტურნირში უელსის ძლიერი გუნდი 38:34 დაამარცხეს და მეოთხედფინალში მეორედ გააღწიეს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოვერტაიმების დღე

დიდი სათამაშო დღე შედგა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ჩვენ ყურადღებას რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაზე გავამახვილებთ.

ექვსმატჩიანი მოგებათა სერიით ჩავიდა ოკლაჰომაში „კლიპერსი“, მაგრამ კალიფორნიელებს შეხვედრის დებიუტი არ გამოუვიდათ. ამის მიზეზი „თანდერის“ მცველი **ტაბო სეფოლოშა** იყო, რომელიც გასაქანს არ აძლევდა **კრის პოლს**. საბოლოოდ, პლეიმეიკერმა მხოლოდ ცხრა ქულა დააგროვა, 14-დან ორი ბურთი ჩააგდო და ოთხი შეცდომა დაუშვა. გუნდის ლიდერის ასეთ სუსტ თამაშს „კლიპერსის“ განადგურება უნდა გამოეწვია, მაგრამ სტუმრებმა **ბლედსოუსა** და **კროუფორდის** 31 ქულით ოვერტაიმამდე მიაღწიეს. უფრო მეტიც, იმავე კრის პოლს შეეძლო გამარჯვება მოეტანა თავისი გუნდისთვის ძირითად დროში, მაგრამ ბოლო ტყორცნა მიზანს ააცილა. დამატებით დროში კი ყველაფერი გადაწყვიტა „თანდერის“ 5:0 გაქცევამ. სირენამდე 25 წამით ადრე ვიცე-ჩემპიონთა უპირატესობა 6 ქულა იყო. ბოლოს, სტუმრები ჯარიმების ტაქტიკაზე გადავიდნენ, მაგრამ **კევინ დურანტმა** უშეცდომოდ ისროლა საჯარიმოები და საბოლოოდ, 35 ქულას მოუყარა თავი.

■ ■ ■

პირველი მატჩი წააგო ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ლეიკერსმა“. „საკრამენტომ“ კალიფორნიულ გრანდს 113 ქულა ჩაუგდო იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ 21 წუთი გაატარა მოედანზე **დემარკუს კაზინსმა** - ის ექვსი პერსონალურის გამო დაისაჯა. ამას თითქოს ფრთები უნდა შეესხა **დუაიტ ჰოვარდისთვის**, მაგრამ „სუპერმენი“ თავის თავს არ ჰგავდა - მხოლოდ 7 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა, არადა, 41 წუთი დაჰყო მოედანზე.

საბოლოოდ, მატჩის სიმძიმე მხრებზე **კობი ბრაიანტს** დააწვა. მან შეტევაში ბრწყინვალედ ითამაშა - 38 ქულა დააგროვა, მაგრამ დაცვა არ უვარგოდა და თან შვიდი შეცდომა დაუშვა. ამ ყველაფერმა ერთად გამოიწვია ის, რომ **მაიკ დ'ენტონიმ** პირველი მარცხი იგემა „ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელის რანგში.

■ ■ ■

მეორე მეოთხედის დასაწყისში **რეი ალენის** მიერ ჩაგდებული სამქულიანის შემდეგ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „მაიამის“ ოვერტაიმი დასჭირდებოდა „მილუოკის“ დასამარცხებლად. იმ მომენტისთვის სხვაობა 18 ქულას აღწევდა, მაგრამ **სკაილზის** შეგირდებმა პატარა სასწაული მოახდინეს, მიუხედავად იმისა, რომ **მონტა ელისმა** მთლიანად ჩააგდო შეხვედრა (16-დან 12 აცილებული ტყორცნა). „ბაქსს“ **ბრენდონ ჯენინგსი** (19 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 5 ჩაჭრა) და... **ჯონ ჰენსონი** მიათრევდნენ წინ. ამ უკანასკნელმა ორჯერ მეტი მოხსნა (18) შეაგროვა, ვიდრე ჩემპიონატის წინა მატჩებში ერთად აღებული და ამას 17 ქულა დაუმატა. ეს ბიჭი გმირი გახდებოდა, საყაიმო ანგარიშისას სირენამდე 98 წამით ადრე ზუსტად რომ ესროლა, მაგრამ არ გამოუვიდა.

ოვერტაიმში „მილუოკის“ მიზანი აერია, ამიტომაც ფლორიდელთა „დიდმა ტრიომ“ (ჯამში 80 ქულა) იოლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

■ ■ ■

ოვერტაიმამდე არ მივიდა საქმე ბოსტონში, სადაც „სან ანტონიო“ ჩავიდა სათამაშოდ. თუმცა აქ ბრძოლა საკმარისზე მეტი იყო. ავიღოთ თუნდაც **კევინ გარნეტისა** და **ტიმ დანკანის** დაპირისპირება, რომელიც სტუმართა ფორვარდმა მოიგო. „ბებერმა“ ტიმმა ორმაგ დუბლს (20 ქულა და 15 მოხსნა) ოთხი შედეგიანი პასი დაუმატა. ბრწყინვალე იყო **ტიაგუ სპლიტერი**, რომელმაც თამაშიდან 11-ჯერ ისროლა, 9 ბურთი ჩააგდო და 26 წუთში უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე „სელტიქსის“ მთლიანმა სათადარიგოთა სკამმა - 23 ქულა. სწორედ ბრაზილიელის წყალობით მოაწყო „სპურსმა“ გაქცევა მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში, რის შემდეგაც ტეხასელთა უპირატესობა ორიდან 16 ქულამდე გაიზარდა.

„ბოსტონს“ გადარჩენის შანსი არ ჰქონდა, რადგან იმ დღეს სეზონში შედეგიანობის პირადი რეკორდის დამყარება გადაწყვიტა **ტონი პარკერმა**. „სელტიქსმა“ 26:41 წააგო ფარქვეშ ბრძოლა და მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ სამი სამქულიანი გამოიყენა. მასპინძლების რიგებში ისევ **რაჯონ რონდო** უნდა გამოვყოთ, რომელმაც 35 მატჩამდე აიყვანა სერია, როცა ერთ შეხვედრაში მინიმუმ 10 შედეგიან პასს აგროვებს.

**ბოსტონი–სან ანტონიო 100:112**

27:30, 21:26, 26:26, 26:30

**ბ:** რონდო (22+15 პასი), პირსი (19), ბასი (16+6 მოხსნა), გარნეტი (14), ტერი (12).

**ს-ა:** პარკერი (26+6 პასი), სპლიტერი (23), დანკანი (20+15 მოხსნა), ნილი (12), ბლეირი (10+5 მოხსნა), გრინი (10).

**ატლანტა–ვაშინგტონი 101:100 (ო)**

26:24, 24:23, 18:19, 22:24, 11:10

**ა:** სმიტი (25+12 მოხსნა+4 დაფარება), კორვერი (16), ჰორფორდი (15+9 მოხსნა+10 პასი), ტიგი (14+7 პასი), ჰარისი (13+5 პასი).

**ვ:** სერაფინი (21+10 მოხსნა), პრაისი (14+7 პასი), არიზა (12+15 მოხსნა), ნენე (12), უებსტერი (10+7 მოხსნა).

**მაიამი–მილუოკი 113:106 (ო)**

29:15, 17:29, 25:29, 27:25, 15:8

**მაი:** ჯეიმსი (28+10 მოხსნა+8 პასი), უეიდი (28), ბოში (24+18 მოხსნა), ალენი (17).

**მილ:** ჯენინგსი (19+7 მოხსნა+6 პასი+5 ჩაჭრა), ჰენსონი (17+18 მოხსნა), დანლივი (16), ჰარისი (11+6 მოხსნა), დალემბერი (10+5 მოხსნა).

**ოკლაჰომა–კლიპერსი 117:111 (ო)**

28:22, 31:27, 17:20, 26:33, 15:9

**ო:** დურანტი (35+6 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), უესტბრუკი (23+9 პასი), მარტინი (20), იბაკა (15+12 მოხსნა+3 დაფარება), ტაბიტი (10).

**კ:** გრიფინი (23+6 მოხსნა), კროუფორდი (20), ბარნსი (19+9 მოხსნა), ჯორდანი (12+10 მოხსნა), ბლედსოუ (11).

**ჰიუსტონი–ჩიკაგო 93:89**

20:22, 22:24, 24:19, 27:24

**ჰ:** ჰარდენი (28+5 ჩაჭრა), პატერსონი (20+8 მოხსნა), პარსონსი (18+13 მოხსნა), დაგლასი (11).

**ჩ:** რობინსონი (21+5 მოხსნა+5 პასი), დენგი (19+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბუზერი (13+15 მოხსნა), ნოა (11+7 მოხსნა+4 დაფარება).

**მინესოტა–დენვერი 94:101**

26:15, 32:29, 15:25, 21:32

**მ:** ლავი (34+14 მოხსნა), ბარეა (12), პეკოვიჩი (10+7 მოხსნა).

**დ:** გალინარი (19+6 მოხსნა), ლოუსონი (18+9 პასი), იგუოდალა (18+9 მოხსნა), ჯ. ჰემილტონი (12+6 მოხსნა), მილერი (11+5 პასი), ფარიდი (4+14 მოხსნა).

**დალასი–ნიუ იორკი 114:111**

24:28, 25:26, 35:26, 30:31

**დ:** მაიო (27), კარტერი (25), კოლისონი (19+7 პასი), კრაუდერი (12), კამანი (10+5 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (23+6 მოხსნა), ჩენდლერი (21+13 მოხსნა), ფელტონი (18+11 პასი), კიდი (17+6 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), სმიტი (14), უოლასი (11+7 მოხსნა).

**ფინიქსი–პორტლენდი 114:87**

29:25, 28:19, 32:27, 25:16

**ფ:** გორტატი (22+7 მოხსნა), მორისი (19+7 მოხსნა), ო'ნილი (17+5 მოხსნა), დრაგიჩი (15+8 პასი), ტაკერი (11), ბრაუნი (10).

**პ:** ლილარდი (24), ბატუმი (13+5 მოხსნა), მეტიუზი (13), ოლდრიჯი (12+7 მოხსნა), ლეონარდი (12+5 მოხსნა).

**საკრამენტო–ლეიკერსი 113:97**

15:21, 27:20, 31:28, 40:28

**ს:** ტორნტონი (23), ტ. ევანსი (18+6 პასი), ტომპსონი (13+10 მოხსნა), სალმონსი (13), ბრუქსი (13), ჰეისი (10+5 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (38), მიქსი (15), უორლდ პისი (13), მორისი (12).

**გ. სტეიტი–ბრუკლინი 102:93**

18:30, 23:16, 33:20, 28:27

**გ-ს:** კარი (25+6 პასი), ტომპსონი (23), ლი (20+13 მოხსნა+6 პასი), ლენდრი (11+5 მოხსნა).

**ბ:** ლოპესი (22), ჯონსონი (13+6 პასი), ბლეტჩი (11+7 მოხსნა), ჰემფრიზი (10+6 მოხსნა).

ტიმ დანკანი




კალათბურთი

ჯეკ ტეილორი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეკ ტეილორის 138 ქულა!

უნიკალური შემთხვევა დაფიქსირდა NCAA-ის ლიგის მესამე დივიზიონში - Grinnell-ის უნივერსიტეტის გუნდმა გაანადგურა Faith Bapt. Bible ანგარიშით – 179:104. ამასთან, გამარჯვებული გუნდის მოთამაშემ **ჯეკ ტეილორმა** 138 ქულა დააგროვა! მის ანგარიშზეა – 27 ზუსტი სამქულიანი, 25-ორქულიანი და შვიდი საჯარიმო. საერთო ჯამში, მან მეტოქის ფარის მიმართულებით 108-ჯერ ისროლა, იმ დროს, როცა დანარჩენმა გუნდმა - 28-ჯერ. საინტერესოა, რომ დამარცხებული გუნდის რიგებში 70 ქულა ჩააგდო **დევიდ ლარსონმა**, მაგრამ ტეილორის გამოსვლის ფონზე მისი შედეგიანი თამაში არავის შეუმჩნევია. 138 ქულა ერთ თამაშში – NCAA-ის ყველა დივიზიონის ახალი რეკორდია.

*"ახლაც არ მჯერა, რომ ეს რეალობაა"*, - განაცხადა ტეილორმა ისტორიული მატჩის შემდეგ. საინტერესოა, რომ წინა ორ შეხვედრაში ტეილორმა ჯამში 41 ტყორცნიდან მხოლოდ 11 მოათავსა კალათში, მაგრამ გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ მას მიზანი გაესწორებინა: *"გუნდსა და მწვრთნელს უნდოდათ, რომ შეტევა გამეგრძელებინა"*, - ჰყვება ტეილორი. პირველი ტაიმის შემდეგ, მის ანგარიშზე 58 ქულა მოდიოდა. *"მეგონა, რომ დაახლოებით 30 ქულა მქონდა ჩაგდებული*, - ამბობს ტეილორი. – *მაგრამ მწვრთნელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ 58 ქულაზე ვიყავი გაჩერებული. მაშინ მივხვდი, რომ ეს შეიძლებოდა განსაკუთრებული საღამო ყოფილიყო"*. მეორე ტაიმში გულშემატკივრებმა ტეილორის გვარის სკანდირება დაიწყეს და შოუს გაგრძელებას ითხოვდნენ. *"მატჩის ბოლოს უკვე წარმოდგენილი მქონდა, რომ ძალიან ბევრი ქულის პატრონი ვიყავი"*.

მატჩის შემდეგ, ჯეკი საყოველთაოდ პოპულარული გახდა და მის მიღწევას NBA-ის ვარსკვლავებიც კი გამოეხმაურნენ. *"ჯეკ ტეილორ, შენ დაიმსახურე "ჯეკ დენიელსი"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" **კევინ დურანტმა. კარმელო ენტონი** შოკირებული იყო, როცა ამ ამბის შესახებ შეიტყო: *"მსგავსი არაფერი გამეგო. ყველაფერი ისეა, როგორც ვიდეოთამაშში. როგორ შეიძლება მატჩში 100 ტყორცნის შესრულება?!"*

რეიმონდ ფელტონმა იხუმრა: *"ალბათ, ახლა იდაყვი ძალიან სტკივა!"*

კობი ბრაიანტმა, რომელსაც თავად უყვარს შედეგიანობის რეკორდების დამყარება, შეაქო ტეილორი: *"ეს სიგიჟეა. მნიშვნელობა არ აქვს რა დონეზე შეძელი ეს. 138 ქულა – ფანტასტიკაა!"*

საინტერესოა, რომ ამ რეკორდის დასამყარებლად ტეილორს 36 წუთი დასჭირდა.

# ევროლიგა წესებს ცვლის

ევროლიგის ექსპერტთა საბჭომ მოიწონა წესებში ცვლილებები, რომელმაც მატჩები უფრო სანახაობრივი, სუფთა და სამართლიანი უნდა გახადოს. მსგავსი ინიციატივით ევროლიგა წლევანდელ ზაფხულს გამოვიდა. ახლა, პროექტს FIBA-ის ტექნიკურ კომისიაში გაგზავნიან და მას 2013 წლის იანვარში განიხილავენ.

ექსპერტთა საბჭოს მიერ შეთავაზებულმა ცვლილებებმა უნდა მიაახლოოს მთავარი ევროტურნირის წესები NBA-ის წესებთან.

ნესების სავარაუდო ცვლილებები:

- მოედნის სიგანის გაზრდა, 2010 წელს სამქულიანის რკალის გადიდების გამო.
- ტექნიკური პერსონალურის გამო მხოლოდ ერთი საჯარიმოთი და ბურთის ფლობით დასჯა.
- ნებისმიერი მოთამაშის დისკვალიფიკაცია ყოველ ორ ტექნიკურ პერსონალურზე.
- შეტევაში მოხსნის შემდეგ დაიწყოს არა 24-წამიანი, არამედ 14-წამიანი ათვლა.
- თითო ტაიმში წუთიანი ტაიმ-აუტის აღების შესაძლებლობის შეცვლა 20-წამიანი ტაიმ-აუტით. ტაიმ-აუტების რაოდენობის შეზღუდვა ბოლო ორ წუთში – ორი-ორი პაუზა თითო გუნდისთვის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი

WTA 2012 წლის ყველა ფინალი


2012 წლის საუკეთესო სამეული: აზარენკა, სერენა უილიამსი და შარაპოვა

**იანვარი**

**ბრისბენი (ავსტრალია).** კაია კანეპი (ესტ)-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) 6:2, 6:1
**ოკლენდი (ახ. ზელანდია).** ჟიე ჟენგი (ჩინ)-ფლავია პენეტა (იტა) 2:6, 6:3, 2:0 უარი
**სიდნეი (ავსტრალია).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-ნა ლი (ჩინ) 6:2, 1:6, 6:3
**ჰობარტი (ავსტრალია).** მონა ბარტელი (გერ)-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 6:1, 6:2
**ავსტრალიის ღია (მელბურნი).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:3, 6:0

**თებერვალი**

**პარიზი (საფრანგეთი).** ანჟელიკ კერბერი (გერ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 7:6(3), 5:7, 6:3
**პატაია (ტაილანდი).** დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)-მარია კირილენკო (რუს) 6:7(4), 6:3, 6:3
**დოჰა (კატარი).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:1, 6:2
**ბოგოტა (კოლუმბია).** ლარა არუაბარენა (ესპ)-ალექსანდრა პანოვა (რუს) 6:2, 7:5
**დუბაი (საამიროები).** აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-იულია გორგესი (გერ) 7:5, 6:4
**მემფისი (აშშ).** სოფია არვიდსონი (შვედ)-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:3, 6:4
**მონტერეი (მექსიკა).** ტიმეა ბაბოში (უნგ)-ალექსანდრა კადანტუ (რუმ) 6:4, 6:4
**აკაპულკო (მექსიკა).** სარა ერანი (იტა)-ფლავია პენეტა 5:7, 7:6(2), 6:0
**კუალა ლუმპური (მალაიზია).** სუ-ვეი ჰსიე (ტაილ)-პეტრა მარტიჩი (ხორ) 2:6, 7:5, 4:1 უარი

**მარტი**

**ინდიან უელსი (აშშ).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:2, 6:3
**მაიამი (აშშ).** აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-მარია შარაპოვა (რუს) 7:5, 6:4

**აპრილი**

**ჩარლსტონი (აშშ).** სერენა უილიამსი (აშშ)-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:0, 6:1
**ბარსელონა (ესპანეთი).** სარა ერანი (იტა)-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ) 6:2, 6:2
**კოპენჰაგენი (დანია).** ანჟელიკ კერბერი (გერ)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:4, 6:4
**შტუტგარტი (გერმანია).** მარია შარაპოვა (რუს)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:1, 6:4
**ფესი (მაროკო).** კიკი ბერტენსი (ჰოლ)-ლაურა პოუს ტიო (ესპ) 7:5, 6:0
**ბუდაპეშტი (უნგრეთი).** სარა ერანი (იტა)-ელენა ვესნინა (რუს) 7:5, 6:4
**ეშტორილი (პორტუგალია).** კაია კანეპი (ესტ)-კარლა სუარეს ნავარო (ესპ) 3:6, 7:6(6), 6:4

**მაისი**

**მადრიდი (ესპანეთი).** სერენა უილიამსი (აშშ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:1, 6:3
**რომი (იტალია).** მარია შარაპოვა (რუს)-ნა ლი (ჩინ) 4:6, 6:4, 7:6(5)
**ბრიუსელი (ბელგია).** აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)-სიმონა ჰალეპი (რუმ) 7:5, 6:0
**სტრასბური (საფრანგეთი).** ფრანჩესკა სკიავონე (იტა)-ალიზ კორნე (საფ) 6:4, 6:4
**საფრანგეთის ღია (პარიზი).** მარია შარაპოვა (რუს)-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:2

**ივნისი**

**ბირმინგემი (ბრიტანეთი).** მელანი ოუდინი (აშშ)-ელენა იანკოვიჩი (სერ) 6:4, 6:2
**ბად გაშტაინი (ავსტრია).** ალიზ კორნე (საფ)-იანინა ვიკმაიერი (ბელ) 7:5, 7:6(1)
**ისტბურნი (ბრიტანეთი).** ტამირა პაჩეკი (ავსტრია)-ანჟელიკ კერბერი (გერ) 5:7, 6:3, 7:5
**ჰერტოგენბოში (ჰოლანდია).** ნადია პეტროვა (რუს)-ურსულა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:3
**უიმბლდონი (ლონდონი).** სერენა უილიამსი (აშშ)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:1, 5:7, 6:2

**ივლისი**

**სტენფორდი (აშშ).** სერენა უილიამსი (აშშ)-კოკო ვანდევეგე (აშშ) 7:5, 6:3
**პალერმო (იტალია).** სარა ერანი (იტა)-ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ) 6:1, 6:3
**კარლსბადი (აშშ).** დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ)-მარიონ ბარტოლი (საფ) 6:1, 7:5
**ბაშტადი (შვედეთი).** პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)-მატილდ იოჰანსონი (საფ) 0:6, 6:4, 7:5
**ბაქო (აზერბაიჯანი).** ბოიანა იოვანოვსკი (სერ)-ჯულია კოენი (აშშ) 6:3, 6:1
**ოლიმპიადა (ლონდონი).** სერენა უილიამსი (აშშ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:0, 6:1
**ვაშინგტონი (აშშ).** მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ)-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:1, 6:1

**აგვისტო**

**მონრეალი (კანადა).** პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-ნა ლი (ჩინ) 7:5, 2:6, 6:3
**ცინცინატი (აშშ).** ნა ლი (ჩინ)-ანჟელიკ კერბერი (გერ) 1:6, 6:3, 6:1
**ნიუ ჰეივენი (აშშ).** პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-მარია კირილენკო (რუს) 7:6(9), 7:5
**დალასი (აშშ).** რობერტა ვინჩი (იტა)-ელენა იანკოვიჩი (სერ) 7:5, 6:3
**აშშ-ის ღია (ნიუ იორკი).** სერენა უილიამსი (აშშ)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ) 6:2, 2:6, 7:5

**სექტემბერი**

**ტაშკენტი (უზბეკეთი).** ირნა-კამელია ბეგუ (რუმ)-დონა ვეკიჩი (ხორ) 6:4, 6:4
**კვებეკ-სიტი (კანადა).** კირსტენ ფლიპკენსი (ბელ)-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:1, 7:5
**სეული (ს. კორეა).** კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-კაია კანეპი (ესტ) 6:1, 6:0
**გუანგჯოუ (ჩინეთი).** სუ-ვეი ჰსიე (ტაილ)-ლაურა რობსონი (ბრიტ) 6:3, 5:7, 6:4
**ტოკიო (იაპონია).** ნადია პეტროვა (რუს)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:0, 1:6, 6:3

**ოქტომბერი**

**პეკინი (ჩინეთი).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:3, 6:1
**ლინცი (ავსტრია).** ვიქტორია აზარენკა (ბლრ)-იულია გორგესი (გერ) 6:3, 6:4
**ოსაკა (იაპონია).** ჰიზერ უოტსონი (ბრიტ)-კაი ჩენ ჩანი (ტაივ) 7:5, 5:7, 7:6(4)
**მოსკოვი (რუსეთი).** კაროლინ ვოზნიაცკი (დან)-სამანტა სტოსური (ავსტრა) 6:2, 4:6, 7:5
**ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი).** ვენუს უილიამსი (აშშ)-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 6:2, 6:3
**სტამბოლი (თურქეთი).** სერენა უილიამსი (აშშ)-მარია შარაპოვა (რუს) 6:4, 6:3
**სოფია (ბულგარეთი).** ნადია პეტროვა (რუს)-კაროლინ ვოზნიაცკი (დან) 6:2, 6:1

WTA-ის ტური 2012

# ქალთა ჩოგბურთი ფართოვდება

ქალთა ჩოგბურთი თავისი გეოგრაფიის გაფართოებას გეგმავს. WTA-ის პრეზიდენტი **სტეისი ალასტერი** აპირებს აითვისოს პლანეტის ის რეგიონები, სადაც ჯერ არ შეულწევია დიდ ჩოგბურთს. ამას ადასტურებს თუნდაც 2014 წელს, სეზონის შემაჯამებელი ტურნირის ჩატარების მსურველთა სია. უკვე შემდეგი სეზონიდან WTA-ის კალენდარში გაჩნდება "125" კატეგორიის ერთი ან რამდენიმე ტურნირი, რომელიც რეალურად გააფართოებს ქალთა ჩოგბურთის გეოგრაფიას.

*"ეს უკვე აღარ არის საიდუმლო. ამის შესახებ ჯერ კიდევ გასულ წელს ვლაპარაკობდი და ახლა, ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენს სტრატეგიაში: ჩოგბურთის დონის ზრდა აზია-ოკეანეთის ზონაში და კერძოდ, ჩინეთში. ჩვენ უკვე გვაქვს ჩინეთის ღია პირველობა, ასევე გუანგჯოუს ტურნირი, 2013 წელს კი WTA-ის კალენდარში ასევე გაჩნდება შენჟენი. გარდა ამისა, იმედი მაქვს, რომ ჩინეთის ჩოგბურთის ფედერაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ მივიღებთ "125" კატეგორიის კიდევ ერთ ან ორ ტურნირს 2013 წლის სეზონში"*, - ამბობს ალასტერი.

*"ჩვენ ასევე გვინდა, რომ არსებობდეს სხვაობა ITF 100s-სა და WTA-ის ტურნირებს შორის. ამიტომაც, ვაპირებთ გავზარდოთ მომავალი წლისთვის საპრიზო ფონდი. ასევე ვგეგმავთ ახალი კატეგორიის შემოღებას: International-ის სერიის ტურნირები "235"-ის კატეგორიას მიიღებენ".*

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კატეგორიის პირველი ტურნირები უკვე ამ წელს გაიმართება, თუმცა ისინი ჯერ არ შეუტანიათ WTA-ის კალენდარში. პირველი შეჯიბრება სტარტს 29 ნოემბერს ტაიბეიში აიღებს, შემდეგ კი გაიმართება ტურნირი პუნში (ინდოეთი). WTA-ის შეფის თქმით, გაცილებით რთულია ტურის კალენდარში აფრიკული ტურნირების შეტანა.

*"ვცდილობთ შევადგინოთ კალენდარი ისე, რომ ის იყოს "ჯანსაღი", გეოგრაფიულად და კორტის საფრის მიხედვით თანამიმდევრული. ამ მიზეზით პლანეტის ზოგიერთ ნაწილში ტურნირების ჩატარება რთულდება. ეს სწორედ ის არის, რაზეც აუცილებელია მუშაობა. ვფიქრობ, "125" კატეგორიის ტურნირები შეიძლება აფრიკაში გაიმართოს. უკვე ვაწარმოეთ მოლაპარაკებები სამხრეთ აფრიკასთან ამ ქვეყანაში International-ის სერიის ტურნირის ჩატარებაზე, მაგრამ ჩვენი კალენდრის პირობებში ამის გაკეთება ძალიან რთულია. დღეისთვის პრიორიტეტულია აზია-ოკეანეთის რეგიონის განვითარება. დიდი სამუშაო ჩავატარეთ სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ ახლა, აფრიკა იქნება ერთ-ერთი ჰორიზონტი, რომლის ათვისებასაც შევეცდებით".*

■ ■ ■

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია პრემიალური თანხების ოდენობა, რომელსაც ჩოგბურთელებს გადაუხდიან. სტეისი ალასტერმა განაცხადა, რომ მომავალ წელს ჰონორარები ისევ გაიზრდება, რაც WTA-ის ტურნირებს კიდევ უფრო მომხიბვლელს გახდის მონაწილეებისთვის.

*"როცა 1973 წელს ბილი ჯინ კინგმა WTA დააარსა, წლიური საპრიზო ფონდი მხოლოდ 300 ათას დოლარს შეადგენდა. ამასთან, კალენდარში მხოლოდ 14 ტურნირი იყო, რომელთა ძირითადი ნაწილი ჩრდილოეთ ამერიკაში იმართებოდა. ახლა კი ჩვენ გვაქვს 52 ტურნირი 32 ქვეყანაში, საერთო საპრიზო ფონდი კი 100 მილიონ დოლარს შეადგენს. ასე რომ, შეიძლება ითქვას - ყოველი ახალი თაობა აგრძელებს ჩოგბურთის ახალ დონეზე აყვანას. მოთამაშეთა დღევანდელმა თაობამ სერიოზულ სიმაღლეებს მიაღწია და უკვე შეიტანა თავისი წვლილი სპორტის ისტორიაში. მათი დახმარებით ჩვენ გავაგრძელებთ სპორტის ამ სახეობაში მსოფლიო დონის სპონსორების მოზიდვას, ასევე ჩვენს განკარგულებაში იქნებიან მსოფლიოს უდიდესი ქალაქები, რომლებიც დაინტერესებულები არიან წლის შემაჯამებელი ტურნირის ჩატარებით. არ წყდება ადამიანების რაოდენობა, რომლებიც გვირეკავენ და გვთხოვენ WTA-ის ტურნირის ჩატარების საშუალება მივცეთ. ამიტომაც ვზრდით "125" კატეგორიის ტურნირების რაოდენობას".*

*"სტამბოლში წლის შემაჯამებელი ტურნირის დროს შევხვდი "დიდი სლემის" ჩემპიონატების წარმომადგენლებს. მათთან საკმაოდ კონსტრუქციული დიალოგი გვქონდა. ოთხივე ტურნირის ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა მონაწილეებისთვის საპრიზო თანხების თანაბრად განაწილებას. ისინი ასევე თანხმანი არიან, რომ გაიზარდოს სპორტსმენებისთვის საკომპენსაციო თანხები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ჩოგბურთელებისთვის. განხილვა დადებით ნოტზე დავასრულეთ და უახლოეს თვეებში გავაგრძელებთ თანამშრომლობას. არსებობს კარგი წინაპირობა იმისთვის, რომ "დიდი სლემის" ტურნირებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან წინსვლისკენ".*

ალასტერმა ისიც აღნიშნა, რომ WTA ყურადღებით უსმენს ჩოგბურთელთა შენიშვნებსა და რჩევებს. მაგალითად, მოთამაშეებმა მოითხოვეს საპრიზო თანხების გაზრდა იმ ჩოგბურთელებისთვის, რომლებიც საწყის რაუნდებში ეთიშებიან "დიდი სლემის" ჩემპიონატებს.

*"უფრო მეტი თანხა უნდა გადავუხადოთ იმ ჩოგბურთელებს, რომლებიც "დიდი სლემის" ტურნირებს პირველ კვირას ეთიშებიან. მათ უნდა ჰქონდეთ მწვრთნელის დაქირავების, საკუთარი დანახარჯების დაფარვის ან თუნდაც გარკვეული თანხის გამომუშავების საშუალება. ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას".*

სტამბოლში ასევე ლაპარაკი იყო მოთამაშეების კომპენსაციაზეც, რომლებიც წყვილთა თანრიგში მონაწილეობენ და გაცილებით ნაკლები შემოსავალი აქვთ, ვიდრე ერთეულებში მოთამაშეებს.

*"არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ სპორტსმენებს ყოველთვის უტრიალებთ თავში საპრიზო თანხები. WTA-ში ჩვენ გვაქვს საპრიზო ფონდის გაყოფის საერთო სისტემა - 80 პროცენტი ერთეულებისთვის და 20 პროცენტი წყვილთა თანრიგისთვის. 2013 წელს, WTA-ის 53-ივე ტურნირზე საპრიზო თანხები გაიზრდება, ასე რომ, წყვილთა თანრიგის წარმომადგენლები შეძლებენ თავიანთი შემოსავლის გაზრდას შესაბამისი შეფარდების მიხედვით. რაც შეეხება "დიდი სლემის" ტურნირებს, მათი ორგანიზატორები თავად ანესებენ საპრიზო ფონდს და ანაწილებენ მას. თუმცა მათაც აქვთ კავშირი ჩოგბურთელებთან".*

■ ■ ■

ფულად საკითხთან და WTA-ის გეოგრაფიის გაზრდასთან ერთად, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ალასტერის განცხადებამ იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ორგანიზაცია ასრულებს ტელეკომპანია Eurosport-თან 14-წლიან თანამშრომლობას. ამ ტელევიზიის ეთერით მრავალი წლის განმავლობაში გადაიცემოდა WTA-ის უმსხვილესი ტურნირები.

"ბიზნესის მხრივ, 2012 წელი ჩვენთვის ძალიან წარმატებული იყო. განვაახლეთ თანამშრომლობა Oriflame-თან, რომელთანაც ორწლიანი კონტრაქტი დაიდო, აგრეთვე გავახანგრძლივეთ ხელშეკრულება მრავალწლიან პარტნიორთან - Dubai Duty Free-თან. თუმცა, წელსვე დასრულდება მნიშვნელოვანი თანამშრომლობები, რაც მრავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა. ერთ-ერთია პარტნიორობა Regency Eurosport-თან", - განაცხადა WTA-ის პრეზიდენტმა.

თუმცა სტეისი ალასტერი ამბობს, რომ ამ თანამშრომლობის შეწყვეტის გამო არ დაზარალდება WTA-ის ტურნირების გაშუქების ხარისხი, მათ შორის, ევროპაში მცხოვრებლებისთვის.

*"შემიძლია ვუთხრა ჩვენს ფანებს – 2013 წელს კიდევ უფრო მეტი მატჩი იქნება ხელმისაწვდომი Live რეჟიმში სხვადასხვა არხის მეშვეობით. დღეისთვის ყველა ხელშეკრულება გაფორმებულია. სულ რაღაც ორი კვირის წინ დაიდო კონტრაქტი კომპანია Sportel-თან. რა თქმა უნდა, ძალიან გვიხარია, რომ ჩვენს გულშემატკივრებს უფრო მეტი შეხვედრის ხილვის საშუალება ექნებათ".*

კიდევ ერთი პარტნიორი, რომელთანაც WTA-მ გამოთხოვება გადაწყვიტა, კომპანია Sony Ericsson გახდა. მის ადგილს დაიკავებს Perform Group – მასთან უკვე გაფორმებულია ოთხწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



სტეისი ალასტერი და სამანტა სტოსური

ფორმულა 1. ბრაზილიის გრანპრის წინ

# მზადება შუმის გაცილებისთვის



შუმახერი და ფეტელი

ფორმულა 1-ის დასკვნითი რბოლა, ტრადიციულად, ბრაზილიის ავტოდრომ "ინტერლაგუშზე" გაიმართება. **მიხაელ შუმახერისთვის** ეს იქნება 308-ე გრანპრი კარიერაში და ამით ლეგენდარული გერმანელი საბოლოოდ დაემშვიდობება სპორტსმენის აქტიურ კარიერას.

**მიხაელ შუმახერი**: "ინტერლაგუში – შესაფერისი ადგილია კარიერის დასრულებისთვის, რადგან ამ ავტოდრომს უკავშირდება ფორმულა 1-ის ისტორიის ბევრი დიადი ფურცელი. ყოველთვის მომწონდა ადგილობრივი ფანების ენთუზიაზმი. ეს არის ბრწყინვალე ტრასა, სადაც ბევრი საინტერესო მომენტის მოწმენი ვიყავით. უნიკალური კონფიგურაციის გამო, აქ რბოლა ყოველთვის სანახაობრივი და მიმზიდველია. ასევე "ინტერლაგუშს" უკავშირდება ჩემი მოგონებები აირტონ სენასთან დაკავშირებით.

სავარაუდოდ, ამ შემთხვევაში ფორმულა 1-თან გამოთხოვება არ იქნება ისეთი ემოციური, როგორც ეს 2006 წელს იყო, როცა ჩვენ ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ვიბრძოდით და ზეწოლა გაცილებით მაღალი იყო. მაგრამ ახლა, ვაპირებ უფრო ყურადღებით მივუდგე სპორტიდან ჩემს წასვლას და იმედია, ეს მომენტი სიამოვნებას მომანიჭებს. ფორმულა 1-ში საოცარი წლები გავატარე, მთელი მსოფლიოდან ვგრძნობდი გულშემატკივართა მხარდაჭერას, ამიტომაც ცალკე მინდა მათ მადლობა გადავუხადო.

რა თქმა უნდა, ბედნიერი ვიქნები, თუ გამოთხოვებისას კარგი რბოლის ჩატარებას მოვახერხებ. ამის გამო მაქსიმალურად მოვინდომებ".

**ნიკო როსბერგი**: „ფინალური რბოლა ბრაზილიაში უდიდესი მოვლენა იქნება. იმედია, მაყურებელი შთამბეჭდავ კონკურენციას იხილავს. გვინდა პოზიტიური უქმეები ჩავატაროთ და კარგ შედეგს მივაღწიოთ.

მიუხედავად ამისა, პრიორიტეტები არ იცვლება: მივიღოთ მაქსიმალური ინფორმაცია, რომელიც მომავალ წელს გამოგვადგება. სწორედ ამ მიმართულებით ვაპირებთ მუშაობას. ჩვენი გუნდისთვის მომავალი უქმეები განსაკუთრებული იქნება, რადგან მიხაელი ასრულებს კარიერას „მერსედესში" გატარებული სამი სეზონის შემდეგ. მე მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ: მასთან ერთად ერთ გუნდში ყოფნა და ტრასაზე ბრძოლა - დაუჯერებელი და დაუვიწყარი გამოცდილებაა".

„ბრაზილიის გრანპრი უკანასკნელი იქნება მიხაელის კარიერაში, ასე რომ, მთელ ჩვენს გუნდს ემოციური უქმეები ელის.

ბოლო სამი წელი მასთან მუშაობით უდიდესი სიამოვნება მივიღეთ და მინდა მას მადლობა ვუთხრა საქმისადმი ერთგულებისთვის, გუნდური სულისთვის და სპორტისადმი სიყვარულისთვის. ჩვენ ვერ შევძელით მაღალი შედეგების მიღწევა, რისი იმედიც გვქონდა, მაგრამ გუნდმა შესამჩნევი პროგრესი განიცადა. დარწმუნებული ვარ, ეს მომავალში ნაყოფს გამოიღებს.

მიხაელთან ერთად ჩემი კარიერის დიდი ნაწილი ვიმუშავე და ჩემი აზრით, ის საუკეთესო პილოტია ფორმულა 1-ის ისტორიაში.

ბრაზილიის გრანპრიზე ჩვენი მიზანი ის არის, რომ გავაგრძელოთ ექსპერიმენტების პროგრამა, რომელიც მომავალი სეზონისთვის იქნება გათვლილი, მით უმეტეს, რომ პარასკევის პრაქტიკებზე ჩვენ გამოვცდით „პირელის" საბურავებს, რომელიც 2013 წლისთვის არის განკუთვნილი. გვინდა სეზონი პოზიტიურ ნოტზე დავასრულოთ და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ", - განაცხადა „მერსედესის" შეფმა როს ბრაუნმა.

■ ■ ■

**სებასტიან ფეტელი** თუ **ფერნანდო ალონსო? ედრიან ნიუი** თუ **პეტ ფრაი?** „რედ ბული" თუ „ფერარი"? სეზონის მთავარ კითხვას მომავალ უქმეებზე, ბრაზილიაში გაეცემა პასუხი.

„ინტერლაგუში" - საუკეთესო ადგილია სეზონის ბოლო რბოლის ჩასატარებლად. ორივე პრეტენდენტი კარგად იცნობს ამ ავტოდრომს, მაგრამ ალონსო, ალბათ, უკეთ. გამოიყენებს თუ არა ის ამ ფაქტორს? ფეტელისთვის ხომ მეოთხე ადგილიც საკმარისია ჩემპიონობის მოსაპოვებლად.

არავინ იცის, ვინ გახდება კვირას მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი. ერთი რამ ცხადია: ეს იქნება ღირსეული გამარჯვებული.

**ბრაზილიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - სან პაულუ, ბრაზილია

**წრის სიგრძე** - 4 309 მ

**საუკეთესო წრე** - 1:11.473 (მონტოია, 2004)

**საერთო ჩათვლა**

1. ფეტელი (რედ ბული) - 273
2. ალონსო (ფერარი) - 260
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 206
4. ჰემილტონი (მაკლარენი) - 190
5. უებერი (რედ ბული) - 167
6. ბატონი (მაკლარენი) - 163
7. მასა (ფერარი) - 107
8. როსბერგი (მერსედესი) - 96

**განრიგი**

23 ნოემბერი, 16:00 - I პრაქტიკა
23 ნოემბერი, 20:00 - II პრაქტიკა
24 ნოემბერი, 17:00 - III პრაქტიკა
24 ნოემბერი, 20:00 - კვალიფიკაცია
25 ნოემბერი, 20:00 - რბოლა

ჩოგბურთი

# სამპრასის მოლოდინი

## არგენტინაში ლეგენდას ძეგლი დაუდგეს

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **პიტ სამპრასმა** 2013 წლის სეზონთან დაკავშირებით თავისი მოლოდინი გაგვიზიარა.

"მიუხედავად იმისა, რომ ეს სეზონი ძალიან საინტერესო და თანაბარი გამოვიდა, მიმაჩნია, რომ საუკეთესო **ნოვაკ ჯოკოვიჩი** იყო, რადგან მან მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა, წლის შემაჯამებელი ტურნირი და ასევე, ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან "დიდი სლემის" სხვა ჩემპიონატებზე. გარდა ამისა, მან პირველი ჩოგანის რანგში დაასრულა სეზონი. რაც შეეხება ფედერერს, მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ის განსაკუთრებული მოვლენაა, რომლის ახსნა თითქმის შეუძლებელია. ასევე წელს კარგი შთაბეჭდილება დატოვა ენდი მიურეიმ.

თუ მომავალ სეზონზე ვილაპარაკებთ, მიმაჩნია, რომ იქ დომინანტები იქნებიან ჯოკოვიჩი და მიურეი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რა კონდიციებით დაბრუნდება ნადალი და როგორ წარმოაჩენს თავს ფედერერი. დარწმუნებული ვარ, ისინი სერიოზულ წარმატებებს მიაღწევენ და ლიდერობისთვის იბრძოლებენ", - განაცხადა ამერიკული პრესისთვის მიცემულ კომენტარში სამპრასმა.

■ ■ ■

"დიდი სლემის" ტურნირების ოთხგზის ჩემპიონის, არგენტინელი **გილერმო ვილასის** მშობლიურ ქალაქ მარ დელ პლატაში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის საპატივცემულოდ ქანდაკება დადგეს. ის რკინისგან არის შესრულებული, ავტორი კი სკულპტორი **დანიელ მასი** გახლავთ.



გილერმო ვილასი თავის ქანდაკებასთან

"ძალიან მეშინოდა, რადგან არ ვიცოდი რა გამოვიდოდა, მაგრამ საბოლოო შედეგი მომეწონა", - განაცხადა ვილასმა არგენტინულ პრესაში.

ქანდაკების გახსნა მიეძღვნა 1977 წელს როლან გაროსსა და ამერიკის ღია პირველობაზე ვილასის გამარჯვებების 35 წლისთავს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ანჟი-უდინეზე | 2:0 |
| ლივერპული-იანგ ბოიზი | 2:2 |
| აკადემიკა-პლზენი | 1:1 |
| ატლეტიკო-ჰაპოელი (თ-ა) | 1:0 |
| მარსელი-ფენერბაჰჩე | 0:1 |
| ბორუსია (მ)-აელ | 2:0 |
| ბრიუგე-ბორდო | 1:2 |
| ნიუკასლი-მარიტიმუ | 1:1 |
| მიოლდე-კოპენჰაგენი | 1:2 |
| სტიაუა-შტუტგარტი | 1:5 |
| აიკ-ნაპოლი | 1:2 |
| ეინდჰოვენი-დნიპრო | 1:2 |
| ბაზელი-სპორტინგი | 3:0 |
| ვიდეოტონი-გენკი | 0:1 |
| ნეფთჩი-პარტიზანი | 1:1 |
| რუბინი-ინტერი | 3:0 |
| სპარტა-ლიონი | 1:1 |
| ლაციო-ტოტენჰემი | 0:0 |
| პანათინაიკოსი-მარიბორი | 1:0 |
| მეტალისტი-ლევერკუზენი | 2:0 |
| რუსენბორგი-რაპიდი | 3:2 |
| ჰანოვერი-ტვენტე | 0:0 |
| ჰელსინგბორგი-ლევანტე | 1:3 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბენფიკა B-კოვილია | 2:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-პარტიზანი | 78:61 |
| ფენერბაჰჩე-ოლიმპია | 85:68 |
| შალონი-ალბა | 82:87 |
| ბარსელონა-ლ. რიტასი | 90:66 |
| მილანი-ცედევიტა | 75:60 |
| ოლიმპიაკოსი-ეფესი | 75:53 |
| უნიკახა-პროკომი | 63:48 |

**ხელბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ჩეხ. მედვედი-ადემარი | 36:22 |
| შაფჰაუზენი-დინამო (მნ) | 28:33 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-სიბირი | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ლილეჰამერი-სპარტა | 5:2 |
| სტორჰამარი-ვოლერენგა | 3:4 |
| ტონსბერგი-ფრისკ ასკერი | 2:5 |
| ლორენსკოგი-რუსენბორგი | 3:6 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-ტპს | 2:1 (ბ) |
| იოკერიტი-ლუკო | 4:0 |
| ესეტი-საიპა | 2:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| სპარტა-ვიტკოვიცე | 2:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 3:4 (ო) |
| ლინჩოპინგი-ტიმრა | 5:2 |
| მოდო-ჰვ71 | 4:2 |
| როგლე-ლულეო | 1:2 |
| შელეფტეო-ვექსიო | 1:2 (ო) |

TV პროგრამა

**23 ნოემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლაციო-ტოტენჰემი.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მეტალისტი-ლევერკუზენი.
**14:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვიდეოტონი-გენკი.
**16:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ეინდჰოვენი-დნეპრი.
**18:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXVI ტურის მიმოხილვა.
**18:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-იანგ ბოიზი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**23:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**23:30** გერმანიის ჩემპიონატი. XIII ტური. ფორტუნა-ჰამბურგი (LIVE).
**01:30** ინგლისის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-დენვერი.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-ფიგეირენსე.
**17:00** კალათბურთი. NBA. 1985-86 წლები. ფინალი. ბოსტონი-ჰიუსტონი. III მატჩი.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
**20:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-ტვენტე.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-დენვერი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ჰარლიკინსი-ბიარიცი.
**16:00** ჩოგბურთი. დევისის თასი. ფინალი. ჩეხეთი-ესპანეთი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ფეხბურთი. ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ნაპოლი-დნეპრი.
**19:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-სან ანტონიო.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 7 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 11 | 18 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 17 | (მზე) |
| ფოთი | 8 | 17 | (მზე) |
| ზუგდიდი | 7 | 16 | (მზე) |
| გორი | 6 | 11 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 6 | 10 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 5 | 9 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 9 | (მზე) |
| ბორჯომი | -2 | 10 | (მცირე წვიმა) |
| მესტია | -2 | 14 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1246 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6623 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6446 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2903 |

ამბები

**ფორმულა 1**

### კორეა დიდი ცირკიდან გადის?

კორეის გრანპრის ორგანიზატორებმა გამოაქვეყნეს ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარიში, - იტყობინება Autosport. როგორც ირკვევა, 2012 წელს ფინანსურმა ზარალმა 50 მილიონი დოლარი შეადგინა, 2010 წელს კი ეს მაჩვენებელი 36.4 მილიონი იყო.

ორგანიზატორები ძალიან იმედგაცრუებულები არიან იმით, რომ ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარებისგან ეფექტი მინიმალურია. უახლოეს პერიოდში განხილული იქნება კორეის გრანპრის ორგანიზების მიზანშეწონილობა.

**კალათბურთი**

### ახალი ფრანგი სან ანტონიოში

"სან ანტონიო სპურსი" უახლოეს პერიოდში დაიწყებს მოლაპარაკებებს მცველ **მიკაელ პიეტრუსის** შეძენაზე. ეს ფრანგი კალათბურთელი თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს.

იტყობინებიან, რომ "სპურსს" მხოლოდ მინიმალურ კონტრაქტზე შეუძლია მოთამაშის აყვანა, ამიტომაც არსებობს იმის ალბათობა, რომ მხარეებმა ვერ შეძლონ მოლაპარაკება. ადრე წერდნენ პიეტრუსის მიმართ "მინესოტასა" და "ინდიანას" დაინტერესებაზე.

**ჰოკეი**

### მოთამაშეებმა ბევრი დათმეს

მოთამაშეთა პროფკავშირების შეფმა **დონალდ ფერმა** NHL-ის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის შემდეგ განაცხადა, რომ ახალი შეთავაზებისას ჰოკეისტები მაქსიმალურ დათმობებზე წავიდნენ. ფუნქციონერის თქმით, წინა შეხვედრებისას, ლიგის საერთო მოგების გაყოფის შესახებ კამათში სადავო იყო დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარი, ახლა კი, ეს თანხა მხოლოდ 182 მილიონია, თანაც ხუთი წლის განმავლობაში.

„ჩვენ გადავდგით მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ახლა ველოდებით, რომ ლიგა მოინდომებს ახალი შეხვედრის მოწყობას, თუ, რა თქმა უნდა, სურთ ხელშეკრულების გაფორმება", - ამბობს ფერი.

# მატარებელი №38, ევროპა-სლოვენია გადის მესამე ლიანდაგიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვისი დროშა აფრიალდება ცელიეს ციხესიმაგრეზე?



დავიძარით სლოვენიისკენ

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ, ნარბშეკრული ქორის გამოსახულება ამშვენებდა ზაზა ფაჩულიას თანამედროვე ჩანთას, რომელიც 211 სმ სიმაღლის კალათბურთელმა ჰაეროვნად აიტანა მატარებელში. გამცილებელმა თითით მიანიშნა, ამ ახმახს გაჰყევით, სწორედ იმ კუპისკენ მიემართება, რომელშიც თქვენც უნდა შეხვიდეთო.

ფაჩულიამ გახედა და ზურგიდან პოლონელი მარცინ გორტატი იცნო. ან როგორ ვერ იცნობდა, როცა NBA-შიც ხშირად ხვდება, ხოლო 2010 წელს თბილისში 19-ქულიანი გამარჯვების (84:65) შემდეგ ათქმევინა - ფაჩულიამ გამანადგურაო. იმავე შესარჩევში განმეორებით შეხვედრაში პოლონეთში ტრავმირებული ფაჩულიას გუნდმა 58:67 დათმო, არადა მასპინძლები იმუქრებოდნენ, 19-ზე მეტი სხვაობით უნდა დაგამარცხოთო.

კუპეში შესვლის წინ პოლონურმა „ჩაქუჩმა" (ასე უწოდებენ გორტატს) უკან გამოიხედა და ფაჩულია შენიშნა.

- მგონი ისევ ერთად მოვხვდით, - გაუღიმა ფაჩულიამ.

- ძალიანაც კარგი, თბილისური მწარე დღე ჯერაც არ დამვიწყებია, ევროპის ჩემპიონატის გახსნით მატჩში, 4 სექტემბერს ვნახავთ, ვინ უფრო ძლიერია.

- თუ გახსოვს, 2010 წელსაც გახსნითი შეხვედრა (ოღონდ, შესარჩევი ეტაპისა) იყო, 19 ქულით რომ გაჯობე. უფრო წინაც ვიხედები, 11 წლისა ვიყავი, საქართველოს ნაკრებმა პირველი ოფიციალური მატჩი რომ ჩაატარა და პოლონეთთან 68:91 დათმო. ასე რომ, ევრობასკეტი 2013-ის შემდეგ ურთიერთშეხვედრებში ანგარიშის გათანაბრებას ვაპირებ - 2:2.

- 1:3 სჯობს?! - ჩაიცინა გორტატმა და კუპეში შევიდა, სადაც სამი ბინადარი დახვდა: ესპანელი ხუან კარლოს ნავარო, სლოვენიელი იაკა ლაკოვიჩი და ხორვატი დამირ მარკოტა. გორტატი დამხვედრებზე ერთი თავით მაღალია და თითისწვერებზე აწევა არ დასჭირდა, ისე შემოდო წითელი ჩანთა საძინებელ მესამე სართულზე.

■ ■ ■

- ეგ კუპის პირველი ადგილია და უკვე დაკავებულია, - მშვიდად ახედა „ბარსელონას" უკანახაზელმა ნავარომ.

- თქვენ საიდან მოდიხართ?

- ლონდონიდან!

- როგორ თუ ლონდონიდან, მატყუებ! ეს მატარებელი ინგლისს არ გაივლის, - მხრები აიჩეჩა აწონილმა პოლონელმა.

ზაზა ფაჩულიას მოსწყინდა ჩანთით ხელში დგომა:



2011 წელი. მარკოტა (ხორვატია), იაგოდნიკი (სლოვენია) და შერმადინი

- გორტატ, რით ვერ მიხვდი, ესპანეთი ევროპის ჩემპიონატზე ლონდონის ოლიმპიადიდან მიდის, ჩვენგან განსხვავებით შესარჩევი ეტაპი არ გაუვლია. ბილეთი ადრევე აიღო და ამიტომაც ერგო კუპეში პირველი ადგილი. თან არ მგონია, ვინმემ ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში პირველი ადგილი წაართვას.

ფაჩულია ყველას თბილად მიესალმა, განსაკუთრებით სლოვენიელ ლაკოვიჩს, რომელთანაც მისი გზები 2011 წელს ორჯერ გადაიკვეთა. პირველი შეხვედრიდან ზაზას ნაკლებად სასიამოვნო მოგონებები დარჩა - ლიტვის ევრობასკეტზე ლაკოვიჩმა საქართველოს ნაკრების კალათში 5 სამქულიანი მოათავსა, მისმა გუნდმა - 15 და სლოვენიელებმა 87:75 დაგვამარცხეს. მეორედ ლაკოვიჩი და ფაჩულია ერთმანეთს იმავე, 2011 წელს თურქულ „გალათასარაიში" შეხვდნენ. სტამბოლში ქართველი ცენტრი NBA-ს ლოკაუტის დროს გამოდიოდა. ზაზამ იაკა მოიკითხა და ჰკითხა: სლოვენიელ კაცს სამშობლოში ჩასასვლელად მატარებელი რაში დაგჭირდაო? ლაკოვიჩმა განუმარტა:

- კლუბს ვეძებ, რათა ევრობასკეტისთვის სათანადოდ მოვემზადო. სლოვენიელები ევროპის პირველობისთვის მონდომებით ვემზადებით, საუკეთესო კალათბურთელების თავმოყრას ვაპირებთ, რაც აქამდე ვერ ხერხდებოდა.

■ ■ ■

ზაზამ ჩანთა გახსნა, ქართული „საფერავი" ამოიღო და მაგიდაზე დადგა, მე თქვენ გეტყვით ევროპული მატარებლები ჩვენებურებივით ირყევა, რომ ბოთლს „თავი ვერ შეემაგრებინა", თუ...

- ბრძოლის წინ ერთი ჭიქა წითელი ღვინო კი მომიხდებოდა, - სახე გაებადრა ნავაროს და მაგიდაზე „ხამონი" (გამოყვანილი ღორის ბარკალი) დადო.

- ესეც „შტრუკლი", ჩვენებური რულეტი არაყნითა და ხაჭოთი, - თქვა ხორვატმა დამირ მარკოტამ და „საფერავის" ბოთლი მიატრიალ-მოატრიალა:

- „ოლიმპიაში" გიორგი შერმადინთან და ვლადიმერ ბოისასთან ერთად ვთამაშობდი. ქართულ ღვინოს ხშირად მიქებდნენ. საქართველოს ნაკრებს ხორვატია პირველად ხვდება და ვფიქრობ, ნაღვლის გასაქარვებლად ღვინო მოგიხდებათ. ახალგაზრდა გუნდი გვყავს, მაგრამ ჯგუფში მესამე ადგილის დათმობას არ ვაპირებთ.



2011 წელი. მარკოიშვილი და ლაკოვიჩი

გორტატმა სუფრაზე თერმოსი წამოჭიმა - პოლონეთს „სუპების ქვეყანას" უწოდებენ, კუჭისთვის წვნიანი სასარგებლოაო. ლაკოვიჩი კი თანაჯგუფელებს დაჰპირდა - სლოვენიაში რომ ჩავალთ, მე ვიცი როგორც გაგიმასპინძლდებითო.

კერძების დაგემოვნებით კალათბურთელები იმდენად გაერთვნენ, რომ ახალი სტუმარი, ჩეხი ჟირი ველში მაშინღა შენიშნეს, როცა მაგიდას ლუდი შეჰმატა.

- რატომ ასე დაგვიანებით, - ჰკითხეს.

- მეორე დივიზიონში ვიყავი და თქვენამდე მოსასვლელად 2 წელი დამჭირდა.

- მაშ, ზედა სართულზე დაძინების პრეტენზია არ გექნება, - შეხედა ჩეხს ფაჩულიამ, რომელიც ველშის მეგობრის მეგობარი აღმოჩნდა - ჟირი 2011-12 წლებში თორნიკე შენგელიასთან ერთად ბელგიურ „შარლერუაში" ასპარეზობდა.

■ ■ ■

ნახემსების შემდეგ ნავარომ სქელი გაზეთი „მარკა" ამოიღო და კალათბურთის გვერდზე გადაფურცლა:

- აი, თურმე რაშია საქმე: ესპანელებმა სლოვენიელებს ბოლო წლებში ყველა მატჩი მოვუგეთ, ხორვატებსაც, პოლონეთს 2009 წელს მათსავე მოედანზე ვაჯობეთ, საქართველოსთან პირველად... ზაზა, იმედი არ გქონდეს, რადგან თქვენ ბოლოს, 9 სექტემბერს გეთამაშებით, მოტივაცია აღარ გვექნება. ყურადღების მოდუნება ჩვენი საქმე არ არის. ეგ ახალგაზრდა გუნდებს გახასიათებთ, ვისაც მოკლე საკალათბურთო ისტორია აქვთ...

- ხუან, ესპანეთის ისტორია გეცოდინება. თუ გახსოვს, რეალში 60-იან წლებში რომელი ამერიკელი თამაშობდა?

- ჰაიტაუერი.

- ჰოდა, მაგ ჰაიტაუერიან „რეალს" ქართულმა „დინამომ" ჩემპიონთა ლიგის ფინალში 90:83 აჯობა. შესაძლოა, ესპანელებს მედლებით ვერ გაგიტოლდეთ, მაგრამ ქართველებს მყიფე სპორტული ისტორია არ გვაქვს. დახედე, გაზეთ „მარკას" დაბადების დღედ რა თარიღი აწერია.

- 1938 წლის 21 დეკემბერი.

ფაჩულიამ ჩანთიდან ორად მოკეცილი გაზეთი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა:

- „ლელო", პირველი ქართული სპორტული გაზეთი, გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან. გაზეთი ისე არასოდეს გამოვა, თუ სპორტმა სათანადო ნიადაგი არ შეუმზადა.



2012 წელი. შენგელია და ველში (მარჯვნივ)

■ ■ ■

- თორნიკესგან ვიცოდი, რომ ქართველები ამაყები ხართ. როგორც ჩანს, საამისო მიზეზებიც გქონიათ, - თქვა ჩეხმა ველშმა და დასძინა: - ახლა ის მითხარი, რატომ არ უნდა გვქონდეს ჩვენ, ჩეხებს, ჯგუფიდან გასვლის პრეტენზია? აბა, გადახედე ჩვენი ნაკრებების ურთიერთშეხვედრებს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გაზეთი გადაფურცლა და დათვალა:

- ევრობასკეტი 1999-ის შესარჩევი: 71:79, 68:70, 74:81; ამხანაგური მატჩი, 2008 წელს: 74:68, მოვიგეთ; ამხანაგური მატჩი, 2012 წელს: 68:79. როგორც ჩანს, მომავალი მეტოქეებიდან ყველაზე მეტჯერ სწორედ ჩეხეთს ვეთამაშეთ.

- ხედავ ზაზა, ერთხელ მოიგეთ, ოთხჯერ დამარცხდით. რისი იმედით მიემგზავრები სლოვენიაში? ან ეგ დროშა რად გინდა? - თქვა ველშმა და ფაჩულიას გახსნილ ჩანთაზე მიანიშნა.



2011 წელი. ნავარო და შერმადინი

■ ■ ■

- ქალაქ ცელიეში დიდი ციხესიმაგრე ყოფილა, რომელსაც ხუთჯვრიანი დროშა უთუოდ დაამშვენებს.

- როგორ ფიქრობთ, მე რატომ არ მაქვს ესპანეთის დროშა? - სიტყვა შეაწყვეტინა ნავარომ, - იმიტომ, რომ დროშა ცელიეში კი არა, უკვე ლიუბლიანაშია. ევრობასკეტის მეორე ეტაპი და პლეი ოფი ხომ სწორედ დედაქალაქში იმართება.

- მაშ მე „ბუმბული მირჩევია", - გაცხარდა ლაკოვიჩი და მობილურ ტელეფონში სლოვენიის სურათები მოძებნა, - დახედეთ ცელიეს ციხესიმაგრეს, თუ ჰერალდიკაში ერკვევით, მიხვდებით, რომ ეს სლოვენიის დროშაა.

- მთავარი ის კი არ არის, ახლა რომელი დროშა ფრიალებს, გაცილებით მნიშვნელოვანია 9 სექტემბერს რომელი სამი ქვეყნის სიმბოლო აღიმართება, ვინ გავა ჯგუფიდან, - ჩაერთო საუბარში კალათბურთში კარგად გარკვეული მატარებლის გამცილებელი, ბილეთები მოიკითხა და თითით მიანიშნა:

- ესპანეთი წილისყრისას პირველ კალათაში იყო, ამიტომ ნავარო - პირველ საწოლში, ლაკოვიჩი - მეორეში, მარკოტა - მესამეში, გორტატი - მეოთხეში, ფაჩულია - მეხუთეში, ველში - მეექვსეში. შეგიძლიათ, მშვიდად იძინოთ, 4 სექტემბერს, ცელიეში გაგაღვიძებთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



2010 წელი. ფაჩულია და გორტატი



შევედით ცელიეში


მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოტფრიდ ლენცი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608